# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 აგვისტო ორშაბათი 2009

№204 (12883) ფასი 60 თეთრი




# როტერდრამა

## ქართველი ძიუდოისტების კრახი მსოფლიოს ჩემპიონატზე

>> გვერდი 11

# 4:1 დინამო შოკში

>> გვერდი 2-4



# ნიუკასლი ხიზანიშვილს ითხოვს

ლეგიონის უქმეები >> გვერდი 5

# ევრობრძოლები



## არსენის დაყენებული დარტყმა



## ბაიერნს თურმე რობენი აკლდა



## მოურინიომ მილანი დაამტირა

# რეალმა მძიმედ დაიწყო

>> გვერდი 6-10

29.08.09 ზესტაფონი. ცენტრალური. 3000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 4 |
| დინამო | 1 |

*1:0 ელიავა (55), 2:0 დვალი (70. გრიგალაშვილის პასით), 2:1 აკირემი (83. ხმალაძის პასით), 3:1 გელაშვილი (84. ონიანის პასით), 4:1 დვალი (87. კორღალიძის პასით)*

*ზესტაფონი: მამალაძე - ლობჟანიძე, ხიდეშელი (50. ბენაშვილი), ონიანი, ელიავა - აფციაური (80. კორღალიძე), დაუშვილი, ძარია (75. ცხადაია), გრიგალაშვილი - დვალი, გელაშვილი.*

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, იონანიძე, ნ. კვასხვაძე, გორგიაშვილი*

*დინამო: ლორია - თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე - შ. კაშია, დილმელაშვილი, ნემსაძე (65. ჯუისი), მერებაშვილი, კოშკაძე (76. აკირემი) - ვაწაძე.*

*სათადარიგოები: ლოსაბერიძე, ლომია, კაკუბავა, ჩადუნელი, სიხარულიძე*

*გაფრთხილება: ონიანი (7), ლობჟანიძე (45), დაუშვილი (48), შ.კაშია (60)*

*არბიტრი: ლ. სილაგავა*

# მეორე ტაიმის შოკი



ზესტაფონმა დინამოს ძლევით გაიხარა

ფოტო: www.fczestafoni.ge

პრინციპულ მეტოქეთა მატჩი უაღრესად დაძაბული, საინტერესო და რაც მთავარია, უხვგოლიანი გამოდგა. ლიდერი გუნდები ურთიერთშეხვედრებში უმეტესწილად ფრთხილ ტაქტიკას ირჩევენ ხოლმე. აქაც, მასპინძელიცა და სტუმარიც პირველ ტაიმში საკმაოზე მეტს ფრთხილობდნენ. თამაში ისეთი სცენარით მიმდინარეობდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ საბოლოოდ ასეთი ანგარიში დაფიქსირდებოდა. თუმცა მეორე ტაიმში **ზაალ ელიავას** მიერ გატანილმა გენიალურმა გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. დარჩენილ დროში ისეთი თამაში, მომენტები და გოლები ვიხილეთ, ფეხბურთის ნებისმიერ გურმანს რომ დაანაყრებდა. „ზესტაფონმა" პირველად შეძლო „დინამოს" დიდი ანგარიშით დამარცხება და გასულ სეზონში საკუთარ მოედანზე განცდილი 0:4-სთვის სრულფასოვანი რევანშიც აიღო.

გუნდები ოპტიმალური შემადგენლობებით გავიდნენ სათამაშოდ. **გია გეგუჩაძე,** რომელიც წლების წინ „დინამოში" წარმატებით მუშაობდა, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ნაცად ტაქტიკასა და სასტარტოს დაეყრდნო. ცვლილებები არც „დინამოს" რიგებში იყო. თბილისელებმა ერთი გამოკვეთილი ფორვარდით შეუტიეს, **მათე ვაწაძეს** ოდნავ უკნიდან **გიორგი მერებაშვილი** აქტიურად ეხმარებოდა და სწორედ ეს ტანდემი უქმნიდა „ზესტაფონს" ყველაზე მეტ ხიფათს.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეტოქეები მოედნის თითოეული გოჯისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ. ორივე გუნდი დაცვაში ყურადღებით თამაშობდა და სახიფათო მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა. მასპინძლები მცირე უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში **კახა კაჭარავას** გუნდი მეტოქეს არაფერში ჩამოუვარდებოდა. პირველი სახიფათო მომენტიც დინამოელებმა შექმნეს - **დავით დილმელაშვილის** კუთხურის შემდეგ **გია ნერგაძემ** დაბალი ტრაექტორიით სახიფათოდ დაარტყა და მეკარე **ზურაბ მამალაძემ** ნახტომში შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება. ზესტაფონელებმა მეტოქეს მალევე უპასუხეს - თანაგუნდელებმა **ნიკა გელაშვილი** გაიყვანეს გარღვევაზე, მისი დარტყმული მცველს მოხდა ფეხზე და კარისკენ სახიფათო ტრაექტორიით წავიდა, თუმცა ბურთი ხარიხას გადასცდა. მე-20 წუთზე **ჯაბა დვალის** შთამბეჭდავ სოლო რეიდს შესაფერისი გაგრძელება აღარ მოჰყვა. მისგან ბურთი მიიღო გელაშვილმა, რომელმაც მარჯვენა მახვილი კუთხიდან დაარტყა და **გიორგი ლორიას** ბურთის დაუფლება არ გასჭირვებია.

თბილისელთაგან მერებაშვილი ინდივიდუალური ოსტატობით ცდილობდა თამაშის გამწვავებას. ზესტაფონელებს მისი მოთოკვა ძალიან უჭირდათ. „დინამოს" ლიდერს მეურვედ ჰყავდა **მურთაზ დაუშვილი,** რომელიც თბილისელთა შემტევს უხეშობის ზღვარზე ეთამაშებოდა და გასაქანს არ აძლევდა. საბოლოოდ, დაუშვილმა მაინც მოახერხა მერებაშვილის განეიტრალება, მართალია, დიდი ოფლის ღვრისა და ყვითელი ბარათის ფასად, მაგრამ მაინც...

**თორნიკე აფციაურის** სახით არანაკლები ინდივიდუალისტი ჰყავთ ფეროელებსაც. 34-ე წუთზე მან გვერდი აუარა მეტოქეებს და საჯარიმოს გარედან უძლიერესად დასცხო - მეკარე ლორიამ ძლივს მოახერხა ბურთის კუთხურზე მოგერიება. თბილისელებმა



გოლი დინამოს კარში

ფოტო: www.fczestafoni.ge

პასუხი არ დააყოვნეს და **ალეკო კოშკაძის** სახიფათო ჯარიმას მამალაძის შესანიშნავი რეაქცია მოჰყვა...

დინამოელთა ზედიზედ ორი კუთხური უშედეგო აღმოჩნდა, რასაც ზესტაფონელებმა მწვავე შეტევით უპასუხეს - **უჩა ლობჟანიძე** შეტევის მარჯვენა ფლანგზე **ლევან ხმალაძეს** გასცდა და საჯარიმოში დვალის მისამართით ჩააწოდა, ზესტაფონელთა ფორვარდი ბურთს არახელსაყრელ პოზიციაში დაუხვდა და მისი თავური მიზანს ასცდა...

მოკლედ, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიილია, სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი მოედანზე განვითარებული მოვლენებით მაინდამაინც კმაყოფილი არ გახლდათ და ეს გასაგებიც იყო, მაგრამ რა იცოდნენ, რომ წინ ულამაზესი მეორე ტაიმი ელოდათ...

შესვენების შემდეგ „ზესტაფონი" გაცილებით კარგად ათამაშდა. ფეროელებმა შეტევები გაამწვავეს. **ირაკლი ძარიასა და შოთა გრიგალაშვილს** შეეძლოთ მეტოქის დამწუხრება, თუმცა პირველ ეპიზოდში ლორიამ ითამაშა კარგად, გრიგალაშვილის დარტყმას კი მცველი გადაეღობა. იქამდე, აფციაურის კუთხურისას, დილმელაშვილს აეჭრა ბურთი და იღბალზე ხარიხას გადასცდა. 55-ე წუთი კი მატჩის გარდამტეხ მომენტად იქცა - მანამდე ჩრდილში მყოფმა ელიავამ მეტოქეს ბურთი აართვა, რამდენიმე მეტრი გაირბინა და შორი მანძილიდან ცაციათი დაჰკრა და ტრაექტორიაშეცვლილ ბურთზე ლორიას ნახტომი დაგვიანებული გამოდგა - 1:0.

სტუმრებმა მყისიერად სცადეს ანგარიშის გათანაბრება და ამის გაკეთება, ცენტრიდან თამაშის განახლებისთანავე ვაწაძეს შეეძლო, თუმცა მისი დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს. ამის შემდეგ უპირატესობა კვლავ „ზესტაფონმა" იგდო ხელთ და 70-ე წუთზე იმერელთა ფლანგურ შეტევას მეორე გოლიც მოჰყვა - გრიგალაშვილმა დიაგონალური გადაცემა გააკეთა მეკარის საჯარიმოსთან, სადაც დვალმა მცველებს დაასწრო და სამიოდე მეტრიდან შეაგდო - 2:0.

„დინამო" მარცხს არ შეეგუა - კაჭარავა ვა-ბანკზე წავიდა და გოლამდე ცოტა ხნით ადრე მოედანზე გასულ **დონალდ ჯუისს** მოგვიანებით კიდევ ერთი ფორვარდი - **ჯორჯ აკირემი** შეაშველა. 72-ე წუთზე ჯუისის ფლანგურ ჩაწოდებას კოშკაძის სახიფათო თავური მოჰყვა და ზესტაფონელები გოლისგან მამალაძემ იხსნა. კარგად ჩაერთო თამაშში აკირემიც - პირველად, მისი დარტყმა ჯერ მცველებს, მერე კი ძელს მოხვდა, ხოლო 83-წუთზე, ხმალაძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, გაბონელმა თავური დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა გაიტანა და მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა...

მაგრამ რად გინდა - სტუმრები ჯერ კიდევ გოლს ზეიმობდნენ, როცა ზესტაფონელებმა სტატუს-კვო აღადგინეს. განახლდა თუ არა თამაში, საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს მყოფმა **გიორგი ონიანმა** დაახლოებით 60-65 მეტრიდან უზუსტესი გადაცემით გელაშვილი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ - ფორვარდმა დასწრებაზე ითამაშა, მიწიდან ასხლეტილ ბურთს თავი ამოჰკრა და კარიდან გამოვარდნილ ლორიას ზემოდან გადაავლო - 3:1.

მესამე გოლის შემდეგ „დინამო" საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ზესტაფონელები იოლად ახერხებდნენ თბილისელთა დაცვითი ბარიერის გადალახვას და სახიფათო მომენტების შექმნას. 87-ე წუთზე დინამოელთა მარჯვენა ფლანგი კიდევ ერთხელ „ჩავარდა" და **ლევან კორღალიძის** თავური პასის შემდეგ დვალი წამებში გაერკვა სიტუაციაში და ბურთი დაბალ კუთხეში შეაგორა - 4:1.

დინამოელებმა ბოლოს კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს, თუმცა მამალაძის მიერ მოგერიებულ ხმალაძის სახიფათო დარტყმას თუ არ ჩავთვლით სხვას ვერაფერს გამორჩნენ... „ზესტაფონმა" უშუალო კონკურენტთან ლამაზი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

## მატჩის შემდეგ

**კახა კაჭარავა (დინამო):** „საინტერესო და დაძაბული თამაში იყო. „ზესტაფონი" ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და დღეს მართლაც შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შესვენების შემდეგ დასანანი გოლი გავუშვით და ამან გუნდზე ცუდად იმოქმედა. ბავშვური შეცდომები დავუშვით და ბუნებრივია, ძლიერი მეტოქე ამას არ გვაპატიებდა".

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „ასეთმა შედეგმა ძალიან გაგვახარა, მაგრამ „დინამოს" დიდი ანგარიშით დამარცხებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, „დინამო" არ არის იოლად დასამარცხებელი გუნდი, დღეს ჩვენ გაგვიმართლა, თუმცა არ მინდა, ამით ჩემი ფეხბურთელების თავდადებული და კარგი თამაში დავაკნინო. ბიჭებმა მოედანზე მაქსიმუმი გააკეთეს და შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს".

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-2 | 15 |
| 2. ზესტაფონი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-6 | 10 |
| 4. სპარტაკი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-8 | 9 |
| 5. დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 6. სამტრედია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 6 |
| 7. გაგრა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 8. ბაია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 9. სიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |
| 10. ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 5 |
| გაგედავა (გაგრა) | 4 |
| დ. ქირია (ბაია) | 3 |
| დვალი (ზესტაფონი) | 3 |
| კაკალაძე (სამტრედია) | 3 |

**მომდევნო ტური**

**12 სექტემბერი, შაბათი**

დინამო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
გაგრა-ლოკომოტივი
სპარტაკი-სამტრედია
სიონი-ბაია

30.08.09 გორი. თ. ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| სპარტაკი | 0 |

*1:0 კვარაცხელია (23. ლიპარტიას პასით), 2:0 კვარაცხელია (33. კახელიშვილის პასით)*

*ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - ლიპარტია (72. როსტიაშვილი), რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კახელიშვილი, კლიმიაშვილი (84. ჯანელიძე) - კვარაცხელია (64. ბერიაშვილი).*

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, კასრაძე, ვასაძე, ადამაძე*

*სპარტაკი: შეყრილაძე - პ. დათუნაიშვილი (84. ჯიშკარიანი), დიდავა, გ. კვახაძე, ბოიომო - ოდიკაძე, ჩივაძე, შონია (63. ცხადაძე), ჩირიკაშვილი, მაისურაძე (65. ჩალაძე) - რ. გოცირიძე.*

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, კბილცეცხლაშვილი, კანდელაკი, კლოვისი ანო ტიერი*

*გაფრთხილება: რაზმაძე (37)*

*არბიტრი: მ. ბეჟქლიშვილი*

# ვერც შტურმი, ვერც პრესტიჟის გოლი...

დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" ცხინვალის „სპარტაკთან" უდავო ფავორიტად არ მიიჩნეოდა. თამაშს გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას მწვრთნელებისა და ძმების დუელიც სძენდა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ **მერაბ კოჭლაშვილი** და **ვლადიმერ ხაჩიძე,** რომლებიც ერთხანს „ვიტ ჯორჯიაში" ერთადაც მუშაობდნენ, ხოლო „სპარტაკის" მოთამაშეებს - **პავლე დათუნაიშვილსა** და **გიორგი კვახაძეს,** უშუალო პაექრობა უნდა ჰქონოდათ უფროს ძმებთან, ვიტჯორჯიელ **გიორგი დათუნაიშვილსა** და **ალექსანდრე კვახაძესთან.**

მატჩის დასაწყისი ჩემპიონს კარგს არაფერს უქადდა. უკვე მე-2 წუთზე, ფლანგური იერიშისას, **მაისურაძემ** დროულად მოძებნა უყურადღებოდ მიტოვებული **ოდიკაძე,** რომლის დარტყმაც მინიმალური მანძილით ასცდა **ბედიაშვილის** კარს. ცოტა ხანში **ჩირიკაშვილმა** შორიდან ამაოდ სცადა გატანა. შემდეგ კი, ოდიკაძის ჩაწოდებული ჯარიმისას, თბილისელთა კარი გოლს გადაურჩა.

ყველაზე აშკარა საგოლე მომენტი კი დროის ამ მონაკვეთში მე-16 წუთზე შეიქმნა, როცა მაისურაძის მიერ კარისკენ გაგზავნილ ბურთს **გოცირიძემ** შეუცვალა მიმართულება - ბედიაშვილმა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა გუნდის გადარჩენა. აქედან მოყოლებული, ცხინვალელთა უპირატესობა სადღაც გაქრა. „ვიტ ჯორჯიამ" ნელ-ნელა იგდო ხელთ თამაშის სადავეები. ჯერ **კლიმიაშვილის** „სტანდარტულმა" აანერვიულა მეტოქე. აშკარა იყო, რომ სპარტაკელებმა მოახლოებული საფრთხე ვერ იგრძნეს და დაისაჯნენ კიდეც - 23-ე წუთზე თამაშგარეს ზღვარზე მოთამაშე **კვარაცხელია** მეკარესთან პირისპირ გაეპარათ. ფორვარდი **შეყრილაძეს** გასცდა და აუღელვებლად შეაგორა ბურთი ბადეში - 1:0.

„სპარტაკი" არ დაბნეულა და მაისურაძემ კიდევ ერთხელ შეუტია მწვავედ, მაგრამ მის სახიფათო შორეულ დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია. საპასუხოდ კი, 32-ე წუთზე, კვარაცხელიამ **კახელიშვილის** (ამ თამაშში ერთ-ერთი გამორჩეული) პასით მეორედაც აჯობა შეყრილაძეს - 2:0. შეხვედრის პირველ წუთებში მარცხენა ფლანგზე მოთამაშე კახელიშვილი მეორე გოლის ეპიზოდში უფრო ცენტრიდან მოქმედებდა, ცოტა ხანში კი მანამდე მარჯვენა ფლანგიდან შემტევ **ლიპარტიას** ჩაენაცვლა.

>> მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ვერც შტურმი, ვერც პრესტიჟის გოლი...

<< ტელეკრანიდან

ის ყველგან სასარგებლო იყო. შესვენებამდე 3 წუთით ადრე, მის მიერ შორი მანძილიდან დარტყმულს ლამის მესამე გოლიც მოჰყვა. საჯარიმოს გარედან მისი დარტყმულით მესამე გოლის გატანაც იყო შესაძლებელი, მაგრამ „სპარტაკი" ამჯერად გადარჩა.

ცხინვალელებმა მეორე ტაიმშიც ვერაფრით გამოასწორეს მდგომარეობა. 48-ე წუთზე ისევ კახელიშვილი გაექცა მცველებს და საჯარიმოში შეიჭრა, შეყრილაძემ გამოსვლა დააგვიანა და შემტევს დარტყმის საშუალება მისცა, თუმცა ბურთი ხარიხას გადასცდა. „ვიტ ჯორჯიას" სულ უფრო ემატებოდა დამაჯე-



დუბლის ავტორი ვახტანგ კვარაცხელია

რებლობა, „სპარტაკი" კი პირიქით, აირია. განსაკუთრებით ოდიკაძის ინერტულობა იყო გასაკვირი. მიუხედავად მონდომებისა, ამაოდ ჩაიარა მოედნის ცენტრში **ჩიკვაძისა** და **ჩირიკაშვილის** მცდელობებმაც - მათ თამაშის დალაგება ვერ შეძლეს. ვიტჯორჯიელთაგან კი კარგად ჩაერთო თამაშში **ბერიაშვილი**, რომელმაც მარჯვენა ფლანგიდან სამჯერ მოახერხა შეყრილაძესთან პირისპირ გასვლა - ორჯერ თავად არჩია გატანა, მაგრამ ამაოდ, ხოლო ერთხელ **როსტიაშვილმა** ვერ იხეირა. „სპარტაკმა" კი წინა მატჩებისაგან განსხვავებით საბოლოო შტურმის ორგანიზებას თავი ვერ მოაბა, პრესტიჟის გოლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**მატჩის შემდეგ**

**მერაბ კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია):** „მატჩის დასაწყისი ისეთი არ იყო, როგორც ჩვენ გვინდოდა, მაგრამ შემდეგ ტაქტიკური გადანაცვლებები მოვახდინეთ და ტერიტორიული უპირატესობაც მოვიპოვეთ. მეორე ტაიმში კიდევ შეგვეძლო გატანა, თუმცა ცუდია, რომ ეს ვერ შევძელით. ცხადია, გუნდის გარჯით მაინც კმაყოფილი გახლავართ".

**ვლადიმერ ხაჩიძე (სპარტაკი):** „სამწუხაროდ, შეთამაშება ჯერაც გვაკლია. სწორად რომ გვემოქმედა, შეიძლებოდა ამ მატჩის არწაგებაც, მაგრამ"...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

30.08.09. რუსთავი. ფოლადი. 3500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 3 |
| სიონი | 0 |

1:0 აკინო (27. ბაბუნაშვილის პასით), 2:0 ჟონატასი (75-პენ), 3:0 ჯერონიმო (90. ჟონატასის პასით)

გამოუყენებელი პენალტი: ჩიმაკაძე (45. მეკარე)

ოლიმპი: ჭანტურია - მაჭავარიანი, ფარაგა, ს. თოდუა, იმედაშვილი - ჟერონიმო, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (88. კაკულია), ჩოკო (46. რეხვიაშვილი) - ჟონატასი, აკინო (78. ფოფხაძე).

სათადარიგოები: ალავიძე, გ. თოდუა, გორდეზიანი, ზ. ჭელიძე.

სიონი: ბობლიაშვილი - კობაური, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, ჩიკვილაძე (79. უგრეხელიძე) - ლ. ნოზაძე (79. ქურასბედიანი), სვანიძე, გოგობერიშვილი, ბაჯელიძე, გ. ხიდეშელი (70. დავითაშვილი) - ჩიმაკაძე.

სათადარიგოები: სტურუა, ოქროპირიძე, ნაყოფია, ბობოხიძე.

გაფრთხილება: ხიდაშელი (23), სვანიძე (44), კობაური (77), ფარაგა (86).

გაძევება: ს. თოდუა (45)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# პენალტი? ვნახოთ ჩანაწერი...

## გაბრაზებული კორლალიძე და უდანაკარგო ოლიმპი



აკინო (ბურთით) ბოლნისელთა გარემოცვაში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამ შეხვედრას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა - ქვემოქართლელები ერთმანეთს არ „დაჭამენ" და „ოლიმპი" უდანაკარგოდ სვლას გააგრძელებსო. ამიტომაც თქვა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსთაველთა თავკაცმა **ოთარ კორლალიძემ** - ამ მატჩს გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენო...

საერთო ჯამში კი „ოლიმპმა", განსაკუთრებით კი **აკინომ,** რუსთაველებს ლამაზი თამაში აჩუქა. ამ ბრაზილიელს უკვე მეტსახელიც აქვს - **სუპერაკინო.** თითქმის არავინ კამათობს იმაზე, რომ ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ლეგიონერთა შორის აკინო საუკეთესოა. ამ მომენტისთვის მას 4 მატჩში 5 გოლი დაუგროვდა.

აკინოს გარდა, მისი თანამემამულე **ჟონატასი** და მასპინძელთა კაპიტანი **შოთა ბაბუნაშვილიც** უნდა გამოვყოთ. კარგა ხანია, ბაბუნაშვილის ასეთი თამაში არ გვინახავს. რაც შეეხებათ ბოლნისელებს, მათგან აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ მარცხენაფლანგელი **თენგიზ ჩიკვილაძე**, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია.

გადავიდეთ უშუალოდ მატჩზე. სასტარტო დაზვერვის შემდეგ პირველი ჩიკვილაძე იყო, მეტოქეს საჯარიმო დარტყმით რომ დაემუქრა, მაგრამ ამ ეპიზოდში რუსთაველთა მეკარე **გია ჭანტურიამ** იმარჯვა. მასპინძლები ნელ-ნელა დაეუფლნენ ტერიტორიულ უპირატესობას. მე-15 წუთზე აკინოს ჩინებული გადაცემა ჟონატასმა გოლით ვერ დააგვირგვინა - ბოლნისელთა მეკარე **მინდია ბობლიაშვილმა** ბრაზილიელის პირველი დარტყმაც მოიგერია და არც დამატებაზე გაატანინა.

ექვს წუთში თავად აკინომ გაისროლა, მაგრამ უშედეგოდ. 27-ე წუთზე კი ბაბუნაშვილმა გრძელი და ზუსტი პასით ის მეკარესთან პირისპირ დატოვა და ბრაზილიელმა ბობლიაშვილს შანსი არ დაუტოვა - 1:0.

გოლმა სტუმრები გამოაცოცხლა, რუსთაველებმა კი ტემპი დააგდეს, თუმცა პარალელურად ბურთზე კონტროლი გააძლიერეს. 38-ე წუთზე ჟონატასის ძლიერი დარტყმა ბობლიაშვილმა კუთხურზე მოიგერია. მერე ისევ ბოლნისელებმა იძალეს და ტაიმის ბოლო 5-წუთიანმა მონაკვეთმა მათი კარნახით ჩაიარა. ჯერ იყო და, ჩიკვილაძის საჯარიმო დარტყმას მეკარე ჭანტურია გადაეფარა, მერე კი მარცხნიდან **გოგობერიშვილის** სახიფათო ჩაწოდებას **ბესიკ ჩიმაკაძე** და **ლაშა ნოზაძე** ვერ შეწვდნენ, თორემ...

გაყაიმების ასპროცენტიანი შესაძლებლობა სტუმრებმა ტაიმის ბოლო წუთზე გაუშვეს. **სევასტი თოდუამ** საჯარიმოში ჩიმაკაძე წააქცია. არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** თოდუა მოედნიდან გააძევა და რუსთაველთა პროტესტის მიუხედავად, პენალტიც დანიშნა. 11-მეტრიანი თავად დაზარალებულმა შეასრულა, მაგრამ ჭანტურიამ ამჯერზეც იმარჯვა...

შესვენებისას კორლალიძემ ერთი შეცვლა გააკეთა - შემტევი ნახევარმცველი **ჩოკო გიორგი რეხვიაშვილით** ჩაანაცვლა და დაცვა გააძლიერა. „სიონი" კი ტრავმირებული ფორვარდის **მიხეილ ბობოხიძის** არყოფნაში ისეთი აქტიური ვერ იყო, როგორიც „ზესტაფონთან" ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაში...

რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, მეორე ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა ბოლნისელებიც არ მსხდარან გულხელდაკრეფილნი, მაგრამ აშკარად სიმწვავე აკლდათ. **თემურ მახარაძემ** შეცვლებით სცადა გუნდის გაცოცხლება, მაგრამ **სულიკო დავითაშვილის, ვლადიმერ უგრეხელიძისა** და **მურმან ქურასბედიანის** გამოსვლამ „სიონს" სარგებელი ვერ მოუტანა.

...ამასობაში კი ბობლიაშვილი აკინოს დარტყმულს გადაეფარა. რამდენიმე წუთში იმავე აკინოს სახიფათო ჩაწოდებული **ირაკლი ვაშაკიძეს** რომ არ გამოეტანა საჯარიმოდან, ბაბუნაშვილი უთუოდ გაზრდიდა ანგარიშს.

68-ე წუთზე მეკარე ჭანტურიამ **გიორგი ხიდეშელიც** გაანბილა, მერე დავითაშვილის დარტყმული მცირე მანძილით ასცდა მიზანს. შემდეგ ისევ მასპინძლებმა იძალეს და მეორე პენალტიც ვიხილეთ - ბაბუნაშვილის მიერ მოპოვებული 11-მეტრიანი ჟონატასმა ზუსტად შეასრულა - 2:0.

სამიოდ წუთში „ოლიმპს" ანგარიშის გაზრდა შეეძლო - ჟონატასმა საჯარიმოში აკინო მოძებნა, მაგრამ ვითარება ჩიკვილაძემ განმუხტა, თუმცა ეს ტრავმის ფასად დაუჯდა და თამაში ველარ გააგრძელა. მერე ჟონატასმა და ჩიმაკაძემ თითო მომენტი გაცვალეს, ქურასბედიანის დარტყმული კი ჭანტურიამ კუთხურზე მოიგერია. ბოლოს კი ერთი ლამაზი გოლიც ვნახეთ - ჟონატასმა გრძელი, გამოზომილი პასით მოძებნა ჟერონიმო, რომელმაც თანაგუნდელს გარჯა დაუფასა - 3:0.

**მატჩის შემდეგ**

**ოთარ კორლალიძე (ოლიმპი):** „ჩვენს წინააღმდეგ, ალბათ, რაღაც ხდება. იმ ეპიზოდის ჩანაწერი ჯერ არ მინახავს, როცა ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა. ვნახავ და მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება. იმ მომენტში, რაც დავინახე, არბიტრს 11-მეტრიანი არ უნდა დაენიშნა... ალბათ ამიტომაც არ გავიდა გოლი (?!)... თავადაც ვიყავი ფეხბურთელი და პენალტის გაცუდების მიზეზი ხშირად მისი უსამართლოდ დანიშვნაა. როგორც ნახეთ, დერბი შედგა. ამ თამაშზე დასაკვირვებლად ბევრი გამადიდებელი შუშით ემზადებოდა, მაგრამ როგორც ნახეთ, ლუპა საჭირო არ იყო, ისედაც ყველაფერი ნათლად ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ კაცნაკლულები ვიყავით, მონდომებისა და მობილიზების ხარჯზე შევძელით გამარჯვების მოპოვება".

**თემურ მახარაძე (სიონი):** „მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. ჩემმა გუნდმა კარგად დაიწყო თამაში, მაგრამ გამოუყენებელი პენალტის შემდეგ აირია. ვფიქრობ, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა იქონია გავლენა. „სიონში" კვლავაც ბევრია სამუშაო, გუნდი ჯერ კიდევ დასალაგებელია და... არც ფეხბურთელების დამატება გვაწყენდა".

**დავით ცაგაძე**
რუსთავი-თბილისი

30.08.09. ზუგდიდი. ცენტრალური. 600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 2 |
| გაგრა | 2 |

0:1 თოთაძე (29. შარიქაძის პასით), 0:2 პავლიაშვილი (75), 1:2 რ. ჯიქია (84. რ. ონიანის პასით), 2:2 ხუციძე (87)

ბაია: მაქაცარია - ექონია, ქვანია, დ. ქირია (46. ძალამიძე), რ. ონიანი - გუჩუა, ლუნგუ, წურწუმია (77. ხუციძე), ვართაგავა, სვირავა (75. კუტალია) - რ. ჯიქია

სათადარიგოები: ზარქუა, შონია, აფაქიძე, გ. ქირია

გაგრა: თევდორაძე - თოთაძე, გაბუნია, კობერიძე (62. ელბაქიძე), რაქვიაშვილი - ტყეშელაშვილი, ბერბატი (82. ოურონიკოკო), შარიქაძე, გოგიჩაიშვილი (68. ოქრიაშვილი) - პავლიაშვილი, გაბედავა

სათადარიგოები: ნადირაშვილი, შელია, თუხარელი, შ. კვანტალიანი

გაფრთხილება: გუჩუა (10), წურწუმია (36), რაქვიაშვილი (66), რ. ჯიქია (75), თევდორაძე (90)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

# ორგოლიანი შტურმი

ამ სეზონისთვის **ბესიკ შეროზიამ** აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადაიტანა, რაც ამ ეტაპზე „ბაიას" ბევრ პრობლემას უქმნის, თუმცა თავად მწვრთნელი და კლუბის მესვეურები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და მომავლისთვის უკეთეს შედეგებს ელიან. დღეს რომ გუნდში პრობლემებია, ეს აშკარად ჩანს, რადგან „ბაიას", ფაქტობრივად, ყველა რგოლში უჭირს თამაში. კოლექტიური თამაში დასახვეწია, ცალკეული ფეხბურთელების ოსტატობით ფონს გასვლა კი ძნელია.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, ზუგდიდელებმა გოლი მაინც საკუთარ კარში მიიღეს. „ბაიას" მიერ ვერგამოყენებული რამდენიმე საგოლე მომენტის შემდეგ, სტუმრებმა ლამაზი გოლი გაიტანეს. დაახლოებით 30 მეტრიდან **შარიქაძემ** „ბაიას" საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც თოთაძემ თავური დარტყმით ბურთს მიმართულება შეუცვალა - 0:1.

არადა, მანამდე შეროზიას ფეხბურთელებმა რამდენიმე რეალური საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან. მიზანთან ახლოს **ვართაგავა, სვირავა, ლუნგუ** და **ექონია** იყვნენ.

მეორე ნახევარში **ქირიას** ნაცვლად მოედანზე **ძალამიძე** გამოჩნდა, რამაც „ბაია" საგრძნობლად გამოაცოცხლა. მასპინძელთა შემტევი პოტენციალი გაიზარდა და „გაგრას" მეკარესა და უკანახაზელებს საქმე მოემატათ.

ძალამიძესთან ერთად, სახიფათოდ უტევდნენ გუჩუა, წურწუმია და ლუნგუ. ამ უკანასკნელის დარტყმა „გაგრას" მეკარე **თევდორაძემ** რამდენჯერმე მოიგერია კუთხურზე.

75-ე წუთზე „გაგრას" მცველმა ერთი შეხედვით, ხელით ითამაშა, რასაც მსაჯის რეაგირება არ მოჰყოლია. რამდენიმე წამში იგივე განმეორდა. ზუგდიდელებმა ყურადღება მოადუნეს, რა დროსაც სტუმრებმა **პავლიაშვილი** გრძელი პასით გაიყვანეს, მეკარესთან პირისპირ და „გაგრამ" ანგარიში ორამდე გაზარდა.

ამის შემდეგ მინდორსა და ტრიბუნებზე სიტუაცია დაიძაბა. მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება **ჯიქიამ** დაიმსახურა, თუმცა ვნებები არც ამის შემდეგ ჩამცხრალა. 84-ე წუთზე ლუნგუს მიერ წამოწყებულ კომბინაციას **ონიანის** დარტყმა მოჰყვა. თევდორაძემ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და დამატებაზე ყველას ჯიქიამ დაასწრო - 1:2.

ფრთაშესხმულმა „ბაიამ" მეტოქის კარზე გადამწყვეტი შტურმი მიიტანა და საწადელს ამჯერადაც მიაღწია. ხუციძის გოლის შემდეგ დარჩენილი დრო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ რომელიმე გუნდს ფრესთვის თავი დაეღწია. ამ შედეგით უფრო კმაყოფილნი „გაგრას" წევრები ჩანდნენ.

ზუგდიდელი ქომაგები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ამ ფაქტორს ხაზი „ბაიას" თავკაცმა ბესიკ შეროზიამაც გაუსვა ხაზი. სხვათა შორის, ეს აზრი მისმა გაგრელმა კოლეგამაც გაიზიარა.

**ნუგზარ ჟვანია**
ზუგდიდიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ყველასთვის ხელწამოსაკრავი

30.08.09. თბილისი. მ. მესხი
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| სამტრედია | 3 |

0:1 კაკალაძე (20-პენ), 0:2 ტყემალაძე (89), 0:3 კაკალაძე (90)

ლოკომოტივი: ქილითაია - გადელია, ხატიაშვილი, გუშარაშვილი, ჭალიაშვილი (71. აფხაზავა) - ჩიკვაიძე, ტიკურიშვილი, ქებაძე (46. წულაძე), ს. გილაური (46. დ. ჩაგელიშვილი) - ბეგლარიშვილი - გ. მოდებაძე

სათადარიგოები: ცერცვაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ბოჭორიშვილი, დიაკვნიშვილი

სამტრედია: ხარძეიშვილი - ნინუა, კვესიეშვილი, გოგია, ქორიძე - ტყემალაძე, ლ. ვაშაკიძე (63. ბ. ხაჭაპერაძე), ბაკურაძე, ჩომახიძე (88. კირთაძე) - ბაკარანძე, კაკალაძე

სათადარიგოები: ჯინჭარაძე, ეცადეიშვილი, გუბელაძე, შ. ფირცხალავა, ჯიქიძე

გაფრთხილება: ლ. ვაშაკიძე (9), გუშარაშვილი (19), ჭალიაშვილი (23), ბ. ხაჭაპერაძე (64), ჩიკვაიძე (69), წულაძე (74)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ლოკომოტივისა“ და „სამტრედიას“ მწვრთნელებმა აღიარეს, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენა ყველაზე მეტად მათ გუნდებს გაუჭირდებათ. ჩვენის მხრივ კი იმას დავამატებთ, რომ „სამტრედიას“ მაინც აქვს უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნების შანსი, აი „ლოკომოტივი“ კი განწირული ჩანს.

რკინიგზელთა ხელმძღვანელობამ ფინანსური პრობლემების გამო, ამ სეზონის წინ გუნდი ჭაბუკებით დააკომპლექტა და არავისთვისაა სიურპრიზი, „ლოკომოტივი“ ნელ-ნელა უმაღლესი ლიგის უიმედო აუტსაიდერად რომ ყალიბდება. როგორც მატჩის შემდეგ დედაქალაქელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა თქვა, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატების გარეშე, უმაღლეს ლიგაში თამაშს აზრი არ აქვს. მან იქვე დასძინა, რომ საქმეს საამისო პირი არ უჩანს...

იმის მიუხედავად, რომ საგოლე მომენტები საკმაო რაოდენობით იქმნებოდა, თამაში მეტისმეტად ნელი და უჯიგრო იყო. ხშირი იყო მარტივ სიტუაციაში დაშვებული შეცდომები. „ლოკომოტივის“ მსგავსად, ვერც „სამტრედიას“ თამაშში დავინახეთ ბევრი პოზიტივი, მაგრამ სტუმრებს აუტსაიდერის დასაჯაბნი რესურსი მაინც აღმოაჩნდათ.

მატჩის მე-19 წუთზე მასპინძელთა კაპიტანმა **გუშარაშვილმა** საჯარიმოში შეჭრილი **კაკალაძე** აკრძალული ილეთით შეაჩერა და ამ უკანასკნელმა პენალტი აუღელვებლად გაიტანა ცხრიანში.

„ლოკომოტივი“ ცოტა გააქტიურდა და მთელი ძალებით შეეცადა სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ საამისოდ კლასი არ ეყო. მთელი შეხვედრის განმავლობაში **სანაიას** გუნდს წინ მრავლად ჰქონდა ცარიელი სივრცეები, მაგრამ თბილისელები მარტივ სიტუაციებში ვერ ახერხებდნენ საქმის საგოლე სიტუაციამდე მიყვანას. „ლოკომოტივიდან“ ანგარიშის გათანაბრებასთან ყველაზე ახლოს **მოდებაძე** იყო, რომელმაც სამიოდე მეტრიდან დაარტყა - „სამტრედია“ მცველ **ქორიძის** თავგანწირულმა ნახტომმა იხსნა.

მასპინძლებმა არაერთი ხელსაყრელი ჯარიმა შეასრულეს, მაგრამ უნაყოფოდ - ბურთს ხან ცოცხალ კედელს არტყამდნენ, ხანაც ტრიბუნისკენ გზავნიდნენ. თანამედროვე ფეხბურთში სტანდარტული სიტუაციები რამდენს ნიშნავს, ყველამ მშვენივრად იცის, „ლოკომოტივმა“ კი ყველაფერთან ერთად, ამ კომპონენტშიც სრული უცოდინრობა გამოამჟღავნა.

სადღაც მეორე ტაიმის შუაწელისკენ „ლოკომოტივს“ დაღლა დაეტყო და მინიმალური სხვაობის მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ იმერლებს ზედიზედ მესამე (ჩემპიონატის ორი და თასის ერთი) შეხვედრის მოგებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა.

ასეც მოხდა, მეტიც, **ჩხარტიშვილის** ფეხბურთელებმა ბოლო წუთებში ანგარიშს სოლიდური სახე მისცეს. ორივე გოლი მეტად ეფექტური იყო. ჯერ **ტყემალაძემ** ჩამოიცილა ორი მეურვე და მახვილი კუთხიდან გაიტანა, მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე კი **კაკალაძის** კიდევ უფრო ლამაზი სოლო რეიდი დასრულდა გოლით.

„ლოკომოტივის“ შემხედვარენი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ იგი დღეისათვის უმაღლესი ლიგის უსუსტესი რგოლია, „სამტრედიამ“ კი დამსახურებული სამი ქულა მიითვალა და ახლა უკვე რეალურ კონკურენტებთან დაპირისპირებისთვის ემზადება, სადაც გამარჯვება გუშინდელივით იოლად არ მოვა.

ლევან ჯანეზაშვილი

ტრანსფერი

# ოდიკაძე ბაქოს ინტერში



დავით ოდიკაძე

მორიგი ქართული პარადოქსი - ჩვენი გუნდები, მეტ-ნაკლები ფინანსური საშუალებები რომ გააჩნიათ, ხშირ შემთხვევაში მოსამზადებელ ეტაპს უცხოეთში გადიან. ამავე დროს, ხშირად საპირისპირო სურათსაც ვხედავთ - სხვა ქვეყნების გუნდები, შეკრებებისა თუ საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად ჩვენთან ჩამოდიან! რაღა შორს მივდივართ - აზერბაიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი ზაქათალის „სიმურგი“ უკვე წლებია, ზამთარ-ზაფხულ თბილისში გადის წინასასეზონო შეკრებას. ამას გარდა, ბოლო დროს ურეკში სომხეთის გუნდებიც ჩამოდიან...

ორიოდ დღეში მორიგ სტუმარსაც უნდა ველოდეთ - ერთკვირიან შეკრებაზე აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონი ბაქოს „ინტერი“ ჩამოდის. შეგახსენებთ, რომ 5 სექტემბერი სანაკრებო მატჩების დღეა და აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც შესვენება გამოცხადდება (ამ ქვეყნის ნაკრები ფინეთსა და გერმანიას დაუპირისპირდება). სხვათა შორის, ბაქოს „ინტერს“ ისედაც დიდი შესვენება გამოუვიდა - წინა ტურის შეხვედრაც (მოქმედ ჩემპიონ „ბაქისთან“) გადაუდეს. საერთოდაც, აზერბაიჯანის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარი, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც არის შედგენილი - 25 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე 23-დღიანი პაუზაა გამოცხადებული, სამაგიეროდ, იმავე „ინტერს“ დეკემბერში ხუთი მატჩის ჩატარება მოუწევს.

...ბაქოს „ინტერის“ მიმართ ჩვენი ინტერესი სავსებით გასაგებია: ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძეა**, მისი ასისტენტი კი **გიორგი ჩიხრაძე**, ამას გარდა, ამ სეზონიდან „ინტერში“ ორი ქართველი ფეხბურთელიც ჩაირიცხა - **გიორგი ლომაია** და **კახა მჟავანაძე**. საქართველოს ნაკრების მეკარისთვის სასარგებლოა, რომ სათამაშო პრაქტიკას სერიოზული კონკურენციის პირობებში იღებს, ქობულეთის „შუქურასა“ და ბათუმის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი მჟავანაძე კი წლებია, საქართველოს გარეთ (მოსკოვის „სპარტაკი“, მახაჩყალის „ანჟი“, ოდესის „ჩერნომორეცი“) ასპარეზობს. ამ გამოცდილი მოთამაშის უდიდეს პლუსად უნივერსალიზმი მიიჩნევა - ერთნაირი წარმატებით შეუძლია დაცვის ორივე ფლანგზე და საყრდენ ნახევარმცველად თამაში. იმასაც შეგახსენებთ, რომ **ალენ ჟირესის** მწვრთნელობისას მჟავანაძე საქართველოს ნაკრების წევრიც გახლდათ.

ბაქოს „ინტერი“ თბილისში 3 სექტემბერს ჩამოვა და სასტუმრო „ძველ თბილისში“ დაბინავდება. 5 სექტემბერს კი მეტად საინტერესო ამხანაგური მატჩი გველოდება - ერთმანეთის პირისპირ საქართველოსა და აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონები, თბილისის „დინამო“ და ბაქოს„ინტერი“ (შეხვედრა, სავარაუდოდ, დიღმის სანვრთნელ ბაზაზე გაიმართება) წარდგებიან. მეზობლების მეორე საკონტროლო მატჩი კი 7 სექტემბერს არის დანიშნული - ცხადაძის გუნდის მეტოქე ცხინვალის „სპარტაკი“ იქნება (სავარაუდოდ, „ოლიმპიკის“ სტადიონზე).

„ინტერი“ სამშობლოში 9 სექტემბერს დაბრუნდება, მანამდე კი ვარჯიშებს „ლოკომოტივზე“ ჩაატარებს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხადაძესა და ჩიხრაძეს თბილისში შესუსტებული შემადგენლობა ჩამოჰყავთ - გუნდის 9 ფეხბურთელი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებშია გამოძახებული - ლომაია საქართველოს ნაკრებში, **ანდრეი რუბინსი** და **გირტ კარლსონსი** - ლატვიის ეროვნულ გუნდში, **ქამრან აგაევი, ვლადიმირ ლევინი, მახირ შუქუროვი, ჯავიდ ჰუსეინოვი, სამირ აბასოვი** და **შახრიარ რაგიმოვი** კი აზერბაიჯანის ნაკრებში. თუმცა ცხადაძის გუნდში მატებაც არის და ეს ინფორმაცია, ალბათ, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს დააინტერესებთ - თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, **დავით ოდიკაძე** კარიერას სწორედ „ინტერში“ გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ ოდიკაძე ჯერ კიდევ 5 წლის წინ თამაშობდა თბილისის „დინამოში“, როცა გუნდის მთავარი მწვრთნელი ცხადაძე იყო. იძულებითი პაუზის შემდეგ ის „დინამოს“ კაპიტნადაც აირჩიეს, ხოლო მერე საქართველოს ნაკრებშიც მიიწვიეს. შემდეგ იყო უნგრული „დიორი ეტო“, საიდანაც წინა სეზონის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ცხინვალის „სპარტაკში“ ჩაირიცხა. ალბათ, ამ გამოცდილი მარჯვენაფლანგელის უდიდესი დამსახურებაც იყო, „სპარტაკმა“ XXI ჩემპიონატი რიხით რომ დაიწყო და ლიდერთა შორის დამკვიდრდა. არც ის იყო შემთხვევითი, „ლელოს“ ტრადიციულ გამოკითხვაში, ოდიკაძე ტურის სიმბოლურ ნაკრებში რომ ხვდებოდა. ისე, ამას წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, არ არის გამორიცხული, კარიერა ისევ საზღვარგარეთ გავაგრძელოო. ასე რომ, ბაქოს „ინტერის“ ქართული „დიასპორა“ კიდევ უფრო გაიზარდა.

გია ტუხაშვილი

ცუდი ამბავი

# ტრავმა და ჩაშლილი კონტრაქტი



არჩილ ფალავანდიშვილი

ორიოდე დღის წინ **არჩილ ფალავანდიშვილმა** გვაცნობა, რომ „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. გუშინ კი მან შეგვატყობინა, რომ ვარჯიშზე დაშავდა და მინიმუმ სამთვიან მკურნალობას საჭიროებს.

*„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ მდგომარეობაში ვარ ახლა. აქ რომ ჩამოვედი, ეს ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რომელიც ასე ჩამიმწარდა. ბარიერზე გადახტომისას კოჭის მყესი გავიწყვიტე და ოპერაცია მჭირდება. „შალკემ“ ამ ეტაპზე ჩემთან ხელშეკრულების დადებისგან თავი შეიკავა, მაგრამ როგორც კი გამოვჯანმრთელდები, ეს საკითხი კვლავ დადგება დღის წესრიგში. ოპერაციას „შალკე“ თავისი ხარჯებით გამიკეთებს დორტმუნდში, ცნობილი ექიმის, ალბერტ დრეერის კლინიკაში. რეაბილიტაციის პერიოდს ან თბილისში გავივლი, ან გერმანიაში“,* - გვითხრა ფალავანდიშვილმა.

ლევან ჯანეზაშვილი

მეტოქე

იტალია

# გატუზოს ნაცვლად მარკიონი

იტალიის ნაკრების თავკაცმა **მარჩელო ლიპიმ** დაასახელა შემადგენლობა, რომელსაც საქართველოსა და ბულგარეთთან 5 და 9 სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოამზადებს. მილანურ დერბიში მიღებული ტრავმის გამო „სკუადრა აძურას“ **ჯენარო გატუზო** გამოაკლდა. ლიპიმ მის ნაცვლად გამოიძახა 29 წლის ფიორენტინელი **მარკო მარკიონი**, რომელსაც ეროვნულ გუნდში 2006 წლის მერე არ უთამაშია. მარჩელოს რჩეულთა სია ასეთია:

მეკარეები - **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **მორგან დე სანქტისი** (ნაპოლი), **ფედერიკო მარკეტი** (კალიარი);

მცველები - **ფაბიო კანავარო, ჯორჯო კიელინი, ნიკოლა ლეგროტალიე** (იუვენტუსი), **დომენიკო კრიშიტო** (ჯენოა), **ფაბიო გროსო** (ლიონი), **დავიდე სანტონი** (ინტერი), **ჯანლუკა ძამბროტა** (მილანი);

ნახევარმცველები - **მაურო კამორანეზი, კლაუდიო მარკიზიო** (ორივე იუვენტუსი), **სიმონე პეპე, გაეტანო დ'აგოსტინო** (ორივე უდინეზე), **დანიელე დე როსი** (რომა), **მარკო მარკიონი** (ფიორენტინა), **ანჯელო პალომბო** (სამპდორია), **ანდრეა პირლო** (მილანი).

თავდამსხმელები - **ანტონიო დი ნატალე** (უდინეზე), **ალბერტო ჯილარდინო** (ფიორენტინა), **ვინჩენცო იაკვინტა** (იუვენტუსი), **ფაბიო კვალიარელა** (ნაპოლი), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი, ესპანეთი).

დავით ცაბაძე

სავარაუდო ტრანსფერი

# სპარტაკის დანაკლისი და მატება

ცხინვალის „სპარტაკი“ აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას აგრძელებს. წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით, სახეშეცვლილ გუნდს ამბიციური გეგმები აქვს. „სპარტაკის“ ერთ-ერთი ფასეული შენაძენი **დავით ოდიკაძე** გახლდათ. იცით, რომ ის ბაქოს „ინტერში“ გააგრძელებს კარიერას, თუმცა დანაკლისს უმალ მატება მოჰყვა - „სპარტაკში“ ითამაშებს არანაკლებ გამოცდილი ფეხბურთელი **ოლეგ გველესიანი**. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ის თბილისის „დინამოში“ თამაშობდა. საერთოდაც, ამ მარცხენაფლანგელმა კარიერა საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში დაიწყო - დებიუტი 17 წლის ასაკში ჰქონდა. თავდაპირველად, ახალგაზრდა ფეხბურთელს „დინამოს“ ძირითადში არც თუ ხშირად უწევდა თამაში. მერე, ერთი სეზონი „ბათუმის“ ღირსებას იცავდა, 2001 წლიდან კი ზედიზედ ექვსი სეზონის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას“ ძირითადი მოთამაშე იყო.

2007 წელს გველესიანი დაბრუნდა იქ, სადაც მისი კარიერა დაიწყო, თუმცა მიზეზთა (ხშირი ტრავმები და სხვა) გამო „დინამოს“ შეუცვლელ ფეხბურთელად ვერ იქცა. არადა, ეროვნულ ჩემპიონატში 200-მდე მატჩი აქვს ჩატარებული და სამწუხაროდ, ზოგიერთ მწვრთნელს დღესაც ვერ გაურკვევია გველესიანის ზუსტი ამპლუა. მიაჩნიათ, რომ ის მხოლოდ დაცვის მარცხენა ფლანგზე უნდა თამაშობდეს, ზოგიერთისთვის კი მარცხენა ნახევარმცველია...

წინა ჩემპიონატში გველესიანი „დინამოში“ თამაშობდა და ამ გუნდის ისტორიაში 1600-ე გოლის ავტორიც გახდა. „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“ შემადგენლობაში საქართველოს ორგზის ჩემპიონი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდა და ყველას რომ ეგონა, რუსთავის „ოლიმპში“ ჩაირიცხებოდა, თავი აზერბაიჯანში ამოყო. თუმცა ბაქოს „სტანდარდში“ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა და ისევ სამშობლოში დაბრუნდა. „სპარტაკის“ ვიცე-პრეზიდენტმა **მურთაზ შელიამ** გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელის ფასი კარგად იცის და გველესიანსაც თავისთან უხმო, მით უმეტეს, „სპარტაკის“ დაცვის მარცხენა ფლანგი აშკარად გაძლიერებას საჭიროებდა (ისე, როგორც კიდევ ორი პოზიცია). ამდენად, გველესიანი სოლიდურ შენაძენად უნდა მივიჩნიოთ.

და „სპარტაკთან“ დაკავშირებული კიდევ ერთი სიახლე - დუბლშემადგენლობის მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი, ლანჩხუთის „გურიას“, ფოთის „კოლხეთისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავკაცი **გიგლა იმნაძე** დაინიშნა, მის თანაშემწედ კი დებიუტანტი მწვრთნელი, 28 წლის **რამაზ სვანაძე** იმუშავებს. სვანაძეების საფეხბურთო ოჯახის წარმომადგენელმა აქტიური კარიერა ტრავმების გამო ნაადრევად დაასრულა და მამისა და ბიძის მსგავსად მწვრთნელობა გადაწყვიტა...

გია ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



გია კვარაცხელია

# კვარაცხელია ლეხს ელოდება

შესაძლოა, **გია კვარაცხელიამ** კარიერა პოლონეთში გააგრძელოს. მინსკის „მტზ-რიპოში" შარშან ზაფხულს ჩარიცხული საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი კლუბის მიტოვებას შარშანვე აპირებდა. „მტზ-რიპოს" მეპატრონე **ვლადიმირ რომანოვს**, რომელიც ლიტვაში „კაუნასის", შოტლანდიაში კი „ჰართსის" მფლობელია, ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა და კლუბის დაფინანსებას ველარ ახერხებდა. თუმცა მაშინ რომანოვმა როგორღაც მოახერხა კვარაცხელიას დატოვება და ოთხი თვის დავალიანებაც ნელ-ნელა გაუსტუმრა.

კრიზისმა „მტზ-რიპოს" ხელი მაინც დარია და წინა წლების ჩემპიონატების ერთ-ერთი ლიდერი 14-გუნდიან ჩემპიონატში ახლა ბოლოსწინა ადგილზეა. კვარაცხელიას აღარ სურს უამბიციოდ და უფულოდ დარჩენილ კლუბში თამაში. აი, რა გვითხრა გიამ.

*„სამწუხაროდ, ახალ კლუბში გადასვლა ველარ მოვახერხე. ფინანსური პრობლემებიც გაჩნდა, ძველებურად ველარ იხდიან ხელფასებს, არადა, შარშან ბელარუსის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი იყო. ხელმძღვანელობას ველაპარაკე და ავუხსენი, რომ უამბიციო კლუბში გაჩერება მიჭირს, მოტივაცია მეკარგება და ეს ჩემი მომზადების დონეზეც აისახება. გინდა თუ არა, ძალაუნებურად სხვაგვარი მენტალიტეტი გიყალიბდება. ასეთ კლუბში არასდროს მითამაშია და წასვლა მსურს. სამწუხაროდ, ტრანსფერში ხელი შემიშალეს. ისარგებლეს იმით, რომ კონტრაქტი მქონდა და როცა კახა ცხადაძემ ბაქოს „ინტერში" მიმიწვია, არ გამიშვეს, კლუბს უჭირს და შენი დახმარება გვჭირდებაო. ნოემბერში კონტრაქტი მიმთავრდება, მანამდე რამენაირად მოვითმენ და საინტერესო ვარიანტი აუცილებლად გამოჩნდება. ყოველ შემთხვევაში, აქ გამჩერებელი ნამდვილად აღარ ვარ. კლუბის ხელმძღვანელობას ვერც შევეწინააღმდეგე, არ არის იოლი გაჭირვებაში კლუბის მიტოვება".*

ბელარუსული კლუბის ქართველმა ვიცე-კაპიტანმა სამომავლო ტრანსფერის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტიც გაგვიმხილა: *„სანამ კონტრაქტი არ დასრულდება, მანამდე ტრანსფერზე ლაპარაკი უაზრობაა. არადა, ბაქოს „ინტერის" გარდა, ზაფხულში კიდევ რამდენიმე საინტერესო წინადადება მქონდა. სხვათა შორის, პოლონური კლუბი - პოზნანის „ლეხიც" მიწვევდა, კონტრაქტიც შემომთავაზეს, მაგრამ ბელარუსებმა იმხელა თანხა მოითხოვეს, „ლეხთან" მოლაპარაკებამ აზრი დაკარგა. ზუსტი თანხა არ ვიცი, კლუბში მითხრეს, ვერ შევთანხმდითო".*

მიუხედავად ფეხბურთელის მტკიცებისა, პოპულარულ საფეხბურთო ვებგვერდ „სოკერვეიზე" დღემდე წერია, რომ ის ლიტვის მოქალაქეა. გია ლიტვაში 3 წელი თამაშობდა, მეუღლეც იქაური ჰყავს და თითქოს, ამაში გასაკვირი არაფერ უნდა ყოფილიყო. ის განმარტავს:

*„ეს შეცდომა თავიდან „მტზ-რიპოს" ვებგვერდზე მოხვდა და შემდეგ ყველამ იგივე გადაწერა. კლუბის პრესსამსახურმა შეცდომა გამოასწორა, მაგრამ საერთაშორისო საიტებამდე ვერ მიაღწია და ჩემს მოქალაქეობას დღემდე შეცდომით წერენ".*

17 ტურის შემდეგ კვარაცხელია 9 გოლით „მტზ-რიპოს" საუკეთესო ბომბარდირია. ვერაფერს იტყვი - საყრდენი ნახევარმცველისთვის შესაშური შედეგიანობაა.

*„ასეთი შედეგიანი სეზონი არასდროს მქონია, კლუბის ბომბარდირიც არასდროს ვყოფილვარ, ჩემი ამპლუიდან გამომდინარე, ამაზე არც არასოდეს მიფიქრია. თუმცა სეზონი ისე აეწყო და უკვე 9 გოლი გავიტანე. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, რადგან სხვა სეზონებში ამის ნახევარიც არ გამიტანია. გუნდის ხელმძღვანელობას ეს ძალზე ახარებს. სამწუხაროდ, ბრესტის „დინამოსთან" ვერ დავეხმარე გუნდს, სოლიგორსკის „შახტიორთან" მატჩში მსაჯმა ორი ყვითელი ბარათი მიჩვენა, მოედნიდან უსაფუძვლოდ გამაგდო და დისკვალიფიცირებული ვიყავი ბრესტის გუნდთან თამაშის უფლება არ მქონდა. პირველად მართლა ვიუხეშე, მეორედ კი ჯარიმა მოწინააღმდეგის ფეხბურთელმა გააფორმა, საერთოდ არ შევხებივარ, თუმცა მსაჯი კი დაარწმუნა, რომ ხელით მოვქაჩე".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები

# დუბლი ნომერი ორი

## გუშინ ჯანომ ჩემპიონს შეუტია, რას იზამს დღეს?

**საქართველოს ნაკრებმა, როგორც იქნა, გამტანი ფორვარდი მიილო - ვლადიმერ დვალიშვილს ერთნაირად სტაბილურად გააქვს როგორც სანაკრებო ასევე საკლუბო ასპარეზზე. დვალიშვილმა უკვე 5 გოლი გაიტანა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ახლა კი ჯერი შინაურ პირველობაზეა - მან ისრაელის ჩემპიონატის მეორე მატჩშივე გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ლადო პირველად თამაშობდა სასტარტო შემადგენლობაში. გოლთან ძალიან ახლოს იყო ლევან ყენიაც, თუმცა მისი გასროლილი „ფრაიბურგის" ძელს მოხვდა.**

**დღის ბოლომდე შეიძლება ერთი ქართული ტრანსფერი განხორციელდეს, ზურაბ ხიზანიშვილი „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავიდეს. გუშინ 16 წლის ჯანო ანანიძემ „რუბინის" წინააღმდეგ „სპარტაკის" ძირითად გუნდში ითამაშა და მწვრთნელთა შექებაც დაიმსახურა. დღეს კი მას მნიშვნელოვანი მოგზაურობა ელის, ჯანო ეროვნულ ნაკრებს უნდა შეუერთდეს, დუბლი პირველი უცნაურად ჩაფლავდა (ჯანო მალტაში არ ჩავიდა, მიზეზიც ძალზე უცნაური თქვა), რა მოხდება დღეს?**

### ყენია, დარტყმა, ძელი!

ბუნდესლიგის მე-4 ტურში ქართველთა „შალკე" მოულოდნელად 0:1 დამარცხდა „ფრაიბურგთან". **ფელიქს მაგათმა** შესვენებაზე სამი ცვლილება განახორციელა, მან ერთდროულად შეუშვა მოედანზე **ჰალილ ალთინთოფი, ლევან კობიაშვილი** და **ლევან ყენია.** მატჩის მიწურულს 18 წლის ქართველს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მან მახვილი კუთხიდან ძელს გაარტყა ბურთი. „ფრაიბურგის" განაცხადში არ ყოფილა **დავით თარგამაძე.** „შპორტალმა" ორივე ჩვენებურს 4,5-4,5 დაუწერა. ყენიას „შპორტალმა" პასების სიზუსტე დაუწუნა. „შალკე" 7 ქულით მე-4 ადგილზეა, „ფრაიბურგი" 4 ქულით მე-15.

### ქეცბაიას ნაკვალევზე

შუა კვირაში **ზურაბ ხიზანიშვილმა** ამ სეზონში პირველად ითამაშა ოფიციალურ მატჩში, ინგლისის თასზე „ბლექბერნმა" „ჯილინგემს" 3:1 აჯობა და ქართველმა მცველმა შეუცვლელად დაყო მოედანზე 90 წუთი. ერთადერთი გოლი მასპინძლებმა მას შემდეგ გაიტანეს, რაც ჩვენებურმა მოწინააღმდეგე წააქცია საჯარიმოში. განახლდა პრემიერლიგა და **სემ ელერდაისმა** ზურა სათადარიგო სკამს დაუბრუნა. „ვესტ ჰემთან" 0:0 დასრულებულ მატჩში, ხიზანიშვილს არ უთამაშია. სატრანსფერო ფანჯარა დღეს იხურება, იმედია, ქართველი მოასწრებს სხვაგან გადასვლას. ამის წინაპირობაც არის - პრემიერლიგიდან გავარდნილმა „ნიუკასლმა" „ბლექბერნს" ხიზანიშვილის გამოსყიდვა შესთავაზა. უახლოეს 24 საათში შეიძლება ეს ტრანსფერი განხორციელდეს, ამ შემთხვევაში ზურაბ ხიზანიშვილი „ნიუკასლ იუნაიტედის" მეორე ქართველი იქნება **თემურ ქეცბაიას** შემდეგ. ქეცბაია „ნიუკასლში" 1997-2000 წლებში თამაშობდა.

**ლევან მჭედლიძემ** გუნდთან ერთად პირველად (ტრავმის შემდეგ) 27 აგვისტოს ივარჯიშა, თუმცა **ვალტერ ძენგას** ქართველი ფორვარდი „ფიორენტინასთან" მატჩისთვის ფლორენციაში არ წაუყვანია. **ლეონარდომ კახა კალაძე** „ინტერთან" დერბიში განაცხადშიც კი არ შეიყვანა. სერია ა-ში ორი ტური მიილია, ჩვენი დუეტისთვის კი სეზონი ჯერ ვერ დაიწყო. საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ მეორე ტურია **გიორგი მაკარიძე** სათადარიგოთა სკამზეა და ის **დიდიე ოვონოს** შემცვლელია. ქართველის „ლე მანი" „ლორიენს" ეწვია და 0:1 დამარცხდა.

### პირველი აღთქმულ მიწაზე

ტოტოლიგის მე-2 ტურში ჩემპიონი „მაქაბი" რაანანას „ჰაპოელს" ესტუმრა და 3:1 მოიგო. ისრაელის ჩემპიონატში თავისი პირველი გოლი **ლადო დვალიშვილმა** გაიტანა. მასპინძელთა კარში მან 87-ე წუთზე გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:1. ლადომ პირველად ითამაშა ჩემპიონატში სასტარტო შემადგენლობაში, პირველ ტურში მან მოედანზე მხოლოდ 15 წუთი გაატარა. ჰაიფელებმა ორ ტურში ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს. **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელი" 1:1 დაუზავდა ფეთაჰ ტიკვას „მაქაბის".

რანგით მეორე, ლეუმითლიგაში სტუმრად 2:0 იმარჯვა ბათ იამის „მაქაბიმ". „ბნეი ლოდის" კარში ერთი გოლი **კოკა მიკუჩაძემ** გაიტანა, ბოლნისის „სიონის" ყოფილმა ფორვარდმა მე-10 წუთზე გაიტანა, ის მე-80 წუთზე შეცვალეს. კოკამ სეზონის პირველივე შეხვედრაში გამოიჩინა თავი.




ჯანო ანანიძე

### თემურის პირველი გამარჯვება

საბერძნეთის ჩემპიონატის მეორე ტურში **თემურ ქეცბაიას** დებიუტი შედგა მწვრთნელის რანგში. „ოლიმპიაკოსი" „ლარისას" ესტუმრა და 2:0 მოიგო. **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი" სტუმრად „პანიონიოსს" დაუზავდა - 1:1. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა დაცვის ცენტრში.

ავსტრიაში „შტურმმა" სტუმრად 2:1 მოუგო „რიდს". **ილია კანდელაკის** გუნდი 12 ქულით მე-3 ადგილზეა და წინ წასულებზე თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა.

დანიურ სასლიგაში სტუმრად 2:0 იმარჯვა **დავით დევდარიანის** „ორჰუსმა". „ნორდსიელანდთან" დევდარიანი 70-ე წუთზე გამოჩნდა. „ორჰუსი" 17 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. მეორე დივიზიონში დამარცხდა **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი". ქართველის გუნდმა სტუმრად „ფრედერიციასთან" დათმო 0:1. გიორგი ძირითად შემადგენლობაში იყო და მან ყვითელი ბარათი მიიღო უხეშობისთვის.

ჩეხური გორგონლიგა ცუდად დაიწყო **დიმიტრი ტატანაშვილის** ახალმა გუნდმა „კლადნომ". მორიგ ტურში „კლადნო" დიმიტრის ყოფილ გუნდ „პლზენთან" 0:1 დამარცხდა. ქართველმა ფორვარდმა მხოლოდ ბოლო 6 წუთი ითამაშა .

სლოვაკეთში „ჟილინამ" 1:0 მოუგო „პრეშოვს". ევროთასებზე ცუდი ასპარეზობის შემდეგ **გიორგი ციმაკურიძე** აღარ გამოჩენილა. უნგრეთში იმარჯვა „ეტომ", **რატი ალექსიძისა** და **გიორგი გაწუგრავას** გუნდმა „ჰონვედი" 2:0 დაამარცხა. ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა რატი ალექსიძე (შეფასება - 5), გაწუგრავა კი წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

სერბეთში ტრავმის შემდეგ გამოჩნდა **მიხეილ ხუციშვილი.** მან სეზონში პირველად სტუმრად „ჩუკარიჩკისთან" 3:1 მოგებულ მატჩში ითამაშა. ქართველი შემტევი 76-ე წუთზე შევიდა **სტოიკას** ნაცვლად. „ვოივოდინა" 3 თამაშიდან 9 ქულით სერბეთში პირველია.

### ანანიძე როდიონოვმა შეაქო

რუსული პრემიერლიგის მე-20 ტურში ჩემპიონმა კონკურენტი მისსავე მოედანზე გაანადგურა, ყაზანის „რუბინი" მოსკოვს ეწვია და კიდევ ერთი დედაქალაქური კლუბის სკალპი წაიღო თათრეთში, ამჯერად „სპარტაკის" - 3:0. სამწუხაროდ, „რუბინის" ქართული სამეულიდან ერთსაც არ უთამაშია (**ლაშა სალუქვაძე** სათადარიგო იყო). სამაგიეროდ, ითამაშა ჯანო ანანიძემ. პირველი ტაიმი „სპარტაკმა" 0:2 დათმო და შესვენებაზე გაგულისებულმა **ვალერი კარპინმა რაფაელ კარიოკას** ნაცვლად 16 წლის ქართველი შეუშვა ბრძოლაში. ანანიძემ ერთი-ორჯერ გაამწვავა სიტუაცია სტუმართა კართან, თუმცა გუშინ „სპარტაკს" არაფერი გამოუვიდა „რუბინის" წინააღმდეგ. ჯანოს „ჩემპიონატ რუმ" დაუფასა აქტიურობა და **ალექსთან** და **ველიტონთან** ერთად მასპინძელთა შორის საუკეთესო შეფასება - 5,5 მიიღო. ანანიძემ კარიერაში მეორედ ითამაშა პრემიერლიგაში და პირველად - მთელი ტაიმი. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე „სპარტაკის" მწვრთნელმა **სერგეი როდიონოვმა** ანანიძე შეაქო, თამაშში კარგად ჩაერთოო. „რუბინი" პრემიერლიგის დასრულებამდე 10 ტურით ადრე 4 ქულით უსწრებს „სპარტაკს".

საოცარია, მაგრამ ფაქტია - ამ დაპირისპირებაში ის ქართველი ლეგიონერი, რომელიც დუბლების ასაკისაა (ანანიძე) ძირითად ტურნირში მონაწილეობდა და ვინც უფრო ასაკოვანია (**დავით კვირკველია, ნუკრი რევიშვილი**) - დუბლებში. „სპარტაკის" დუბლებმა 2:0 მოიგეს, რევიშვილმა ერთი გოლი ასე გაუშვა - მას მასპინძელთა ფორვარდზე ბურთი თავზე გადაუგდო. კვირკველია კი მეორე ტაიმში უდისციპლინო საქციელისთვის გააფრთხილეს.

**მალხაზ ასათიანისა** და **დავით მუჯირის** „ლოკომოტივმა" 4:1 გაანადგურა კრასნოდარის „ყუბანი" სამწუხაროდ, **იური სიომინი** მუჯირს არ განიხილავს სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად, ამ შემთხვევაშიც მან მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. 17 ივლისის შემდეგ, მუჯირმა „ლოკომოტივის" ხუთ მატჩში ზუსტად 2 წუთი ითამაშა. ასათიანმა კი 90 წუთი ითამაშა და 5,5 შეფასება მიიღო. ჩვენმა თანამემამულემ პოზიციის მიუხედავად ერთი-ორჯერ შექმნა ხიფათი სტუმართა კართან, ერთხელ კი ოდნავ ააცილა ბურთი კარს, თუმცა ერთხელ (78-ე წუთზე) კინაღამ საკუთარი კარიც დალაშქრა. „ლოკომოტივი" 32 ქულით მე-5 ადგილზეა.

ყოფილი გუნდის წინააღმდეგ არ უთამაშია **გოგიტა გოგუას** გროზნოს „ტერეკი" დისკვალიფიცირებული ქართველის გარეშე დამარცხდა 0:3 „სატურნთან". გოგიტას ჩემპიონატის 15 მატჩში 4 ყვითელი ბარათი დაუგროვდა (სხვათა შორის, არ არის გოგუასთვის კატასტროფული შედეგი) და „სატურნთან" შეხვედრაც ავტომატურად გამოტოვა. სამაგიეროდ, 63-ე წუთიდან ითამაშა **ლევან გვაზავამ** (შეფასება - 5). „ტერეკს" 24 ქულა აქვს და გასავარდნ ზონას 10 ქულით უსწრებს.

### ბურდულის თავური საგოლე პასი

ვიშალიგის მე-6 ტურში აუტსაიდერმა „ზაკარპატიამ" 2:1 მოუგო კიევის „არსენალს", ეს **ლადო ბურდულის** გუნდის პირველი ქულებია. ითამაშა ჩვენებურმაც, ის მე-8 წუთზე ტრავმირებული **ვალენტინ პლატონოვის** ნაცვლად შევიდა. მასპინძლებმა ანგარიში სწორედ ბურდულის საგოლე პასით გახსნეს, კუთხურის შემდეგ მან ბურთი თავით დაუგდო **დავიდოვს**, რომელმაც ვარდნაში თავით გაიტანა. **სანდრო კობახიძემ** შეუცვლელად ითამაშა „კრივბასისა" და „ილიჩივეცის" მატჩში, რომელიც სტუმრებმა 2:0 მოიგეს. სანდროს ორი საგოლე მომენტი ჰქონდა, პირველ ტაიმში მან მეკარის ბაქნიდან უკვე წაქცეულ გოლკიპერს გაარტყა, მეორეში კი მცველი ჩამოიცილა, საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ ოდნავ ააცილა ბურთი კარს. „კრივბასს" ჯერ ერთი ქულაც არა აქვს.

**ვასილ გიგიაძის** „ტავრიამ" 1:0 მოუგო „ვორსკლას". ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა და „აქტივში" ყვითელი ბარათი ჩაიწერა. „ტავრია" 13 ქულით მე-2 ადგილზეა. „მეტალისტის" განაცხადში არ ყოფილა **ვახტანგ ფანცხავა,** მისმა გუნდმა სტუმრად 2:0 მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს". **სანდრო გურული** სათადარიგო იყო „კარპატის" მატჩში „ობოლონთან" - 5:0. „კარპატი" 11 ქულით მე-5 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი

ლა ლიგა BBVA I ტური



ხუან მატა სევილიის კარის დალაშქვრას ხარობს

# ლასს, გვიხსენ იმედგაცრუებისგან!

მაშ ასე, გადაჭედილ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მძლეოსანმა **უსაინ ბოლტმა** სიმბოლურად წაჰკრა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ფეხი „ნაიკის" ახალთახალ ბურთს და პრიმერა დივიზიონიც დაიწყო... „ლასმა „რეალი" იმედგაცრუებისგან იხსნა," - წერს „დიარიო ასი", მართლაც, რომ არა **ლასანა დიარას** ეფექტური გასროლა მატჩის 59-ე წუთზე, ვინ იცის, შეძლებდა კი **მანუელ პელეგრინის** „დრიმ თიმი" ჩემპიონატის მოგებით დაწყებას. ახალ „გალაქტიკოს" ლა კორუნიის „დეპორტივომ" დიდი ბრძოლა გაუმართა, ორჯერ გაუთანაბრა ანგარიში, მაგრამ 24 წლის ფრანგი ფეხბურთელის საჯარიმოს მისადგომიდან დარტყმულს ველარაფერი მოუხერხა - 3:2. არა **კრიშტიანო რონალდო**, არც **კაკა** ან **ქარიმ ბენზემა**, პირველი ტურის გმირი მოკრძალებული ლასანა დიარა გახდა, რომელმაც გოლთან ერთად ერთი შესანიშნავი პასი **რაულს** გადააწოდა, რომელსაც „დეპორტივოს" კარში პენალტი მოჰყვა.

ესპანური მედია უკმაყოფილებას არ მალავდა, „რეალის" პირველი თამაშით, მაგრამ მანუელ პელეგრინის გუნდმა მიზანს მიაღწია, 3 ქულაც აიღო და არც მოსაწყენი ფეხბურთი უთამაშია, სტუმართა კარში სამი გოლი გავიდა ბოლოს და ბოლოს. ცალკე აღებულ ვარსკვლავებსაც ურიგოდ არ უთამაშიათ, კაკა მახვილგონივრული პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს, სწორედ მის შესანიშნავ პასს მოჰყვა პირველი გოლი, როცა ბრაზილიელმა ლამის ერთდროულად ორ გალისიელ მცველს გაუძვრინა ფეხებს შორის ბურთი, კრიშტიანო რონალდომაც მოქანცა მეტოქეები, მეორე ტაიმში შეტევის მარცხენა ფლანგზე ერთიორჯერ საფირმო შესვლაც გააკეთა, გატანილ გოლთა ანგარიშიც გახსნა პრიმერაში, მაგრამ საერთო ჯამში „რეალის" თამაში არ იყო სასურველი ხარისხის, თანაც ახალ გალაქტიკას ლა ლიგის პირველივე ტურმა უზარმაზარი შავი ხვრელი მოუძებნა დაცვის ცენტრის სახით.

ჩილელმა პელეგრინიმ ერთბაშად 6 ახალწვეული გამოიყვანა მოედანზე, დაცვაში **რაულ ალბიოლი** და **ალვარო არბელოა**, შუა ხაზში - **ჩაბი ალონსო**, კრიშტიანო რონალდო და კაკა, შეტევაში - ქარიმ ბენზემა. **მიგელ ანხელ ლოტინას** გუნდის ლიდერობა 34 წლის ვეტერანმა **ხუან კარლოს ვალერონმა** იკისრა, რომელიც მე-10 სეზონს იწყებს გალისიურ კლუბში. სტუმართა შორის დებიუტი ჰქონდა ბელგრადის „პარტიზანიდან" შეძენილ ბრაზილიელ ნახევარმცველ **ჟუკას**. სტარტიდანვე „რეალმა" ხელთ იგდო ინიციატივა, ლასანა დიარა კარგად აცემენტებდა ნახევარდაცვას, წინ რაული და კაკა აქტიურობდნენ. პირველი გოლიც სუპერბრაზილიელის სუპერპასს მოჰყვა, ერთი მოძრაობით ორი მცველი დატოვა კაკამ ხახამშრალი, მაგრამ ბენზემამ ბურთი ძელს გარტყა და ესპანეთის 2009-2010 წლების ჩემპიონატის პირველი გოლის გატანა რაულს დაანება. რაულმა ალბათ კარიერაში ერთ-ერთი უიოლესი გოლი გაიტანა, სეზონის პირველი და კარიერის 224-ე პრიმერული. მასპინძლებს უმალ შეეძლოთ ორბურთიანი სხვაობით დაწინაურება, მაგრამ ჩაბი ალონსოს ჩამოწოდებულ საჯარიმოს კრიშტიანო რონალდოს არაზუსტი თავური მოჰყვა. სამაგიეროდ, „დეპორტივოს" ფორვარდმა **რიკიმ** ზუსტად დაჰკრა თავი ბურთს და ანგარიში ახლო მანძილიდან გაათანაბრა - 1:1. „რეალს" ხუთი წუთი ეყო კვლავ დასაწინაურებლად, რაული **დანიელ არანსუბიამ** მოცელა, თუმცა თავად გოლკიპერი ირწმუნებოდა, რომ რაულს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი ეკუთვნოდა. მსაჯმა ბასკს არ დაუჯერა, ყვითელი ბარათი იქით უჩვენა და პენალტი დანიშნა, რომელიც პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა მეკარის მარჯვენა კუთხეში გაიტანა - 2:1.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა **კასილიასს** კვლავ მოუწია ბადიდან ბურთის გამოტანამ - მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს ვალერონი და ვეტერანმაც მათ ასეთი შეცდომა არ აპატია, ბურთი ერთი შეხებით დაამუშავა და დაბალ კუთხეში გაიტანა - 2:2. 57-ე წუთზე ვალერონმა „დეპორტივოს" დაწინაურების შანსი გაუშვა ხელიდან, მექსიკელი **ანდრეს გუარდადოს** პასის შემდეგ, ვალერონმა ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი ააცილა კასილიასის კარს. ამას კი ლასანა დიარას სამქულიანი გასროლა მოჰყვა...

მანუელ პელეგრინი, ბევრისდა გასაკვირად, თამაშით ძალიანაც კმაყოფილი დარჩა: *„პირველი მატჩის მოგებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გულშემატკივარი ჩვენგან მხოლოდ კარგ სტარტს ელოდა და ეს დაძაბულობა მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა. როდესაც მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით იგებ, დაძაბული ხარ, რადგან ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია გაგითანაბრონ. ეს ჩვენი პირველი თამაში იყო და ამის გათვალისწინებით თამაშის ხარისხით ძალიანაც კმაყოფილი ვარ. დღეს „რეალმა" შემტევი ფეხბურთი ითამაშა, „დეპორტივომ" კი კარგად ორგანიზებული დაცვა და საშიში კონტრშეტევები დაგვიპირისპირა. თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით თავიდან ბოლომდე. ერთადერთი რაც მაშფოთებს, ძალიან გვიჭირს ჩვენს კართან სტანდარტული მდგომარეობების შესრულებისას",* - აღნიშნა ჩილელმა თავკაცმა პრესკონფერენციაზე.

შაბათის მეორე მატჩში „სარაგოსა" პრიმერა დივიზიონს მოგებით დაუბრუნდა, მაგრამ ეს გამარჯვება კანარის კუნძულების წარმომადგენელ „ტენერიფეზე" ძნელი გამოდგა - 1:0. გამარჯვების გოლი მატჩის დასრულებამდე 17 წუთით ადრე ექსვალენსიელმა **ხავიერ არისმენდიმ** გაიტანა. „ვალენსიაში" ამ ფეხბურთელს მარჯვენა მცველად ათამაშებდნენ, „სარაგოსაში" კი ის ფორვარდია.

გუშინ, ტურის ცენტრალურ მატჩში „ვალენსიამ" ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „სევილია" 2:0 დაამარცხა. „მესტალიაზე" 50 ათასი გულშემატკივრის გასახარად, მეორე ტაიმში თავი **ხუან მატამ** და **პაბლო ერნანდესმა** გამოიჩინეს, სტუმრებმა კი ათი კაცით ჩაამთავრეს მატჩი. ფრანგი ფორვარდი **ფრედერიკ კანუტე** მსაჯმა პირველი ტაიმის მიწურულს მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევა. მასპინძლებმა მეორე ტაიმში კარგად გამოიყენეს რიცხვობრივი უპირატესობა. მეორე ტაიმის მეორე წუთზე მატამ **ევერ ბანეგას** პასით ისარგებლა და ცაციათი დააწინაურა „ვალენსია". მეორე საგოლე პასიც 21 წლის არგენტინელი ნახევარმცველის ანგარიშზეა, ამჯერად გოლი პაბლომ გაიტანა. ბანეგა გასულ სეზონში „ატლეტიკოში" იყო განათხოვრებული, დღის ბოლომდე კი მან შეიძლება „ვალენსია" დატოვოს და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ინგლისში გადაბარგდეს.

„მალაგამ", რომლის სპონსორადაც ორიოდე დღის წინათ „უილიამ ჰილის" კანტორა მოგვევლინა, პირველი სენსაცია შემოგვთავაზა - მადრიდის „ატლეტიკო" 3:0 გაანადგურა. მაროკოელმა ფორვარდმა **ნაბილ ბაამ** აკრობატული ნახტომით 34-ე წუთზე დააწინაურა მასპინძლები. მეორე ტაიმში „ატლეტიკოს" მცველთა ორი უხეში შეცდომა მასპინძელთა ორ გოლში აისახა, თავი **მანუმ** და **ხავი ტორესმა** გამოიჩინეს.

პრიმერაში ქვითკირის დაცვით ცნობილმა „ოსასუნამ" ქულაზე მეტი არ დაანება პამპლონაში „ვილიარეალს" - 1:1. სტუმრები ძალიან კარგად მოთამაშე **სანტი კასორლამ** დააწინაურა, მაგრამ იქვე **ვალტერ პანდიანიმ** ნავარელებს ქულა მოუტანა. მოგვიანებით ვალვერდემ თამაშში გამოცდილი **რობერ პირესი** და **არიელ იბაგასა** ჩართო, მაგრამ მასპინძლები თავს შესანიშნავად იცავდნენ.

პირველ ტურში ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება „ხეტაფემ" მოიპოვა, რომელმაც სტუმრად 4:1 გაანადგურა „რასინგი". სანტანდერში ჰეთთრიკის ავტორი **რობერტო სოლდადო** გახდა. 24 წლის ფორვარდმა სამივე გოლი ახლო მანძილიდან გაიტანა.

„ბარსელონა", რომელმაც შაბათს უკრაინელი **დმიტრო ჩიგრინსკი** დაიმატა, დღეს თამაშობს.

### მომდევნო ტური

13 სექტემბერი. ვილიარეალი-მალიორკა, სპორტინგი-ალმერია, ვალიადოლიდი-ვალენსია, ესპანიოლი-რეალი, ხეტაფე-ბარსელონა, სევილია-სარაგოსა, ატლეტიკო-რასინგი, დეპორტივო-მალაგა, ტენერიფე-ოსასუნა, ხერესი-ბილბაო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### რეალი-დეპორტივო 3:2

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, გარაი, მარსელო - ლ. დიარა, ალონსო - რონალდო, კაკა (83. გუტი), რაული (63. გრანერო) - ბენზემა (73. იგუაინი).

**დეპორტივო:** არანსუბია - ლაურე, ლოპო, ზე კასტრო, ფელიპე - ჟუკა, როდრიგესი - ალვარესი (64. ლაფიტა), გუარდადო, ვალერონი (69. პერესი) - რიკი (72. მისტა).

**გოლები:** 1:0 რაული (25), 1:1 რიკი (29), 2:1 რონალდო (34 პენ), 2:2 ვალერონი (47), 3:2 ლ. დიარა (59)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 28-9 (11-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 79 000

### სარაგოსა-ტენერიფე 1:0

**სარაგოსა (4-4-2):** გარისო - ვიქტორ ლაგუარდია, აიალა, ამო, პონსიო - პენანტი (71. ერერა), გაბი, აგილარი (71. ბაბიჩი), ლოპესი - არისმენდი, უჩე (89. ობრადოვიჩი).

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, მ. მარტინესი, ლუნა, ბელვისი - რიკარდო, რომანი (63. რამოსი) - ალფარო (82. ანხელი), რიჩი, კომე (87. საისარი) - ნინიო.

**გოლი:** 1:0 არისმენდი (73)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 17-16 (8-2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 24 700

### რასინგი-ხეტაფე 1:4

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - კრესპო, მორატონი, ტორეხონი, სეპსი - არანა, კოლსა, ლასენი, სერანო - გეიხო, მუნიტისი (76. მორალი).

**ხეტაფე (4-4-2):** უსტარი - კორტესი, დიასი, რაფა, მანე - რიოსი, სელესტინი, გონსალესი (81. ალბინი), პარეხო (66. ბოატენგი) - სოლდადო, მანუ (74. ლეონი).

**გოლები:** 0:1 რაფა (12), 0:2 სოლდადო (28), 0:3 სოლდადო (33), 1:3 ლასენი (42), 1:4 სოლდადო (56)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 4-9 (3-6); **ბურთის ფლობა:** 26%-74%

**მაყურებელი:** 16 421

### ოსასუნა-ვილიარეალი 1:1

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - აზპილიკუეტა, სერხიო, ფლანო, მონრეალი - ხუანფრანი, ნეკუნამი, პუნალი (90. რუპერი), მასუდი (62. კალეხა) - პანდიანი, არანდა (73. კამუნასი).

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გოდინი, კიკო, კაპდევილია - კასორლა, სენა (27. იბაგასა), ეგურენი, კანი (73. პირესი) - როსი (57. ხონათანი), ნილმარი.

**გოლები:** 0:1 კასორლა (32), 1:1 პანდიანი (37)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-14; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 7-11 (2-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 17 000

### მალიორკა-ხერესი 2:0

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - რამისი, რუბენი, ნუნიესი, აიოსე (65. კეიტა) - კასტრო (85. კორალესი), სუარესი, მარტი, ტუნი - ვიქტორი (71. ვებო), ადურისი.

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, პრიეტო, ხიოდა, მენდოსა - სანჩესი, მორენო - კალვო, აბელი (62. ალექსი), მომო (65. არმენტეროსი) - მალდონადო (72. ანტონიტო).

**გოლები:** 1:0 ადურისი (57), 2:0 ტუნი (60).

**გაძევება:** ხიოდა (40), კალვო (90).

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 10-7 (3-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 10 000

### მალაგა-ატლეტიკო 3:0

**მალაგა (3-5-2):** მუნუა - გასპარი, ტორესი, გამესი - ფორესტიერი (77. ბენ აშური), ვალდო, სტეპანოვი (46. ლუკე), ხუანიტო, მტილიგა (15. მანუ) - ბაა, დუდა.

**ატლეტიკო (4-4-2):** ასენხო - ჰეიტინგა, ხუანიტო, უიფალუში, ა. ლოპესი - მაქსი (79. სინამა-პონგოლე), სანტანა, გარსია (57. ხურადო), სიმაო (61. რეიესი) - აგუერო, ფორლანი.

**გოლები:** 1:0 ბაა (34), 2:0 მანუ (62), 3:0 ტორესი (89)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-8; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 8-16 (4-3); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 12 000

### ბილბაო-ესპანიოლი 1:0

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, ამორებიეტა, უსტარისი, კასტილიო - დე მარკოსი (53. სუსაეტა), მარტინესი, გურპეგი, მუნიანი (89. გაბილონდო) - ლორენტე, ტოკერო (87. იესტე).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - პილუდი, რონკალია, პარეხა, დ. გარსია (62. ჩიკა) - მოისესი, ვერდუ - ლ. გარსია, ალონსო (88. კალეხონი), ნაკამურა - ტამუდო (77. ბენ საჰარი).

**გოლი:** 1:0 ტოკერო (78)

**გაფრთხილება:** 2-6; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 14-8 (4-1); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 38 000

### ვალენსია-სევილია 2:0

**ვალენსია (4-4-2):** მოია - მიგელი, დეალბერტი, ალექსისი, ბრუნო (46. მატიო) - პაბლო, მარჩენა (61. ალბელდა), ბანეგა, მატა - ვილია, სილვა (85. მიჩელი).

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კონკო, სკილაჩი, ესკუდე, ნავარო - ნავასი, დუშერი, რომარიკი (21. სოკორა), პეროტი (55. ნეგრედო) - კანუტე, ლუიშ ფაბიანო (69. კონე).

**გოლები:** 1:0 მატა (47), 2:0 პაბლო (80).

**გაძევება:** კანუტე (45).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-0; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 8-3 (6-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 50 000

### ალმერია-ვალიადოლიდი 0:0

**ალმერია (4-2-3-1):** ალვეში - მასედო, ჩიკო, აკასიეტე, სისმა - ბერნარდელო, ვარგასი (61. როდრიგესი) - ხუან ორტისი (87. ხოსე ორტისი, სორიანო (78. სოლარი), კრუსატი უჩე.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაკობო - ლოპესი, პრიეტო, ნივალდო, იური - რუბიო, მედუნიანი (36. ბორხა) - ალემანი (16. ბარახა), კანობიო, სესმა (73. ფონტი) - მანუჩო.

**გაძევება:** ნივალდო (13).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 20-7 (5-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 12 000

**ბარსელონა-სპორტინგი** დღეს

### სეგუნდა დივიზიონი

I ტური

**ვილიარეალ B-ლევანტე** 2:2

გოლები: 0:1 ბალესტეროსი (26), 0:2 ხუანლუ (27), 1:2 ტომასი (60), 2:2 რუბენი (65)

**რაიო ვალეკანო-ალბასეტე** 3:0

გოლები: 1:0 ქუერო (50), 2:0 პაჩაკო (62), 3:0 კოკე (88)

**უნიონი-უელვა** 0:1

გოლი: 0:1 კოლუნგა (87)

**ლას პალმასი-სოსიედადი** 1:1

გოლები: 0:1 აგუირეჩე (27), 1:1 სეხუდო (45)
გაძევება: გონსალესი (90. ლას პალმასი)

**ხირონა-კარტახენა** 0:1

გოლი: 0:1 დე ლუკასი (7)

**სელტა-ნუმანსია** 1:2

გოლები: 0:1 ველესი (50), 1:1 ტრაშორასი (53), 1:2 დიმასი (78)

**ბეტისი-კორდობა** 3:0

გოლები: 1:0 ხუანმა (23), 2:0 კაფა (67), 3:0 გარსია (83)

**ელჩე-უესკა** 0:2

გოლები: 0:1 რიკო (25), 0:2 რუბიატო (90 პენ)
გაძევება: კაბალერო (78. ელჩე)

**კასტელონი-ერკულესი** 0:0

**კადისი-სალამანკა** 0:1

გოლი: 0:1 აკინსოლა (82)

**მურსია-ხიმნასტიკი** 0:1

გოლი: 0:1 რობერტო (54)



ჩემპიონატის პირველი გოლის შემოქმედნი: კაკა, ბენზემა და რაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი

პრემიერლიგა. V ტური

# დაყენებული დარტყმა







ემოციურ შეხვედრაში, რომლის ბედიც არსენალელი **აბუ დიაბის** მიერ საკუთარ კარში გატანილმა თავურმა გადაწყვიტა, **არსენ ვენგერი** მოედნიდან გააძევეს... მთელმა მსოფლიომ იცის, ვენგერი გაწონასწორებული კაცია და ამიტომ, მოდი, თავიდან ამ უჩვეულო ამბავზე შევჩერდეთ - ვენგერის გაძევება „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში **რობინ ვან პერსის** არჩათვლილ გოლს მოჰყვა. მსაჯ, **მაიკ დინს** ეს გოლი რომ ჩაეთვალა, შეხვედრა 2:2 დასრულდებოდა, რადგან უკვე მსაჯის წამატებული წუთებიც კი იწურებოდა, მაგრამ არბიტრი თანამსაჯის მიერ აწეულ ოფსაიდის ალმნიშვნელ ალამს ენდო, რის გამოც გაბრაზებულმა ფრანგმა მწვრთნელმა პლასტმასის ბოთლს ამოსცხო ფეხი და... დაისაჯა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბრიტანელმა ჟურნალისტებმა „არსენალის" თავკაცი კიდევ ერთ ეპიზოდზე ლაპარაკით დატანჯეს - სულ რაღაც 24 საათი იყო გასული მას მერე, რაც **ედუარდომ** „სელტიკთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მსაჯს პენალტი გამოსტყუა, რომ ამჯერად **ემანუელ ებუმ** მიიღო ყვითელი ზუსტად იმავე საქციელისთვის. ვენგერს თავი არ ჩაუხრია:

*„ჯობდა, თამაშისთვის გეყურებინათ და ვინ როგორ თამაშობდა, იმისთვის მიგექციათ ყურადღება. ჩვენ დღეს სწორად ვითამაშეთ, ხოლო, რაც შეეხება ორთაბრძოლებსა და ნაქცევებს, ყოველი მათგანის კომენტარს ჩემგან ნუ მოითხოვთ. მე, მაგალითად, დღეს დავინახე, როგორ დაჯარიმდა ერთი ფეხბურთელი დაახლოებით ოცჯერ, მაგრამ მსაჯს მისთვის ყვითელი ბარათის ჩვენება რატომღაც აზრად არ მოსვლია. ახლა მეკითხებით, ვინ იყო ეს ფეხბურთელი? გეყურებინათ ფეხბურთისთვის და ძალიან იოლად დაინახავდით... ბოთლს ფეხი რატომ გაჰკარიო. არ ვიცოდი, თუკი ბოთლისთვის ფეხის გაკვრა არ შეიძლებოდა. თან, მშვენიერი დარტყმა გამომივიდა. მოკლედ, ყოველთვის, როდესაც მანჩესტერში „ოლდ ტრეფორდზე" სათამაშოდ ჩამოვდივართ, ერთი და იგივე მეორდება, მაგრამ მსაჯობაზე ამდენი ლაპარაკი მომბეზრდა".*

ანგარიში „არსენალმა" გახსნა და გაჩნდა ეჭვი, რომ ვენგერის გუნდი პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ერთად, ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას მოიპოვებდა - პირველი ტაიმის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე **ანდრეი არშავინმა** საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი მიიღო, გაისწორა და ჩინებული ტრაექტორიით გაუშვა **ბენ ფოსტერის** კარში. „მანჩესტერ იუნაიტედი" შესვენების შემდეგ, ათი-თხუთმეტი წუთის განმავლობაშიც არ ჩანდა აღმაფრენაში მყოფი ჩრდილოლონდონელების ბეჭებზე დამდები გუნდი - მაგალითად, მოედანზე დაბრუნების შემდეგ პირველი სახიფათო მომენტი ისევ „არსენალისა" იყო, მაგრამ მე-60 წუთისთვის სტუმართა მეკარე **ალმუნია** საჯარიმოში შეჭრილ **უეინ რუნის** ფეხებში ჩაუნვა, რუნიმ კი ეპიზოდს ალლო აუღო, ბურთი გააგდო და „პენალტზე ითამაშა". თერთმეტმეტრიანი დარტყმა თავად რუნიმ შეასრულა და ანგარიში გაქვითა, შემდეგ კი მოხდა სრულიად გამაოგნებელი რამ: **რაიან გიგზის** მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს დიაბი აუხტა და... ლაზათიანი თავურით თავისი გუნდის კარში შეაგდო.

...და სანამ პრემიერლიგის ორი დიდი გუნდი ურთიერთობას არკვევდა, **ჰარი რედნაპის** „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" ყოველგვარი ხმაურის გარეშე, თუმცა ფრიად დაძაბულ შეხვედრაში, მეოთხე თამაშიც მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ აღარ ხუმრობს. დაძაბული შეხვედრა ვახსენეთ... **აარონ ლენონმა** „ბირმინგემ სიტის" კარში გამარჯვების გოლი რომ გაიტანა, მსაჯის წამატებული მეხუთე წუთი მიდიოდა - მეტი რაღა დრამატიზმი გინდათ?! გარემარბი მაცხენა ფრთიდან შევარდა სტუმართა საჯარიმოში და ბურთი კუთხეში დაუმიზნა.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში სამივე გოლი ბოლო 20 წუთში გავიდა. ჯერ იყო და მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა **პიტერ კრაუჩმა** გახსნა ანგარიში, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ **ლი ბოიერმა** „სფურზის" საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ის გოლი შეაგდო, რომელიც ამ შეხვედრაში ყველას ბოლო ეგონა. სხვათა შორის, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თამაშის ბოლო მონაკვეთში ბირმინგემელები უფრო შემართებულნი ჩანდნენ, „ტოტენჰემს" კი თითქოს იდეები შემოაკლდა, მაგრამ ბოლოს რაც მოხდა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ოთხი თამაშიდან ოთხი გამარჯვება აქვს **კარლო ანჩელოტის** „ჩელსისაც", რომელმაც შაბათს დაამტკიცა, რომ „ბარნლი", რომელმაც ამას წინათ „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა, სინამდვილეში სასწაულმოქმედი სულაც არ არის. ამ შეხვედრაზე ბევრი სალაპარაკო არც არის, რადგან ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი გუნდი, რომელთაგან ერთი ძლიერია, ჩინებულ ფორმაშია და მოედანზე ყველაფერი გამოუდის, მეორე კი, მართალია, ყოჩაღობს, მაგრამ პრემიერლიგაში ახალი ასულია და პირველთან ახლოს ერთი პარამეტრითაც ვერ მივა.

სხვათა შორის, პირველი მომენტი სტუმრებს ჰქონდათ, შანსი ხელიდან **მარტინ პეტერსონმა** გაუშვა, თუმცა, შემდეგ **ნიკოლა ანელკამ** ანგარიში გახსნა და ყველაფერი თავის ლოგიკურ ადგილზე დადგა. ანელკამ, შესვენების წინ, **დიდიე დროგბას** პასით შეაგდო. შემდეგ, **ფრენკ ლემპარდმა** ჩაკიდა საჯარიმოში, სადაც **მიხაელ ბალაკი** განვა და თავური ისე შეაგდო, ხოლო მესამე და საოცარი სილამაზის გოლი **ეშლი კოულისა** გახლდათ. ცნობისათვის: „ჩელსი" და „ბარნლი" ინგლისური ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს 35 წელიწადი არ შეხვედრიან. მათი ბოლო თამაში აქამდე 1974 წლით თარიღდებოდა. მაშინაც „ჩელსიმ" მოიგო, 2:1.

„ბლექბერნისა" და „ვესტ ჰემის" შეხვედრა კი მოსაწყენი და უგოლო გამოდგა. მასპინძლებს ბურთის კარში შეგდების ორი შესაძლებლობა ჰქონდათ, ორჯერვე პასი **დევიდ დანისა** იყო, დარტყმა კი შეცვლაზე შესული კანადელი თავდამსხმელის **დავიდ ოილესი**, მაგრამ ოილემ ორივეჯე ააცილა მიზანს.

სამაგიეროდ, „ბოლტონისა" და „ლივერპულის" შეხვედრაში გავიდა ხუთი გოლი და ერთი გაძევებაც კი იყო - პირველი ამ სეზონში. „ლივერპულმა," რომლის შესახებაც ადრეც ვწერდით, რომ მეტი წაგების უფლება აღარ ჰქონდა, კინაღამ კიდევ წააგო - ორჯერ მარცხდებოდა და შემოატრიალა მდგომარეობა. პირდაპირ უნდა ითქვას, მერსისაიდელებს **შონ დევისის** საკმაოდ საეჭვო გაძევებამ უშველა. ამ დროისთვის „ბოლტონი" 2:1-ს იგებდა, მაგრამ მთელი აღმაფრენა ჩაეშალა, „ლივერპულს" კი პირიქით, ფრთები შეესხა და საბოლოოდ გაიმარჯვა.

„სტოკმა" **დეივ კიტსონის** მიერ პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი გოლით გაიმარჯვა. „სანდერლენდთან" შეხვედრაში მასპინძლებს მეტი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მათი გამარჯვება დამსახურებული იყო. ერთი-ორი შესაძლებლობა სტუმრებს, კერძოდ, **დარენ ბენტს** და **ფილ ბერდსლისაც** ჰქონდათ. საერთოდ, შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს, უინტერესო 35 წუთამდე და მას მერე უფრო შესახედავი.

ვულვერჰემპტონში კი ჯერ სტუმრებმა, „ჰალის" ფეხბურთელებმა გაიტანეს, ხოლო შემდეგ მასპინძლებმა გაქვითეს და ამ სეზონში პირველი საშინაო ქულა მოიპოვეს.

„ასტონ ვილამ" „ფულჰემს" კომფორტულად მოუგო - **გაბრიელ აგბონლაჰორის** მოხდენილმა დარტყმამ ბირმინგემელთა მიერ ლონდონელების ძლევას წერტილი დაუსვა. არადა, პირველი გოლი, შეხვედრის დასაწყისში, მასპინძლებმა მოწინააღმდეგის დახმარებით გაიტანეს - **ეშლი იანგის** ჩაწოდებულ კუთხურს **ჯონ პენტსილმა** თავით საკუთარი გუნდის კარში მიუჩინა ადგილი.

„ევერტონმა" კი ახალი სეზონის პირველი გამარჯვება დრამატულად მოიპოვა - გადამწყვეტი გოლი პენალტით გავიდა, მერედა ეს პენალტი მსაჯის წამატებულ წუთებზე დაინიშნა და იგი **ლეიტონ ბეინესმა** თავის ყოფილ გუნდს, „უიგანს" შეუგდო. არადა, ანგარიში უიგანელებმა გახსნეს, თუმცა ფრანგმა **ლუი საამ** მალევე გაათანაბრა.

და ბოლოს, „მანჩესტერ სიტიც" ასპროცენტიანია - მესამე შეხვედრაში მესამე გამარჯვება მოიპოვა. როგორც ჩანს თავისებურ რეკორდს უმიზნებს ტოგოელი **ემანუელ ადებაიორიც**, რომელმაც ახალ გუნდში ჩატარებულ სამივე შეხვედრაში გოლი გაიტანა. ოთხივე შეხვედრაში დამარცხებულ „პორტსმუთთან" შეხვედრის 30-ე წუთზე ის **გარეთ ბერის** ჩაწოდებულ კუთხურს მეტოქე მცველებზე მაღლა აუხტა და პირდაპირ მიზანში დაარტყა.

## მომდევნო ტური

**12 სექტემბერი. პორტსმუთი-ბოლტონი, ბლექბერნი-ვულვერჰემპტონი, უიგანი-ვესტ ჰემი, ლივერპული-ბარნლი, სტოკ სიტი-ჩელსი, სანდერლენდი-ჰალი, მანჩესტერ სიტი-არსენალი, ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი. 13 სექტემბერი. ბირმინგემი-ასტონ ვილა, ფულემი-ევერტონი.**

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### ჩელსი-ბარნლი 3:0

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა (66. ბელეტი), კარვალიუ, ტერი, ე.კოული, ბალაკი (83. მიკელი), ესიენი, ლემპარდი, დეკუ, ანელკა, დროგბა (75. კალუ).

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, ბიკეი, ჯორდანი, ფლეტჩერი, მაკკანი, ალექსანდერი (74. მაკდონალდი), ბლეიკი (78 გერერო), ელიოტი, პეტერსონი (58. გუდიონსონი).

**გოლები:** 1:0 ანელკა (45), 2:0 ბალაკი (47), 3:0 კოული (52)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 9-5; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 33-4 (15-0); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 40 906

### ტოტენჰემი-ბირმინგემი 2:1

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ჩორლუკა, კინგი (46. ჰატონი), ბასონგი, ასუ-ეკოტო, ლენონი, პალასიოსი, ჰადლსტოუნი, მოდრიჩი (49. კრაუჩი), კინი, დეფო (80. პავლიუჩენკო).

**ბირმინგემი:** ჰარტი, პერნაბი, ჯონსონი, კუოდრო, კარი, ლარსონი (90. მაკშეფრი), კერსლი (73. ბენიტესი), ფერგიუსონი, მაკფადენი, ბოიერი, ოკონორი.

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (72), 1:1 ბოიერი (75), 2:1 ლენონი (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 26-13 (10-5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 35 318

### ბლექბერნი-ვესტ ჰემი 0:0

**ბლექბერნი:** რობინსონი, იაკობსენი, სამბა, ჟივე, შიმბონდა, ნზონზი (60. ოილე), დანი, გრელა, ენდრიუსი, პედერსენი, რობერტსი (75. კალინიჩი)

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფობერი, კოლინზი, აპსონი, სპექტორი, ნობლი, პარკერი, კოლისონი (87. კოვაჩი), სტანისლასი, ხიმენესი (66. დაიერი), კოული

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 19-14 (6-1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 23 421

### ბოლტონი-ლივერპული 2:3

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, რიკეტსი, კეჰილი, ნაითი, სემუელი, კ.დევისი, მუამბა (90. რიგა), კოენი (78. სტეინსონი), ტეილორი, შ. დევისი, ელმანდერი (59. ბეშამი).

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, კარაგერი, კირიაკოსი, ინსუა, ლუკასი, მასკერანო (74. ვორონინი), რიერა (63. ბენაიუნი), ჯერარდი, კუიტი (89. დოსენა), ტორესი.

**გოლები:** 1:0 კ. დევისი (33), 1:1 ჯონსონი (41), 2:1 კოჰენი (47), 2:2 ტორესი (56), 2:3 ჯერარდი (83)

**გაფრთხილება:** 2-1; **გაძევება:** 1-0; **კუთხური:** 5-11; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 9-30 (3-9); **ბურთის ფლობა:** 20%-80%.

**მაყურებელი:** 23 284

### სტოკი-სანდერლენდი 1:0

**სტოკი:** სიორენსენი, უილკინსონი, შოუკროსი, ფაიე, ჰიგინბოთემი, ლოურენსი, უილანი, დილაპი, ეტერინგტონი (78. უაიტჰედი), ფულერი (84. ჩანლი), კიტსონი (90. ჰუთი).

**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, ნოსვორზი, ფერდინანდი, მაკარტნი, მალბრანკი (58. კემპბელი), კეტერმოლი (80. ჰენდერსონი), კანა, რიჩარდსონი (58. რიდი), ბენტი, ჯონსი.

**გოლები:** 1:0 კიტსონი (43)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 10-10; **ჯარიმა:** 11-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 14-9 (5-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 27 091

### ვულვზი-ჰალი 1:1

**ვულვზი:** ჰენესი, სტირმენი, კრედოკი, მანსიენი, ელოკობი, ჰელფორდი, ჰენრი, მილიაში, ჯერვისი, კეო (89. ვოუკსი), დოილი.

**ჰალი:** მაიჰილი, ზაიატი, ტერნერი, მუიოკოლო, დოუსონი, გილასი (73. ფეგანი), ოლოფინიანა, კილბეინი, ჰანტი, ჯოვანი (82. ბარმბი), ფოლანი (63. ალტიდორი).

**გოლები:** 0:1 ჯოვანი (3), 1:1 სტირმენი (46)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 23-5 (6-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 27 906

### მანჩესტერ იუნ-არსენალი 2:1

**მანჩესტერი:** ფოსტერი, ოში, ვიდიჩი, ბრაუნი, ევრა, ვალენსია (63. პარკი), კარიკი, ფლეტჩერი, გიგზი (85. ბერბატოვი), ნანი, რუნი.

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ვერმაელენი, კლიში, ებუ (71. ბენდტნერი), სონგი, დენილსონი (79. ედუარდო), დიაბი, არშავინი (81. რემსი), ვან პერსი.

**გოლები:** 0:1 არშავინი (40), 1:1 რუნი (59პ), 2:1 დიაბი (64ს.კ.)

**გაფრთხილება:** 3-6; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 14-12 (3-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 75 095

### პორტსმუთი-მანჩ. სიტი 0:1

**პორტსმუთი:** ბეგოვიჩი, ვანდენ ბორი, ქაბული, მოკოენა, ბელჰაჯი, სმიტი (68. უტაკა), ბრაუნი, მალინსი, კრანჩარი, ჰიუზი (87. ნაგენტი), პიკიონი (73. კანუ).

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, რიჩარდსი (60. საბალეტა), ტურე, ლესკოტი, ბრიჯი, აირლენდი (76. დე იონგი), ბერი, რაიტ-ფილიპსი, ბელამი, ტევესი, ადებაიორი.

**გოლი:** 0:1 ადებაიორი (30)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-14 (1-7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 17 826

### ევერტონი-უიგანი 2:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, დისტინი, ბეინესი, ოსმანი (70. ფელაინი), ფ. ნევილი, როდველი, პიენაარი (89. ბილიალეტდინოვი), კეჰილი, საა (76. ჟო).

**უიგანი:** პოლიტი, მელხიოტი, ბრამბლი, ბოისი, ფიგეროა, გომესი, ტომასი (73. ჩო), დიამე (36. სკოტლენდი), ნზოგბია, შარნერი, როდალეგა (82. სინკლერი).

**გოლები:** 0:1 შარნერი (57), 1:1 საა (62), 2:1 ბეინესი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 1-6; **კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 11-24; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 31-14 (8-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 35 122

### ასტონ ვილა-ფულჰემი 2:0

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, ბეიე, კუელარი, კლარკი, შორი, მილნერი, სიდუელი, პეტროვი, იანგი, რიოკოკერი (72. კარეუ), აგბონლაორი.

**ფულემი:** შვარცერი, პენტსილი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, დემპსი, ეტუჰუ, გრინინგი, დაფი, ნიველენდი (75. ჯონსონი), კამარა.

**გოლები:** 1:0 პენტსილი (3-საკ. კარში), 2:0 აგბონლაჰორი (59)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 11-7; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 10-8 (2-0); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 32 917

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 12 |
| 2. ტოტენჰემი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 3. მანჩესტ. იუნ | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 9 |
| 4. მანჩესტ. სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 5. სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-4 | 7 |
| 6. არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 11-4 | 6 |
| 7. ლივერპული | 4 | 2 | 0 | 2 | 9-7 | 6 |
| 8. ასტონ ვილა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 9. სანდერლენდი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| 10 ბარნლი | 4 | 2 | 0 | 4 | 2-5 | 6 |
| 11. ვესტ ჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 12. ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 13. ვულვზი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 14. ჰალი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 15. ფულჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 16. ევერტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 |
| 17. უიგანი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 18. ბლექბერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 19. ბოლტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |
| 20. პორტსმუთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - დეფო (ტოტენჰემი), რუნი (მანჩესტერ იუნ); 3 - ტორესი (ლივერპული), დროგბა (ჩელსი).

## ჩემპიონშიფი

V ტური

**ბარნსლი-რედინგი 1:3**

**გოლები:** 1:0 გრეი (11), 1:1 პირსი (29), 1:2 (53პ), 1:3 ჰანტი (54)

**ბლექპული-ქოვენთრი 3:0**

**გოლები:** 1:0 ადამი (13პ), 2:0 ბარჯესი (59), 3:0 ტეილორ-ფლეტჩერი (71)

**ბრისტოლ სიტი-მიდლსბრო 2:1**

**გოლები:** 1:0 მეირენდი (63), 1:1 ჯონსონი (80პ), 2:1 მეირენდი (90)

**დონკასტერი-კარდიფი 2:0**

**გოლები:** 1:0 ლოკვუდი (13), 2:0 ჰეიტერი (17)

**იფსვიჩი-პრისტონი 1:1**

**გოლები:** 0:1 უოლისი (12), 1:1 უოლტერსი (45)

**ნოტინგემ ფორესტი-დერბი 3:2**

**გოლები:** 1:0 მაიევსკი (1), 2:0 ბლეკსტოკი (28), 3:0 ტაისონი (43), 3:1 მორგანი (51-საკ. კარში), 3:2 ლაივმორი (62)

**პლიმუთი-შეფილდ უენ 1:3**

**გოლები:** 0:1 ვუდი (33), 0:2 თუგაი (72პ), 1:2 გოუ (80), 1:3 თუგაი (90)

**სკანთორპი-ქუინზ პარკი 0:1**

**გოლები:** 0:1 ტაარბატი (3)

**შეფილდ იუნ-ვესტ ბრომვიჩი 2:2**

**გოლები:** 0:1 ბედნერი (54), 1:1 ევანსი (56), 1:2 ბედნერი (60), 2:2 კოტერილი (88პ)

**სუონსი-უოტფორდი 1:1**

**გოლები:** 0:1 გრემი (66), 1:1 ტეიტი (90)

**პიტერბრო-კრ. პალასი დღეს**

**ნიუკასლი-ლესტერი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ბრომ. | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 2. კარდიფი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 3 მიდლსბრო | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| 4. ნიუკასლი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| 5. ბრისტოლ სტ. | 5 | 3 | 1 | 1 | 6-6 | 10 |
| 6. პრესტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-4 | 9 |
| 7. შეფილდ იუნ. | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| 8. შეფილდ უენ. | 5 | 2 | 2 | 1 | 10-5 | 8 |
| 9. ლესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 10. ბლექპული | 5 | 1 | 4 | 0 | 7-4 | 7 |
| 11. დერბი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-8 | 7 |
| 12. ქოვენთრი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 13. უოტფორდი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-8 | 6 |
| 14. დონკასტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 15. ქპრ | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 16. ნ. ფორესტი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 17. რედინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 18. სუონსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |
| 19. კრ. პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 20. სკანთორპი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-13 | 3 |
| 21. პლიმუთი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-10 | 2 |
| 22. იფსვიჩი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |
| 23. პიტერბორო | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |
| 24. ბარნსლი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

**ბომბარდირები:** 7 - ჩოპრა (კარდიფი); 4 - ამეობი (ნიუკასლი), ა. ჯონსონი (მიდლსბრო), მაინარდი (ბრისტოლ სიტი).

## პირველი ლიგა

V ტური

**მილუოლი-ბრაიტონი 1:1, ჰადერსფილდი-იეოვილი 2:1, ლეიტონ ორიენტი-კერლისლი 2:2, სტოკპორტი-საუთჰემპტონი 1:1, სვინდონი-საუთენდი 2:1, ტრანმერი-ჩარლტონი 0:4, უოლსოლი-ჯილინგემი 0:0, უაიკომბი-ბრისტოლ როვერსი 2:1, ბრენტფორდი-ოლდჰემი 1:1, კოლჩესტერი-ლიდსი 1:2, ექსეტერი-მილტონი 1:2, ჰარტლპული-ნორვიჩი 0:2.**

## მეორე ლიგა

V ტური

**ბორნმუთი-ქრიუ 1:0, ეკრინგტონი-შრუზბერი 1:3, ბარნეტი-ნოთს ქაუნთი 1:0, ბრედფორდი-თირქუეი 2:0, ბარტონი-ნორთჰემპტონი 3:2, ჩესტერფილდი-მორკემბლი 1:1, დაქენჰემი-ლინკოლნი 3:0, დარლინგტონი-ჩენტელჰემი 1:1, გრიმსბი-ოლდერშოტი 1:2, ჰერეფორდი-პორტ ვეილი 2:2, მაკლსფილდი-როთერჰემი 1:3, როჩდეილი-ბარი 3:0.**

## კონფერენსი

VI ტური

**უიმბლდონი-ოქსფორდი 0:1, ბეროუ-ტამუორთი 1:0, კემბრიჯი-გეითსჰედი 3:0, ჩესტერი-მენსფილდი 0:1, ქროული თაუნი-გრეის ატლეტიკი 1:1, იბსფლიტი-ჰეიესი 1:2, ფორესტ გრინი-რექსჰემი 0:2, კეტერინგი-ლუთონი 0:0, კიდერმინსტერი-ელტრინჩემი 3:0, სელისბერი-ისტბერნი 1:1, სტივენიჯი-რაშდენი 2:1, იორკი-ჰისტონი 3:1.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# მოურინიო: აი, ჩემი ინტერი!

## იუვენტუსი ბრაზილიური გოლებით



ინტერში მილიტო საუკეთესო იყო

ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს? - მილანური დერბის შესვენებაზე **სილვიო ბერლუსკონიმ** „სან სირო" დატოვა, დატოვა გაბრაზებულმა, ალბათ, ალშფოთებულმაც. პატრონის გაბრაზება კი მისი ხელქვეითებისთვის არ უნდა იყოს კარგის ნიშანი. იმ მომენტისთვის „მილანი" უკვე 3:0-ს აგებდა, პირველი ტაიმის შემდეგ...

რა თქმა უნდა, უმალ მითქმა-მოთქმა ატყდებოდა - რაკი ბერლუსკონიმ ასე დემონსტრაციულად დატოვა დერბი, ესე იგი, **ლეონარდო** ფრთხილად უნდა იყოს! ან ასე - აჰა, ლეო უკვე მოხსნილია, შეურაცხყოფილი პრეზიდენტი მას ასეთ მარცხს არ აპატიებს, თან ვისთან...

შესაძლოა, სწორედ ამგვარი ხმების გასანეიტრალებლად, ბერლუსკონი მოულოდნელად დაბრუნდა სტადიონზე, **ჟოზე მოურინიოს** ხელი ჩამოართვა, თბილად გაესაუბრა და გამარჯვება მიულოცა, „მილანის" ბიჭები კი გაამხნევა - მე მჯერა თქვენი შესაძლებლობებისო. არ გამოვრიცხოთ, რომ ბატონი პრემიერი გულის სიღრმეში ნანობს კიდეც, ლეონარდოს რომ ჩააბარა საჭე, მაგრამ ახლა იხტიბარს არ გაიტეხს და არ მოხსნის მწვრთნელს. ეს იქნებოდა შეცდომის აღიარება. ამბობენ, ბერლუსკონის ამგვარი რამ არ სჩვევიაო. ასე რომ, სილვიო მოთმინებით უნდა დაელოდოს იმ დღეს, როცა ლეოს „მილანი" თავის თამაშს იპოვის და გაიბრწყინებს. ისე, ხომ შეიძლება, ასეც მოხდეს? დამწყებია და უნდა ვაცალოთ...

მოკლედ, „როსონერიმ" მძიმე მარცხი ინვნია. მაგრამ ვის არ წაუგია - რა, განა „ინტერი" არ იყო, 2001 წელს დერბიში 0:6 რომ გაბითურდა? ცხოვრება გრძელდება, მაგრამ არის კითხვები, რომელიც პასუხებს ითხოვს. გამართლდა მოლოდინი - „მილანი" ჩემპიონატს მოუმზადებელი შეხვდა, როგორც სპორტული, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. გაუგებარი სატრანსფერო სვლები და შემაძრწუნებელი შედეგები წინასასეზონო სპარინგებში - ასე მივიდა ლეონარდოს „მილანი" ისტორიაში ყველაზე ადრეულ დერბიმდე. რაც შეეხება „სიენასთან" პირველი ტურის მატჩს, ის ორი კაცის (**პატო, რონალდინიო**) თამაში იყო. შაბათს კი „მილანი" მთელი 90 წუთის განმავლობაში იდგა, იდგნენ პატოც და რონალდინიოც. ორჯერ თუ სამჯერ დაარტყა კარში **ჰუნტელაარმა**, რომელსაც დებიუტი ჰქონდა. ეს იყო და ეს.

ცალკე თემაა **გატუზო**. მან აიკიდა 11-მეტრიანი და იქვე ყვითელი ბარათიც, ხოლო მანამდე ტრავმა მიიღო. მწვრთნელს ანიშნა კიდეც, შემცვალეო. მაგრამ ვიდრე **ზეედორფი** გახურდებოდა, „რინომ" მეორე ყვითელიც დაირტყა და თანაგუნდელები ცუდ დღეში ჩააგდო. გასახდელისკენ მიმავალმა გატუზომ ერთი ამბავი აუტეხა მწვრთნელს - რატომ დროულად არ იმოქმედეო?! ნამატჩევს ლეონარდო იტყვის, რომ შეიძლება, ეს მართლაც მისი შეცდომა იყო. რაც შეეხება გატუზოს ტრავმას, გაირკვა, რომ ის ორკვირიან მკურნალობას საჭიროებს, რაც ამას ნიშნავს - „მილანის" ნახევარმცველი და კაპიტანი საქართველოს ნაკრებთან საპაექროდ ვერ ჩამოვა.

რაც შეეხება „ინტერს". შეიძლება ითქვას, მოურინიოს ხელში „ნერაძურიმ" საუკეთესო მატჩი ითამაშა. ჩემპიონის ყველა რგოლი საოცარი შემართებით მოქმედებდა, აღარაფერს ვამბობთ თამაშის ხარისხსა და მექანიზმზე, რომელმაც თავიდან ბოლომდე გამართულად იმუშავა - მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. კაპიტან **ძანეტის** მეთაურობით გაუვალი იყო ნახევარდაცვა. უაღრესად სასარგებლო გარჯის გამო უნდა შევაქოთ ახალწვეული **სნეიდერიც**, რომელიც ჟოზემ უმალ სასტარტოში გაამწესა...

მაგრამ საგანგებოდ ორ კაცზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ლაპარაკია **მილიტოსა** და **მაიკონზე**. პირველმა ორი დიდებული საგოლე პასი გააკეთა და ერთი ბურთიც თავად შეაგდო 11-მეტრიანიდან. ამას გარდა, არგენტინელი ფორვარდი შუა ხაზშიც იხევდა და იქიდან ცდილობდა შეტევის ორგანიზებას. მაიკონი კი დღესდღეობით ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველია მსოფლიოში. უშუალო მოვალეობის ხუთიანზე შესრულება და პლუს, შეტევაში ჩართვა - მგონი, არ უნდა იყოს ცოტა.

გოლებიც არ გამოგვრჩეს. ანგარიში გაიხსნა 29-ე წუთზე, როცა **ეტოომ, მილიტომ** და **ტიაგო მოტამ** ერთი შეხებით გაითამაშეს ეფექტური კომბინაცია, რის შემდეგაც მოტა ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და ბურთი შორეული კუთხისკენ „მოჭრა".

მერე იყო პენალტი. გატუზომ ეტოო მოცელა და მილიტომ ბურთი პირდაპირ „ცხრიანში" გაუშვა. ტაიმის მიწურულს კი იმავე მილიტომ უკვე მაიკონს შეუქმნა დასარტყმელი სივრცე - **სტორარი**, რომელმაც ორიოდ წუთით ადრე საოცარი ბურთი აუღო **ლუსიოს**, ამჯერად უძლური აღმოჩნდა.

„ინტერს" მეორე ტაიმშიც ჰქონდა მომენტები. სტორარის შორიდანაც „ბომბავდნენ". აგერ, **სტანკოვიჩმა** 25 მეტრიდან ამოსცხო ბურთს და მაღალ, შორეულ კუთხეში ლამაზად გაახვია - 4:0! ეს იყო „ინტერის" 63-ე გამარჯვება („მილანს" 58 მატჩი აქვს მოგებული) სერია A-ს 173-ე „მადონინაში".

მატჩის შემდეგ მოურინიომ თავისი გუნდი ცამდე აიყვანა: *„ამ სეზონში ჩვენ სულ სხვა ფილოსოფიით ვთამაშობთ. რა თქმა უნდა, მიყვარს გამარჯვება, მაგრამ გამარჯვება ლამაზი ფეხბურთით, ეს უკვე სულ სხვაა და დღეს სწორედ ეს ფეხბურთი ვაჩვენეთ. პირველ ტურში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მიხარია, რომ ბიჭებმა აქედან სწორი დასკვნები გააკეთეს. დღეს უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ჩემი „ინტერი"!.. სნეიდერი რატომ დავაყენე? ის ტალანტია. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს რისკი იყო, მაგრამ ხანდახან ესეც საჭიროა. სნეიდერი ის ფეხბურთელია, რომელსაც კარგად ეხერხება ნახევარდაცვასა და შეტევას შორის კავშირის დამყარება. გასულ სეზონში ჩვენ გვაკლდა ასეთი ფეხბურთელი. იბრაჰიმოვიჩი? მის გარეშეც კი, დღეს ჩვენი გუნდის პოტენციალი გაცილებით დიდია. ჩვენ ახლა გვყავს ხუთი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ასევე გვაკლდა შარშან, ასე რომ, „ინტერი" დღეს უფრო დაბალანსებულია... ახლა მოუთმენლად ველით „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩს. ამ თამაშში გამოჩნდება, რისი მიღწევა შეგვიძლია ამ ტურნირში".*

ლეონარდომ დერბი ასე შეაჯამა: *„პირველ გოლამდე თანაბარი თამაში იყო, ჩვენ სწორ გზაზე ვიდექით, მაგრამ მერე ველარ შევძელით მძიმე სიტუაციიდან გამოსვლა. ეს არის ის, რაზეც უნდა ვიმუშაოთ... რაც შეეხება გატუზოს ეპიზოდს, მას ფეხში მოარტყეს და ჩვენ ჯარიმა უნდა დაგვერტყა, მაგრამ ჯენარო გაეკიდა ეტოოს და პენალტიც დაიმსახურა. აქ პატარა გაურკვევლობა იყო, ზეედორფს მოედანზე შესასვლელად დრო სჭირდებოდა... შეიძლება, მეც ცოტა ზედმეტად დავაყოვნე... სამწუხაროდ, დროის პატარა მონაკვეთში ყველაფერი ჯაჭვური რეაქციით მიეწყო ერთმანეთს. ცხადია, მარცხი მეტად მძიმეა, მაგრამ სიტუაცია გამოსწორდება. იქნება ტაქტიკური ცვლილებებიც. შესაძლოა, რონალდინიოს უფრო წინ წაწევა გამართლებული იყოს. ვნახოთ. „მილანი" იპოვის საკუთარ თავს".*

ამ უქმეების კიდევ ერთი ინტრიგა „რომა"-„იუვენტუსი" იყო. ხანდახან, პირველ ტურს სათვალავში არ იღებენ - სასტარტო ნერვიულობა ბევრი გუნდის რეალურ სახეს ვერ აჩენსო. მაგალითად, „ჯენოასთან" წაგების შემდეგ „რომაზე" თქვეს, ეს გუნდი შარშანდელზე ძლიერი იქნებაო (თუმცა ვერ გავიგეთ, რა კრიტერიუმით). „კიევოსთან" „იუვენტუსის" მოკრძალებული საშინაო გამარჯვებაც (1:0) ვერ ჩაითვალა „ქალბატონის" რეალური ძალის საზომად...

ვფიქრობთ, გუშინ ყველა კითხვას პასუხი გაეცა. „რომას" რომ დაცვა არ ჰყავს, ეს კიდევ ერთხელ ვნახეთ, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ **ლუჩანო სპალეტის** ბიჭებმა შეტევაშიც ვერ ივარგეს. **დე როსის** ბრწყინვალე გოლი უფრო ყარაულის ნასროლივით იყო - უცნაური ტრაექტორია და ოდნავ წინ გამოსული ბუფონი ანგარიშის გასათანაბრებლად საკმარისი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგე მხარე იყო სრულად კონცენტრირებული. **დიეგომ** და **ფელიპე მელომ** „იუვეს" ძალა და ფანტაზია შემატეს. ბრაზილიური გოლები ბრაზილიელის კარში და 3:1 - ასპროცენტიანი „სინიორა" და უქულო „ჯალოროსი", ასეთია ამ საინტერესო მატჩის შედეგი.

დიეგოს პირველი გოლი **კასეტის** უხეშ შეცდომას მოჰყვა. „რომას" მცველმა მოედნის ცენტრში ჩააბარა ბურთი ექსვერდერელს, რომელიც შემტევმა კარამდე მიიტანა და ლამაზად შეაგდო შორეულ კუთხეში. მანვე მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ მოიგდო ბურთი, **მექსეს** თავბრუ დაახვია და თანამემამულე მეკარეც განბილებული დატოვა. უკვე მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ფელიპე მელომ 18 მეტრიდან ბურთი დაბალ კუთხეში გაახვია.

ამას გარდა, ტურინელებს კიდევ ჰქონდათ მომენტები - **იაკვინტასა** და **ამაურის** ორ-სამჯერ მაინც შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, ერთხელ ბურთი ძელსაც მოხვდა (ერთი ასეთი საფრთხე ბუფონის კართანაც იყო)... ამ დროს კი **ჩირო ფერარამ** არ ათამაშა **დელ პიერო**. თუმც ვერ ვიტყვით, რომ ამ კონკრეტულ მატჩში ალექსი „იუვეს" ძალიან აკლდა...

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

13 სექტემბერი. ატალანტა-სამპდორია, ბოლონია-კიევო, ფიორენტინა-კალიარი, ჯენოა-ნაპოლი, ინტერი-პარმა, ლაციო-იუვენტუსი, ლივორნო-მილანი, პალერმო-ბარი, სიენა-რომა, უდინეზე-კატანია.

## სერია A II ტური

### ბარი-ბოლონია 0:0

**ბარი:** ჟილე 6 - ა. მაზიელო 6, რანოკია 6.5, ბონუჩი 6, პარიზი 6 - ე. ალვარესი 5.5 (87. ე. რივასი), გაცი 6, დე ვეცე 6, ალეგრეტი 5 (67. ლანჯელა 6.5) - კუტუზოვი 5.5, მეჯორინი 5.5 (76. სფორცინი 5).

**ბოლონია:** ვივიანო 6 - კ. ძენონი 6, ბრიტოსი 6.5, პორტანოვა 6.5, რაჯი 6.5 (76. ჯაკ. ტედესკო), ვიჯანი 6, მინგაცინი 6, გუანა 6.5, ვალიანი 6 - ბომბარდინი 5.5 (82. მუტარელი) - ოსვალდო 6.

**გაძევება:** სფორცინი (90. ბარი)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10-16 (1-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 21 000

### მილანი-ინტერი 0:4

**მილანი:** სტორარი 5 - ძამბროტა 5, ნესტა 5, ტიაგო სილვა 6, იანკულოვსკი 4.5 - გატუზო 4, პირლო 4, ფლამინი 5 (46. ამბროზინი 5) - რონალდინიო 5 (64. ჰუნტელაარი 5.5) - პატო 6, ბორიელო 5 (46. ზეედორფი 5).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6.5 - მაიკონი 7, ლუსიო 6.5, სამუელი 6, კივუ 6.5 - ხ. ძანეტი 6.5, სტანკოვიჩი 6.5, ტიაგო მოტა 7 (60. მუნტარი 6) - სნეიდერი 7 (73. ვიეირა 6) - მილიტო 8 (79. ბალოტელი), ეტოო 7.

**გოლები:** 0:1 ტიაგო მოტა (29), 0:2 მილიტო (36-პენ), 0:3 მაიკონი (45), 0:4 სტანკოვიჩი (67)

**გაძევება:** გატუზო (40. მილანი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 10-19 (2-7); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 78 467

### რომა-იუვენტუსი 1:3

**რომა:** ჟულიო სერჯიო 7 - კასეტი 5.5, მექსე 6, ბურდისო 6, რიისე 6 (71. ვუჩინიჩი 6.5) - დე როსი 7, პისარო 6, პეროტა 5.5 (81. ჩერჩი 6) - ტადეი 6 (46. ტონეტო 6), მენეზი 6 - ტოტი 6.

**იუვენტუსი:** ბუფონი 6.5 - გრიგერა 6, ფ. კანავარო 6.5, კიელინი 7, დე ჩელიე 5.5 (74. ლეგროტალიე) - ფელიპე მელო 7, ტიაგო მენდეში 6, მარკიზიო 6 (62. კამორანეზი 6) - დიეგო 8 (85. პოულსენი) - იაკვინტა 6.5, ამაური 7.

**გოლები:** 0:1 დიეგო (25), 1:1 დე როსი (35), 1:2 დიეგო (68), 1:3 ფელიპე მელო (90)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 10-25 (4-10); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 53 000

### ატალანტა-ჯენოა 0:1

**ატალანტა:** კონსილი 6 - დარიჩი 6.5 (90. მადონა), თ. მანფრედინი 6, ტალამონტი 5, ბელინი 6 - გუარენტე 5.5 (76. კაზერტა), ე. ბარეტო 6.5, ხ. ვალდესი 5 (60. ტირიბოკი 5.5), პადოინი 6 - კ. დონი 5.5 - აკვაფრესკა 6.

**ჯენოა:** ამელია 6.5 - ტომოვიჩი 6, მორეტი 7.5, კრიშიტო 6, მილანეტო 6 - საპატერი 5.5 (65. ბიავა 6), ფატიჩი 6, მ. როსი 6.5 - პალასიო 5 (73. პაპასტატოპულოსი 5.5), მესტო 7, ფიგეროა 5.5 (52. სკული 6).

**გოლი:** 0:1 მორეტი (45)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 20-24; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 10-7 (2-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 10 670

### ფიორენტინა-პალერმო 1:0

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 6.5 - კომოტო 6.5, გამბერინი 6.5, კროლდრუპი 7, პასკუალი 6.5 - დონადელი 6, კ. ძანეტი 6.5 (76. მონტოლივო), ვარგასი 6 (82. იორგენსენი), სანტანა 6 (62. მარკიონი 6) - ჯილარდინო 6.5, იოვეტიჩი 7.5.

**პალერმო:** რუბინიო 6 - კასანი 5.5, კიაერი 6.5, ბალცარეტი 6, ბოვო 6 - პასტორე 6.5 (85. ჯოვ. ტედესკო), ბერტოლო 6 (69. ბუდანი 6), ნოჩერინო 5 (64. სიმპლისიუ 5.5) - ბრეშანო 5.5 - კავანი 5.5, მიკოლი 5.5.

**გოლები:** 1:0 იოვეტიჩი (29)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 23-14; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 21-8 (4-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 24 576

### სამპდორია-უდინეზე 3:1

**სამპდორია:** კასტელაცი 7.5 - სტანკევიჩუსი 6, მ. როსი 6, გასტალდელო 6.5, ძაური 6 - ტისონე 6.5, პალომბო 6, მანინი 7.5 (64. პადალინო 6.5), სემიოლი 7 (76. ციგლერი) - კასანო 7 (87. ბელუჩი), პაცინი 7.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი 6.5 - ისლა 6.5, ფელიპე 5, კოდა 5.5, ლუკოვიჩი 4.5 - გ. დ'აგოსტინო 7, სამარკო 6 (46. სანჩესი 6.5), ინლერი 7 - ფლორო ფლორესი 4.5, პეპე 5 (82. კორადი) - დი ნატალე 7.

**გოლები:** 1:0 პაცინი (11), 2:0 მანინი (45), 2:1 დი ნატალე (56), 3:1 კასანო (83)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 16-26; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 22-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 23 000

### კიევო-ლაციო 1:2

**კიევო:** სორენტინო 5 - მანტოვანი 5.5, იეპესი 6, მორერო 5, რიგონი 5.5 (66. ბენტივოლიო 6.5) - ნ. ფრეი 5.5, პინცი 5.5, მარკოლინი 6.5, ლუსიანო 5.5 (79. დე პაულა) - ბოგდანი 5.5 (66. გრანოკე 6), პელისიერი 6.5.

**ლაციო:** მუსლერა 6 - ლიხტშტაინერი 6.5, რადუ 5, კრიბარი 4.5, კოლაროვი 6.5 - ბარონიო 6.5, მათუსალემი 6.5, მაური 7, დაბო 6.5 (71. სკალონი 6) - კრუსი 7.5 (60. დიაკიტი 6.5), სარატე 6.5 (90. როკი).

**გოლები:** 1:0 პელისიერი (16), 1:1 კრუსი (41-პენ), 1:2 კრუსი (53)

**გაძევება:** კრიბარი (60. ლაციო)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 33-21; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 3-6 (1-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 11 000

### პარმა-კატანია 2:1

**პარმა:** მირანტე 7.5 - დ. ძენონი 6, პანუჩი 6, პაჩი 6.5, ა. ლუკარელი 6 - მარიგა 5.5, გალოპა 7 (82. დელაფიორე), მორონე 6.5, ლანცაფამე 6 (66. ლუნარდინი 6) - ბიაბიანი 6.5 (80. ბოჟინოვი ) - პალოსკი 7.5.

**კატანია:** ანდუხარი 6.5 - პოტენცა 5.5, სილვესტრე 6, სპოლი 6, კაპუანო (4. პ. ალვარესი 6) - კარბონი 6, შაკა 6, ბიაჯანტი 6.5 (58. ლამა 6.5), დელვეკიო 5.5 - რიკიუტი (75. პლასმატი 6) - მასკარა 7.

**გოლები:** 1:0 გალოპა (14), 1:1 ბიაჯანტი (15), 2:1 პალოსკი (47)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 19-26; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 9-7 (5-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 000

### ნაპოლი-ლივორნო 3:1

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6.5 - კამპანიარო 7, პ. კანავარო 6, კონტინი 6 - გარგანო 5.5, ჰამშიკი 7, ჩიგარინი 6.5 (76. ბოლიაჩინო), დატოლო 6.5 (56. სუნიგა 6), მაჯო 5.5 - ლავეცი 7, კვალიარელა 8 (88. ჰოფერი).

**ლივორნო:** დე ლუჩია 5.5 - რაიმონდი 6, დინისი 6.5, პეტრიკონე 6, პიერი 5 - კანდრევა 7, ბერგვოლდი 6 (46. მორო 6), ა. ფილიპინი 6.5 (86. ჩელერინო), პულცეტი 6 - კ. ლუკარელი 7, ტავანო 5.5 (74. დანილევიჩუსი 5).

**გოლები:** 1:0 კვალიარელა (10), 2:0 ჰამშიკი (36), 2:1 კ. ლუკარელი (48), 3:1 კვალიარელა (83)

**გაძევება:** პიერი (90. ლივორნო)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 15-6 (5-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 30 000

### კალიარი-სიენა 1:3

**კალიარი:** მარკეტი 5.5 - კონტი 5, ასტორი 5, ლოპესი 4.5, აგოსტინი 5.5 - ფ. პიზანო 5, კოსუ 6 (57. ნენე 6.5), ლაძარი 6.5, ბიონდინი 6.5 (74. ბარონე) - ჟედა 6.5, ლარივეი 4 (57. მატრი 6.5).

**სიენა:** კურჩი 6.5 - როსეტინი 5, ბრანდაუ 6.5, ფიკანია 6.5, დელ გროსო 6 - კოდრეა 6.5, ფინი 6 (90. იაიალო), გეზალი 6.5, ვერგასოლა 6.5 - მაკარონე 6 (71. რეჟინალდო 7), კალაიო 7 (74. იაროლიმი).

**გოლები:** 0:1 კალაიო (52), 0:2 კალაიო (71), 1:2 ჟედა (76-პენ), 1:3 რეჟინალდო (89)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 11-27; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 10-9 (4-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. ჯენოა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 4. ლაციო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 5. ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 6. პარმა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7. ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 9. სიენა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 10. პალერმო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11 მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 12. ბარი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 13. ბოლონია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 14. უდინეზე | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 15. კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16. ლივორნო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17. კატანია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 18. კიევო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19. ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 20. რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - დი ნატალე (უდინეზე); 2 - კალაიო (სიენა), დიეგო (იუვენტუსი), ჰამშიკი (ნაპოლი), პალოსკი (პარმა), პატო (მილანი), პაცინი (სამპდორია), კვალიარელა (ნაპოლი), კრუსი (ლაციო).

## სერია B

II ტური

**ანკონა-სალერნიტანა 2:0**

გოლები: 1:0 კოლაკონე (35), 2:0 ძავანიო (90)

**ჩიტადელა-ალბინოლეფე 2:1**

გოლები: 0:1 ბერგამელი (5), 1:1 პეტინარი (32), 2:1 არდემანი (36)

**ფროზინონე-მანტოვა 1:0**

გოლი: 1:0 მაცეო (72)

**გალიპოლი-ჩეზენა 0:2**

გოლები: 0:1 ჯაკერინი (68), 0:2 დუ პრადო (74-პენ)

**მოდენა-ასკოლი 1:2**

გოლები: 0:1 რომეო (45), 0:2 ბერნაჩი (69), 1:2 გოცი (88)

**პიაჩენცა-ლეჩე 3:2**

გოლები: 1:0 ტ. ბიანკი (35), 2:0 ტული (51), 3:0 ტ. ბიანკი (61), 3:1 დეფენდი (72), 3:2 ჯაკომაცი (74)

**რეჯინა-პადოვა 1:1**

გოლები: 1:0 ბრიენცა (13), 1:1 კანი (38)

**ტრიესტინა-გროსეტო 1:0**

გოლი: 1:0 ნეფი (30)

**ვიჩენცა-სასუოლო 1:1**

გოლები: 1:0 ზგრინია (31), 1:1 მაზუჩი (50)

გაძევება: დე ჩეზარე (58. ვიჩენცა)

**კროტონე-ბრეშა 0:0**

**ტორინო-ემპოლი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფროზინონე | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. სასუოლო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ასკოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. პადოვა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. რეჯინა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. ბრეშა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 7. ტრიესტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 8. ლეჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 9. ტორინო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 10. ემპოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 11. ჩეზენა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 12. ჩიტადელა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 13. პიაჩენცა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 14 ანკონა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 15. ვიჩენცა | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 16. ალბინოლეფე | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 17. მანტოვა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 18. გალიპოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 19. კროტონე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 20. მოდენა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 21. სალერნიტანა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 22. გროსეტო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**ბომბარდირები:** 2 - ბაკლე (ლეჩე), რ. ბიანკი (ტორინო), ტ. ბიანკი (პიაჩენცა), რომეო (ასკოლი), ზგრინია (ვიჩენცა).

## ლეგა პრო 1/A

II ტური

ალესანდრია-პროპატრია 2:1, არეცო-მონცა 1:0, ბენევენტო-ლეკო 2:1, კომო-ვარეზე 1:1, ნოვარა-სორენტო 2:1, პაგანეზე-კრემონეზე 1:3, პერგოკრემა-ფოლინიო 2:2, ვიარეჯო-ლუმეცანე 2:2, პერუჯა-ფილინე დღეს.

## ლეგა პრო 1/B

II ტური

კავეზე-პესკარა 1:1, კოზენცა-პეშინა 1:1, ფოჯა-ჯულიანოვა 1:1, პოტენცა-ანდრია 3:1, რავენა-სპალ 1:1, რეალ მარჩანიზე-პორტოგრუარო 1:2, რიმინი-რეჯანა 1:1, ტერნანა-ტარანტო 2:1, ვირტუს ლანჩანო-ვერონა 0:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

# რობენის პირველი შოუ

## 24-მილიონიანმა ჰოლანდიელმა და რიბერიმ ბაიერნი კრიზისიდან გამოიყვანეს

ერთი კვირის წინ მიუნხენური გემის ჩაძირვის შესახებ ვწერდით და ასეთი კითხვა დავსვით: უკაცრავად, ეს „ბაიერნია"? ერთ კვირაში ვითარება რადიკალურად შეიცვალა: მართალია, ეს ჯერ კიდევ არ არის ის „ბაიერნი", რომელსაც ჩვენ ყველანი ვიცნობთ, მაგრამ ფაქტია, რომ რეკორდმაისტერმა კურსი შეცვალა და ფსკერისკენ აღარ მიიწევს, სულაც პირიქით - „ბაიერნი" კრიზისიდან გამოვიდა. 3:0 „ვოლფსბურგთან" და პირველი გამარჯვება მეოთხე ტურში. გერმანიის მოქმედი ჩემპიონი კი, კარგი სტარტის შემდეგ, დაღმა დაეშვა, წააგო რა ზედიზედ მეორე თამაში.

„ბაიერნმა" ყველაფრისთვის ჯავრი იყარა, განსაკუთრებით კი იმ 5:1-ისთვის, წინა სეზონის მიწურულს „ვოლფსბურგმა" რეკორდმაისტერს რომ დაუფიქსირა, რის შემდეგაც „მგლების" გაჩემპიონებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. მიუნხენს კი ახალი გმირი ჰყავს: 25 წლის **არიენ რობენი**, რომელშიც 24 მილიონი ევრო გადაიხადეს. ჰოლანდიელმა პირველივე შეხვედრაში დუბლი შეასრულა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო - ამაზე უკეთესი დებიუტი არ არსებობს!

მიხარია, რომ რობენი „ბაიერნში" გადმოვიდაო, აღფრთოვანებული გახლდათ მატჩის შემდეგ რეკორდმაისტერის თავკაცი **ლუის ვან გაალი**. ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** კი უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს „ბაიერნმა" რობენი ბანკიდან აღებული კრედიტის მეშვეობით შეიძინა. „შესანიშნავი საღამო გამოვიდა. მოედანზე შევედი და დუბლი შევასრულე. ამაზე უკეთეს დებიუტს ვერც ვინატრებდი. მიუნხენში თამაშებისა და ტიტულების მოსაგებად ჩამოვედი," - აღნიშნა რობენმა, რომელიც „ბაიერნის" ქომაგების ახალი კერპია - მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ბუცებით თამაშობს, ლურჯი კი, მოგეხსენებათ, „მიუნხენ 1860-ის" ფერია.

რობენის პირველი მიუნხენური შოუ, რომელშიც მთავარი როლი ჰქონდა **ფრანკ რიბერისაც**, ასეთი სცენარით განვითარდა: პირველი ტაიმი „ბაიერნმა" 1:0 მოიგო, მეორე ნახევარში კი, ვან გაალმა **ჰამით ალთინთოფის** ნაცვლად, მარჯვენა ფლანგზე ჰოლანდიელი ახალწვეული გაამწესა. და რობენმა მაშინვე დაიწყო ვოლფსბურგელების დაწიოკება. მართალია, პირისპირ დუელში **შეფერს** ვერაფერი დააკლო, სამაგიეროდ, მერე ცენტრისკენ მიიწევდა და იქ კი ველარაფერს გახდნენ ვოლფსბურგელები. სწრაფი, ტექნიკური და ძალიან სახიფათო - ეს სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც „ბაიერნს" ასე ძლიერ სჭირდებოდა. 63-ე წუთზე ვან გაალმა მოედანზე რიბერიც შეუშვა (**ოლიჩის** ნაცვლად) და აი, სწორედ აქედან იწყება ის შოუ, რომელიც ამ ორმა ფეხბურთელმა ბოლო 27 წუთში დადგა. რიბერიმ ორჯერ გაუკეთა საგოლე პასი რობენს და ისინი იმდენად ჰარმონიულ კომბინაციებს ითამაშებდნენ, თითქოს წლებია, თანაგუნდელები იყვნენ. არადა, რობენი მიუნხენში სულ 2 დღის ჩასული გახლდათ. ორივე შემთხვევაში ჰოლანდიელმა იდეალურად გამოიყენა რიბერის პასები და „ალიანს არენას" პუბლიკაც ამღერდა: „ტიტები ამსტერდამიდანო," - მერე რა, რომ რობენი ამსტერდამელი არ არის და ჰოლანდიის დედაქალაქში არც არასდროს უთამაშია...

რობენისა და რიბერის წყვილმა მიუნხენურ პუბლიკას არაერთხელ შეუკრა სუნთქვა. საფინალო სასტვენის შემდეგ კი, ჰოლანდიელმა თქვა, ხელმძღვანელები დამპირდნენ, რომ რიბერი მიუნხენში დარჩებაო. აღსანიშნავია, რომ შაბათის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ყველა ბაიერნელს არ უზეიმია. გულდაწყვეტილები და აშკარად ნაწყენები იყვნენ **მიროსლავ კლოზე** და **მიხაელ რენზინგი**. როგორც მოსალოდნელი იყო, ვან გაალმა რენზინგი ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაიყვანა და რთული წარმოსადგენია, რომ მიხაელი რეკორდმაისტერის ძირითადში დაბრუნდეს, რადგან **ჰანს-იორგ ბუტმა** შესანიშნავად ითამაშა, რამდენიმე მკვდარი ბურთი მოიგერია და ძნელად სავარაუდოა, ადგილი ისევ დათმოს .



რაც შეეხება მოქმედ ჩემპიონს: „ვოლფსბურგმა" პირველ ტაიმში კატასტროფულად ითამაშა, მეორეში კი გამოსწორდა, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენა. არადა, „მგლებს" ძალიან კარგი მომენტები ჰქონდათ. ერთ-ერთ ეპიზოდში **ედინ ჯეკომ** მიუნხენელთა ყველა მცველი (!) გზიდან ჩამოიშორა (ზუსტად ისე, როგორც წინა სეზონში **გრაფიტემ**) და დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. მოკლედ, „ჰამბურგთან" 2:4-ის შემდეგ „ვოლფბსურგმა" მორიგი დარტყმა მიიღო. სამაგიეროდ, როგორც იქნა, ვოლფებმა თავიდან მოიშორეს იტალიელი **კრისტიან ძაკარდო**, რომელიც 2.5 მილიონად „პარმაში" გაიყიდა. სანაცვლოდ მათ ატლეტიკოელი **ჯონი ჰეიტინგა** სურდათ და შეუთანხმდნენ კიდეც მადრიდულ კლუბს 8 მილიონზე, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა, რადგან ჰეიტინგამ ძალიან მაღალი ხელფასი მოითხოვა.

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** „ლევერკუზენისა" და „ბოხუმის" მატჩის მომენტები რომ ნახა, ფაქტია. ნახა **შტეფან კისლინგის** მეოთხე გოლი მეოთხე მატჩშიც, მაგრამ ვერ გეტყვით, ინანა თუ არა ბუნდესმწვრთნელმა ის, რომ ამ უკანასკნელს ნაკრებში არ უხმო. წესით, უნდა ენანა! რადგან კისლინგი დღესდღეობით საუკეთესო გერმანელი თავდამსხმელია. სწორედ კისლინგმა შეუნარჩუნა „ლევერკუზენს" ლიდერობა, გაიტანა რა გამარჯვების გოლი „ბოხუმის" კარში. მატჩის შემდეგ კი, „ბაიერის" თავკაცმა **იუპ ჰაინკესმაც** თქვა, კისლინგი თამაშის საუკეთესო ფეხბურთელი იყოო. მაგრამ: 4 გოლი 4 თამაშში და შტეფანი მაინც არ არის გერმანიის ნაკრებში გამოძახებული. სამაგიეროდ, გამოძახებულები არიან კლოზე, **პოდოლსკი** და **კაკაუ**. „შტეფანი თავის საქმეს შესანიშნავად აკეთებს. თავდამსხმელმა ამაზე მეტი რა უნდა გააკეთოს?" - გაკვირვებულია „ლევერკუზენის" კაპიტანი **სიმონ როლფესი**, რომელიც ბუნდესგუნდში გამოძახებულია. „ლევერკუზენის" შეფი **რუდი ფიოლერი** ამბობს, კისლინგმა ლიოვს გამოუძახებლობისთვის მოედნიდან გასცა საკადრისი პასუხიო.

ყველასათვის მოულოდნელად, **ფელიქს მაგათმა** „შალკეს" მწვრთნელისა და მენეჯერის რანგში პირველი მარცხი განიცადა და თანაც, „ფრაიბურგთან", საკუთარ მოედანზე (0:1)! რა გასაკვირია, რომ „დესპოტი ფელიქსი" თავის შეგირდებზე ძალიან გაბრაზდა. „არ ვიცი, რა დავარქვა ჩემი გუნდის თამაშს. ეს იყო აბსოლუტურად უაზრო და უიმედო ფეხბურთი. „შალკემ" ზუსტად ისე ითამაშა, როგორც წინა სეზონში. შეშინებული ვარ! არ მეგონა, თუ ასე ცუდად ვითამაშებდით," - ცოფებს ყრიდა ჩემპიონი მწვრთნელი, რომელმაც „შალკეში" გადასვლით ნამდვილად აუტკივარი თავი აიტკივა. მაგათი ყველაზე მეტად **ჰიოვედესზე** გაბრაზდა, რომელმაც **დუ-რი ჩას** გოლის დროს მოყვარულივით ითამაშა და შეცვალა კიდეც ეს უკანასკნელი შესვენებაზე - **კობიაშვილით.** „შალკეში" ბევრი პრობლემაა. „ბილდი" წერს, რომ გუნდს დაახლოებით 136.6 მილიონის ოდენობის ვალი აქვს და საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით გავრცელდა ცნობა, რომ ფეხბურთელები ხელფასებს ერთთვიანი დაგვიანებით იღებენ. მეორე ტაიმში ითამაშა **ლევან ყენიამაც**, რომელმაც მხოლოდ ის შეძლო, რომ ერთ მომენტში ბურთი ძელს მოარტყა.

პარასკევს, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" წინა ტურში „ბაიერნის" მძლეველ „მაინცს" 2:0 მოუგო და სატურნირო ცხრილში ძალიან ზემოთაა, რის გამოც, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ წელს „გლადბახი" ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. აღსანიშნავია, რომ ბუნდესლიგაში პირველი გოლი გაიტანა არგენტინელმა გოლეადორმა **რაულ ბობადილიამ**, რომელზეც მიონხენგლადბახში დიდ იმედებს ამყარებენ. დორტმუნდის „ბორუსიამ" ფრანკფურტში მხოლოდ ფრეს მიაღწია და ისიც მსაჯის დახმარებით (1:1) - საინტერესო კი ისაა, რომ „აინტრახტი" ჯერაც დაუმარცხებელია. ახალ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა „ჰოფენჰაიმმა" - „სოფლელებმა" სტუმრად „ჰანოვერი" დაამარცხეს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილი „შტუტგარტი" კი „ნიურნბერგთან" მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

გუშინ, „ჰამბურგმა" „კიოლნი" 3:1 დაამარცხა და იმის გამო, რომ უფრო მეტი ბურთი აქვს გატანილი, ვიდრე „ლევერკუზენს" (ქულები და ბურთების სხვაობვა სხვაობა ერთნაირი აქვთ), პირველ ადგილზე გადავიდა. „კიოლნი" კი, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. „თხები" ბოლო ადგილზე არიან. მესამე ადგილზე კი „ვერდერი" წამოსკუპდა. კვირას, ბრემენელებმა ბერლინიდან წაიღეს სამი ქულა, დაამარცხეს რა „ჰერტა" დაძაბულ ბრძოლაში 3:2. ოთხი ტურის შემდეგ, ბერლინური კლუბი მე-16 ადგილზეა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცამ**

### მომდევნო ტური

12 სექტემბერი. **ვოლფსბურგი-ლევერკუზენი, ბორუსია (დ)-ბაიერნი, ჰოფენჰაიმი-ბოხუმი, ფრაიბურგი-აინტრახტი, მაინცი-ჰერტა, ნიურნბერგი-ბორუსია (მ).**
13 სექტემბერი. **ჰამბურგი-შტუტგარტი, ვერდერი-ჰანოვერი, კიოლნი-შალკე.**

## ბუნდესლიგა. IV ტური

### ბორუსია (მ)-მაინცი 2:0

**ბორუსია:** ჰაიმეროთი 3.5 - ლეველსი 3, ბრაუერსი 2.5, დანტე 2, ყორე 4.5 - ტ. მარქსი 1.5, მეეუვისი 3.5 - მატმური 4.5 (76. როისი), არანგო 3.5 - კოლაუტი 5 (88. ნოიშტედტერი), ბობადილია 2 (80. ნოივილი).

**მაინცი:** ჰ. მიულერი 4 (36. ვეტკლო 2.5) - ფ. ჰელერი 4, ბუნგერტი 3.5, ვან დერ ჰეიდენი 5, ლიოვი 4 - ბ. სვენსონი 4 (76. გუნკელი) - ჰოოგლანდი 3.5, კარჰანი 4, ივანშიტცი 4.5 (66. ჰიკა 5), შიურლე 3 - ბონსე 5.

**გოლები:** 1:0 ბობადილია (29), 2:0 როისი (84)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17(5)-9(2); **ჯარიმა:** 17-21; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 42 217

### ბაიერნი-ვოლფსბურგი 3:0

**ბაიერნი:** ბუტი 2 - ლამი 3, ვან ბუიტენი 2.5, ბადშტუბერი 3.5, პრანიჩი 3.5 (57. ბრააფჰეიდი 4) - ტიმოშჩუკი 2 - ჰამით ალთინთოფი 3.5 (46. რობენი 1.5), შვაინშტაიგერი 2.5 - თ. მიულერი 3.5, ოლიჩი 2 (63. რიბერი 2) - გომესი 3.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო 3.5 - რიტერი 4.5, მადლუნგი 4, ბარძალი 4.5, მ. შეფერი 3.5 - სანტანა 4 (77. მარტინსი) - დეჟაგა 4.5 (77. ზიანი), გენტნერი 3.5 - მისიმოვიჩი 4 - ჯეკო 3.5, გრაფიტე 4.

**გოლები:** 1:0 გომესი (28), 2:0 რობენი (68), 3:0 რობენი (80)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 18(6)-18(5); **ჯარიმა:** 15-6; **კუთხური:** 6-6; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 69 000

### აინტრახტი-ბორუსია (დ) 1:1

**აინტრახტი:** ნიკოლოვი 3 - ფრანცი 3.5, ვასოსკი 4.5, რუსი 3, შპიხერი 3.5 - კრისი 3 - ტებერი 4.5 (64. ბაირამოვიჩი 3.5), შვეგლერი 3 - კაიო 4 (63. ლიბეროპულოსი 4) - ა. მაიერი 3, ამანატიდისი 2.5.

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი 2.5 - ოვომოიელა 3.5, სუბოტიჩი 4.5, სანტანა 3.5, დედე 4 - ჰუმელსი 3.5 - ბლაშჩიკოვსკი 4 (72. გროსკროიტცი), ნ. შაჰინი 3 - ჰაინალი 3.5 (82. ფოილნერი) - ვალდესი 5 (78. ბარიოსი), ზიდანი 3.

**გოლები:** 0:1 ზიდანი (62), 1:1 ამანატიდისი (68)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 16(3)-14(4); **ჯარიმა:** 20-15; **კუთხური:** 10-1; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 51 050

### ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი 0:1

**ჰანოვერი:** ენკე 3.5 - ჩერუნდოლო 3.5, ჰაგი 4, კ. შულცი 2.5, რაუში 4 (80. ეგიმანი) - ბალიტში 4 - რამა 3.5 (69. ლინდნერი 3.5), ჯაპკა 3 - ბრუგინკი 4 (84. კრუინოვეკი) - შტაინერი 4, ია კონანი 3.

**ჰოფენჰაიმი:** ჰილდებრანდი 2 - ბეკი 4, შიმუნიჩი 2.5, კომპერი 3, აიხნერი 4.5 (46. ბა 4) - ლუის გუსტავო 4 (55. ფორსა 3.5) - იბერტსბერგერი 3, სალიჰოვიჩი 3.5 - კარლოს ედუარდო 2.5 - ობასი 4.5, იბიშევიჩი 5 (75. ვუკჩევიჩი).

**გოლი:** 0:1 კარლოს ედუარდო (40)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 13(3)-11(4); **ჯარიმა:** 19-23; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 34 257

### შალკე-ფრაიბურგი 0:1

**შალკე:** ნოიერი 3.5 - რაფინია 3, სამბრანო 3, ბორდონი 3, ჰიოვედესი 5 (46. კობიაშვილი 4.5) - მინეირო 4 - მორიტცი 5 (46. ყენია 4.5), ვესტერმანი 4 - ფარფანი 4, რაკიტიჩი 5 (46. ჰალილ ალთინთოფი 5) - კურანი 4.5.

**ფრაიბურგი:** პუპლინი 3 - დუ-რი ჩა 2.5, კრმასი 3.5, ბასტიანსი 3, ბუტშერი 4.5 - ბანოვიჩი 3.5 (74. ბართი), ფლუმი 3.5 - აბდესადკი 3, მაკიადი 4 (33. ბეხმანი) - იეგერი 4 (66. ი. შუსტერი 3.5), იდრისუ 3.5.

**გოლი:** 0:1 დუ-რი ჩა (40)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 15(2)-9(2); **ჯარიმა:** 18-21; **კუთხური:** 8-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 60 198

### ლევერკუზენი-ბოხუმი 2:1

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი 3 - კასტრო 4 (62. შვააბი 3.5), მ. ფრიდრიხი 3, ჰიიპია 2.5, კადლეცი 2.5 - ვიდალი 3.5 (62. კროოსი 2.5), როლფესი 3 - რენატო 2.5 (80. ჟდებელი), ბარნეტა 2.5 - კისლინგი 1.5, დერდიოკი 3.

**ბოხუმი:** ჰეერვაგენი 3 - პფერტცელი 4.5, იაია 5, მავრაი 4.5, პ. ბიონიგი 4 - იმჰოფი 5 (74. აზაუაგი), ა. იუჰანსონი 4.5 (88. დაბროვსკი) - ფრაიერი 4.5, ეპალე 4 - შესტაკი 5, კლიმოვიჩი 3 (76. დედიჩი).

**გოლები:** 0:1 კლიმოვიჩი (32), 1:1 მ. ფრიდრიხი (41), 2:1 კისლინგი (68)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 32(8)-5(2); **ჯარიმა:** 14-21; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 27 122

### შტუტგარტი-ნიურნბერგი 0:0

**შტუტგარტი:** ლემანი 3.5 - ტრეში 3.5, ტასკი 3, ნიდერმაიერი 4, ბოკა 4.5 - ხედირა 3.5, ჰიტცლშპერგერი 4 (62. ჰლები 4) - გებჰარდტი 4, შიმაკი 5 (46. ელსონი 4.5) - პოგრებნიაკი 4, კაკაუ 4 (80. შიბერი).

**ნიურნბერგი:** რ. შეფერი 3 - დიკმაიერი 3, ა. ვოლფი 3.5, მარო 4, პინოლა 4 - ნორდტვეიტი 3.5 - რისსე 2.5, კლუგე 4 (66. იუდტი 3.5), მინტალი 3.5, ვიდოშიჩი 3.5 (91. ბროიხი) - ხარისტეასი 4 (63. აიგლერი 4).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 14(4)-11(2); **ჯარიმა:** 17-20; **კუთხური:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 42 000

### ჰერტა-ვერდერი 2:3

**ჰერტა:** დრობნი - იანკერი (73. დომოვჩისკი), ა. ფრიდრიხი, ფონ ბერგენი, პეჟჩინოვიჩი - სისერო (46. პიუჩეკი), დარდაი - ებერტი, ნიკუ - კაჩარი, ვიხნიარეკი.

**ვერდერი:** ვიზე (61. ფანდერი) - კ. ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ბიონიში - ფრინგსი - ბარგფრედე (69. ჰანტი), ბოროვსკი - იოზილი, მარინი (81. ნიმაიერი) - პისარო.

**გოლები:** 0:1 იოზილი (57), 0:2 ბოროვსკი (74), 1:2 პიუჩეკი (77), 1:3 ნალდო (83), 2:3 ებერტი (90)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 18(5)-18(11); **ჯარიმა:** 13-12; **კუთხური:** 5-8; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 49 176

### ჰამბურგი-კიოლნი 3:1

**ჰამბურგი:** ფ. როსტი - ჟ. ბოატენგი, როზენალი, მატიისენი, აოგო - იაროლიმი, ზე რობერტო - ტროხოვსკი (87. ტეშე), ელია (90. პიტროიპა) - გერერო (87. ბერგი), პეტრიჩი.

**კიოლნი:** მონდრაგონი - ბრეჩკო, ჯერომელი, მოჰამადი, ვომე - პეტიტი, მანიშე, პეცონი (70. ერეთი) - ფრაისი (74. ჩიჰი), პოდოლსკი - ნოვაკოვიჩი (87. იშიაკუ).

**გოლები:** 1:0 გერერო (19), 2:0 გერერო (66), 2:1 ჩიჰი (76), 3:1 ტროხოვსკი (87-პენ)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 18(8)-12(5); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 10-5; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 54 112

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-5 | 10 |
| 2. ლევერკუზენი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| 3. ვერდერი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-6 | 7 |
| 4. შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 5. ბორუსია (მ) | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 6. აინტრახტი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 7. ვოლფსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| 8. ბაიერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-4 | 5 |
| 9. შტუტგარტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 11. მაინცი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| 12. ბორუსია (დ) | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 5 |
| 13. ჰანოვერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| 14. ბოხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 15. ფრაიბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-10 | 4 |
| 16. ჰერტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| 17. ნიურნბერგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 18. კიოლნი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - გერერო (ჰამბურგი), კისლინგი (ლევერკუზენი); 3 - ამანატიდისი (აინტრახტი), დერდიოკი (ლევერკუზენი), იოზილი (ვერდერი), შტაინერი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

IV ტური

**კარლსრუე-ზტ. პაული 0:4**

**გოლები:** 0:1 მ. ლემანი (26), 0:2 მ. ლემანი (55), 0:3 ჰენინგსი (69), 0:4 ებერსი (74)

**ალენი-მიუნხენ 1860 0:0**

**კობლენცი-კოტბუსი 0:2**

**გოლები:** 0:1 იულა (18), 0:2 შაო (46)

**ფიურტი-არმინია 2:4**

**გოლები:** 1:0 მოხტარი (43), 2:0 ნიოთე (49), 2:1 ფორტი (56), 2:2 ფორტი (57), 2:3 კატონგო (80), 2:4 ფედერიკო (87)

**ჰანზა-ობერჰაუზენი 0:2**

**გოლები:** 0:1 ტერანოვა (18), 0:2 ტერანოვა (87)

**ალემანია-ფრანკფურტი 3:0**

**გოლები:** 1:0 აუერი (14), 2:0 იუნგლასი (34), 3:0 აუერი (89)

**აუგსბურგი-უნიონი 1:1**

**გოლები:** 0:1 კ. შაჰინი (59), 1:1 ვერნერი (76)

**პადერბორნი-კაიზერსლაუტერნი 0:0**

**დუისბურგი-ფორტუნა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზტ. პაული | 4 | 3 | 1 | 0 | 13-3 | 10 |
| 2. უნიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 3. კაიზერსლაუტ. | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 4. კოტბუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 5. ობერჰაუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 6. ფიურტი | 4 | 2 | 0 | 2 | 10-7 | 6 |
| 7. ფორტუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| 8. არმინია | 4 | 2 | 0 | 2 | 10-8 | 6 |
| 9. დუისბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 10. აუგსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 11. პადერბორნი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-3 | 5 |
| 12. ალემანია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-7 | 5 |
| 13. მიუნხენ 1860 | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 14. კარლსრუე | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 15. კობლენცი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 16. ჰანზა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 17. ალენი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |
| 18. ფრანკფურტი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - ს. ვაგნერი (დუისბურგი); 3 - ალაგუი (ფიურტი), ებერსი (ზტ. პაული), ფედერიკო (არმინია), იულა (კოტბუსი), კატონგო (არმინია), მ. ლემანი (ზტ. პაული), ნიოთე ფიურტი).

### III ბუნდესლიგა

VI ტური

**ბორუსია (დ) II-უნტერჰახინგი 1:2, ოსნაბრიუკი-კარლ ცაისი 2:0, ერფურტი-დრეზდენი 4:1, აუე-ჰაიდენჰაიმი 0:1, ბაიერნი II-ვუპერტალი 3:1, ზანდჰაუზენი-შტუტგარტი II 2:1, ვეენი-რეგენსბურგი 0:2, კილიინგოლშტადტი 2:2, ბრაუნშვაიგი-ვერდერი II 1:2, ბურგჰაუზენი-ოფენბახი 1:0.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ჰოლანდია

V ტური

| | |
|---|---|
| ვაალვიიკი-დენ ჰააგი | 0:2 |
| როდა-ვიტესი | 3:4 |
| ნიიმეგენი-ვენლო | 1:1 |
| ალკმაარი-ვილემი | 2:1 |
| უტრეხტი-სპარტა | 2:0 |
| გრონინგენი-ეინდჰოვენი | 0:2 |
| ფეიენოორდი-ტვენტე | 1:1 |
| ბრედა-ჰერენვეენი | 2:0 |
| ჰერაკლესი-აიაქსი | 0:3 |

### II დივიზიონი

V ტური

აპელდოორნი-ტოპ ოსი 2:1; გრააფსხაპი-ომნივორლდი 4:0; დენ ბოში-კამბური 2:4; ეინდჰოვენი II-ექსელსიორი 4:4; ვოლენდამი-ცვოლე 0:3; იგლ ზი-ფორტუნა 2:0; ჰაარლემი-ემენი 4:0; ჰელმონდი-დორდრეჰტი 1:1; როსენდაალი-მაასტრიხტი 3:0; ვეენდამი-ტელსტარი 1:1.

## ბელგია

V ტური

| | |
|---|---|
| ვესტერლო-ვარეგემი | 1:2 |
| კორტრეიკი-გენტი | 1:0 |
| მეხელენი-სტ. ტრუიდენი | 0:2 |
| ლოკერენი-მუსკრონი | 4:1 |
| რუზელარე-შარლერუა | 1:3 |
| სერკლი-ბრიუგე | 2:3 |
| გენკი-ბეერსხოტი | 1:1 |
| ანდერლეხტი-სტანდარდი | 1:1 |

### II დივიზიონი

III ტური

ანტვერპენი-ბრიუსელი 1:3; ეუპენი-ბევერენი 3:0; დენდერი-ტურნჰაუტი 3:0; ოსტენდე-რონსე 2:0; ვაასლანდი-ლიეჟი 2:1; ჰევერლე-ლიერსი 1:3; ბორინაჟი-ლომელი 1:1; სტანდარდი (ვ)-ბერგენი 0:1; ტუბეკე-ტინენი 3:0.

## პორტუგალია

III ტური

| | |
|---|---|
| ფერეირა-გიმარაეში | 0:0 |
| ნავალი-პორტუ | 1:3 |
| ლეიქსოეში-რიუ ავე | 0:0 |
| ლეირია-მარიტიმუ | 0:0 |
| ბრაგა-ბელენენსეში | 3:1 |
| აკადემიკა-სპორტინგი | 0:2 |
| ნასიონალი-ოლჰანენსე | დღეს |
| ბენფიკა-სეტუბალი | დღეს |

### II დივიზიონი

III ტური •

ეშტორილი-ვარზიმი 1:1; შავეში-პორტიმონენსე 1:1; ბეირა მარი-ფეირენსე 1:0; ფრეამუნდე-ფატიმა 1:1; პენაფიელი-კარეგადო 1:1; სანტა კლარა-ოლივეირენსე 1:2; ტროფენსე-ავეში 2:2; ჟილ ვისენტე-კოვილია 3:0.

## შოტლანდია

III ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-მაზერველი | 0:0 |
| დანდი იუნ-ფალკირკი | 2:1 |
| კილმარნოკი-სტ. მირენი | 1:2 |
| რეინჯერსი-ჰემილტონი | 4:1 |
| ჰიბერნიანი-სელტიკი | 0:1 |
| სტ. ჯონსტონი-ჰარტსი | 2:2 |

### I დივიზიონი

IV ტური

ეირდრი-დანდი 1:1; დანფერმლაინი-რეითი 0:2; ინვერნესი-როსი 1:3; პარტიკი-მორტონი 5:0; ქუინი-ეირი 2:0.

### II დივიზიონი

IV ტური

ბრეჩინი-დამბარტონი 3:1; კლაიდი-ალოა 0:1; ისტ ფაიფი-კოუდენბითი 1:1; სტენჰაუზმური-არბროა 3:0; სტირლინგი-პიტერჰედი 2:1.

### III დივიზიონი

IV ტური

ალბიონი-ლივინგსტონი 1:0; ბერუიკი-ქუინზ პარკი 1:0; ელჯინი-ანენი 1:1; ფორფარი-ისტ სტირლინგი 5:1; სტრანრარი-მონროუზი 2:0.

## ავსტრია

VI ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-ავსტრია (კ) | 4:1 |
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 4:0 |
| ავსტრია (ვ)-რაპიდი | 1:1 |
| ლინცერი-ვინერი | 4:2 |
| რიდი-შტურმი | 1:2 |

### II დივიზიონი

VII ტური

დორნბირნი-ჰარტბერგი 1:1; ლუშტენაუ-ავსტრია (ლ) 1:2; გრატკორნი-ავსტრია II 4:0; სტ. პოლტენი-ტიროლი 1:0; ვენა-ზალცბურგი II 1:2; ადმირა-ალტახი 2:2.

## დანია

VII ტური

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-ორჰუსი | 0:2 |
| რანდერსი-ესბიერგი | 0:1 |
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 1:0 |
| კიოგე-სონდერისკი | 1:0 |
| კოპენჰაგენი-ბრონდბიუ | 1:1 |
| სილკებორგი-ოდენსე | დღეს |

### II დივიზიონი

IV ტური

როსკილდე-ბრაბრანდი 3:2; ჰვიდოვრე-კოლდინგი 0:0; სკივე-ვესტსიელანდი 0:3; ტისტედი-ვეილე 2:3; აკადემისკი-ფრემი 4:2; ფრედერისია-ვიბორგი 1:0; ლუნგბიუ-ფინი 2:1; ნაესტვედი-ჰორსენსი 1:2.

## კვიპროსი

I ტური

| | |
|---|---|
| აელ-დოქსა | 1:0 |
| ენოსისი-აპოლონი | 0:3 |
| ნეა სალამისი-ეთნიკოსი | 1:1 |
| ომონია-აეპ | 3:2 |
| აპოპ-აპოელ | 4:3 |
| ერმისი-ანორთოსისი | 0:0 |
| არისი-აეკა | დღეს |

## ფინეთის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ტურკუ-ჰონკა | 2:6 დ.დ. |
| ტპვ ტამპერე-ტამპერე | 2:3 დ.დ. |
| ჰაკა-იუვიასკიულა | 2:1 |
| სიტი სტარსი-პალოპონკა | 2:0 |
| ინტერი-პოპა | 1:0 |
| გნისტანი-ლაჰტი | 1:2 |
| კუოპიო-პიკ | 1:0 |
| ვაასა-ჯაზი | 0:2 |

## საბერძნეთი

II ტური

| | |
|---|---|
| კავალა-ასტერასი | 0:1 |
| პანიონიოსი-ერგოტელისი | 1:1 |
| ირაკლისი-არისი | 2:2 |
| აზრომიტოსი-აეკ | 0:1 |
| პაოკ-ლევადია | 3:0 |
| იანინა-პანთრაკიკოსი | 2:0 |
| პანათინაიკოსი-ქსანტი | 1:0 |
| ლარისა-ოლიმპიაკოსი | 0:2 |

## ისლანდია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ფიოლნირი-კეფლავიკი | 3:3 |
| ვესტმანაეიარი-ვალური | 1:1 |
| რეიკიავიკი-ფრამი | 3:1 |
| გრინდავიკი-ფილკირი | დღეს |
| სტიარნანი-ბრეიდაბლიკი | დღეს |
| ტროტური-ჰაფნარი | დღეს |

## ირლანდია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-დერი | 0:1 |
| გალვეი-შემროკი | 0:1 |
| სტ. პატსი-დროგედა | 1:0 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

უნივერსიტი-ლიმერიკი 2:1; კილდეირი-ფინ ჰარპსი 0:2; შელბურნი-უექსფორდი 1:2; მერვუ-ეთლონი 3:1; უოტერფორდი-სპორტინგი 0:0; ლონგფორდი-მონეგანი 1:4.

## ნორვეგია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-მოლდე | 2:1 |
| ოლესუნდი-ბოდო გლიმტი | 1:1 |
| სტრომსგოდსეტი-ოდ გრენლანდი | 3:1 |
| ტრომსიო-ფრედრიკსტადი | 2:0 |
| ვიკინგი-სანდეფიორდი | 2:2 |
| სტარტი-ბრანი | 0:1 |
| ლილესტრიომი-სტაბეკი | დღეს |
| რუსენბორგი-ლინი | დღეს |

### II დივიზიონი

XXI ტური

ბრინი-სიოგნდალი 1:1; ჰაუგესუნდი-ჰიონეფოსი 3:2; სარპსბორგი-ნილი 4:1; ტრიომსდალენი-ლოვ ჰამი 3:1; ჰამ კამი-სტავანგერი 3:1; ნოტოდენი-მოსი 2:0; სკეიდი-მიონდალენი 1:3.

## შვედეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| აიკ-ტრელებორგი | 1:0 |
| კალმარი-ჰამარბიუ | 3:0 |
| ჰალმსტადი-ჰაკენი | 0:4 |
| გიოტებორგი-ელფსბორგი | 4:0 |
| ბრომაპოიკარნა-იორგრიტე | დღეს |
| გაის-იურგორდენი | დღეს |
| მალმიო-ჰელსინგბორგი | დღეს |
| ერებრუ-გეფლე | დღეს |

### II დივიზიონი

XXII ტური

ვასბი-ლიუნგსკილე 2:1; ატვიდაბერგი-ფარკენბერგი 0:3; ანგელჰოლმი-მიალბიუ 0:0; კვიდინგი-სუნდსვალი 1:1; სირიუსი-ასირისკა 5:0; ტროლჰატანი-იონჩოპინგი 1:0; ვასალუნდსი-ნორჩოპინგი 4:2.

## შვეიცარია

VIII ტური

| | |
|---|---|
| არაუ-ციურიხი | 1:1 |
| ლუცერნი-სტ. გალენი | 3:1 |
| ბაზელი-იანგ ბოიზი | 1:2 |
| სიონი-ბელინცონა | 3:1 |
| გრასჰოპერსი-ქსამაქსი | დღეს |

### ჩელენჯლიგა

VI ტური

ლუგანო-ლოკარნო 2:2; თუნი -სტად ნიონე 9:0; ვილი-კრინსი 3:3; ივერდონი-ვოლენი 2:0; ბილი-სერვეტი 2:2; გოსაუ-შაფჰაუზენი 1:1; ლე მონი-ვინტერტური 1:2; ვადუცი-ლოზანა დღეს.

## ესტონეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| კურესაარე-ტრანს ნარვა | 0:7 |
| კალევი-ფლორა | 3:0 |
| ტალინა-ნომე | 0:2 |
| ტულევიკი-ტარტუ | 0:1 |

## თურქეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-გაზიანთეპი | 0:0 |
| ანკარაგიუჯუ-ბუიუქშეჰირი | 2:2 |
| ესკიშეჰირი-ანთალია | 2:1 |
| კაისერი-დენიზლი | 3:0 |
| ფენერბაჩე-მანისა | 2:1 |
| კასიმფაშა-გენჩლერი | 0:4 |
| სივასი-დიარბაქირი | 0:2 |
| ტრაბზონი-ბურსა | 1:1 |
| ანკარა-გალათასარაი | დღეს |

### II დივიზიონი

II ტური

მერსინი-ადანა 1:2; ქართალი-ბბ გაზიანთეფი 1:0; ორდუ-ალთაი 0:2; დარდანელი-ბუკა 0:3; ქარაბუქი-გირეშუნი 1:0; ქარსიაქა-სამსუნი 2:0; ქოჯაელი-პაჩეთეფე 1:1; რიზე-ბოლუ 2:1; ქონია-ერჩიესი დღეს.

## უელსი

III ტური

| | |
|---|---|
| ნითი-ნიუთაუნი | 1:1 |
| ბალა თაუნი-პორტმედოგი | 0:0 |
| სეფნი-ბანგორი | 0:1 |
| ჰევერფორდვესტი-კარმართენი | 2:1 |
| აბერისთვითი-პრესტატინი | 2:3 |
| ქერსოუსი-უელშპული | 3:0 |
| რილი-პორტ ტელბოტი | 2:0 |
| ტნს-ეირბასი | 2:1 |
| ლანელი-ქონეასი | 5:0 |

## ბელარუსი

XVII ტური

| | |
|---|---|
| გრანიტი-ტრანსმაში | 1:0 |
| ნაფტანი-გომელი | 1:2 |
| მტზ რიპო-დინამო (ბ) | 1:1 |
| ნემანი-სმორგონი | 1:1 |
| ტორპედო-შახტიორი | 1:2 |
| ვიტებსკი-მინსკი | 1:0 |
| ბატე-დინამო (მნ) | დღეს |

## ბოსნია

V ტური

| | |
|---|---|
| ცელიკი-მოდრიჩა | 1:0 |
| ლაკტაში-ოლიმპიკი | 4:0 |
| ლეოტარი-ველეჟი | 0:1 |
| ზვიეზდა-ბორაცი | 1:1 |
| სლავია-ჟელეზნიჩარი | 1:1 |
| შიროკი ბრიეგი-სლობოდა | 2:0 |
| ზრინსკი-რუდარი | 3:1 |
| სარაევო-ტრავნიკი | დღეს |

## ბულგარეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ბეროე | 1:3 |
| სლავია-ლევსკი | 1:3 |
| ლოკომოტივი (ს)-პირინი | 1:0 |
| მინიორი-სლივენი | 4:2 |
| ჩერნომორეცი-სპორტისტი | 3:0 |
| ჩერნო მორე-ბოტევი | 3:0 |
| ლიტექსი-მონტანა | 3:0 |
| ცსკა-ლოკომოტივი (მ) | 4:0 |

## ხორვატია

VI ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-ვარტექსი | 4:0 |
| კროაცია-ოსიეკი | 1:2 |
| ჰაიდუკი-ლოკომოტივა | 1:0 |
| შიბენიკი-რიეკა | 1:0 |
| კარლოვაცი-ინკერი | 1:0 |
| მეჟიმურიე-ზადარი | 3:0 |
| ისტრა-ზაგრები | 2:1 |
| დინამო-სლავენი | 6:0 |

## ჩეხეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-ბოჰემიანსი 1905 | 0:1 |
| პლზენი-კლადნო | 1:0 |
| ბუდეიოვიცე-ბანიკი | 1:2 |
| ბოჰემიანსი-ლიბერეცი | 2:1 |
| იაბლონეცი-პრშიბრამი | 0:0 |
| სიგმა-სპარტა | დღეს |
| ბრნო-ტეპლიცე | დღეს |
| სლავია-სლოვაცკო | დღეს |

### II დივიზიონი

V ტური

დუკლა-ვლაშიმი 5:1; იჰლავა-პლუჩინი 0:0; ტრშინეცი-ვიტკოვიცე 3:0; მოსტი-უსტი 1:2; ოპავა-სოკოლოვი 0:0; ჟლინი-კარვინა 1:0; ჩასლავი-სპარტა II 1:1; პრადეცი-ვიქტორია 1:0.

## უნგრეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| ვიდეოტონი-ზალაეგერსეგი | 1:2 |
| დებრეცენი-ნირეგიჰაზა | 3:1 |
| კაპოშვარი-ფერენცვაროში | 0:0 |
| დიოშდიორი-ვაშაში | 0:1 |
| ლომბარდი-კეჩკემეტი | 2:0 |
| მტკ-პაკში | 1:1 |
| უიპეშტი-ჰალადაში | 3:1 |
| დიორი-ჰონვედი | 2:0 |

## ისრაელი

II ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (რ)-მაკაბი (პ) | 1:3 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (თ-ა) | 0:2 |
| ჰაპოელი (ა)-მაკაბი (ნ) | 1:1 |
| ჰაპოელი (პ)-აშდოდი | 0:1 |
| ჰაპოელი (რ-გ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:2 |
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ფ-თ) | 1:1 |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ა-ნ) | დღეს |
| ბნეი სახნინი-ბეითარი | დღეს |

## ლატვია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| დაუგავა-სკონტო | 0:7 |
| ბლაზმა-იურმალა | 0:3 |
| ვენტსპილსი-მეტალურგსი | 1:2 |
| ოლიმპსი-დინაბურგი | 0:1 |

## ლიტვა

XX ტური

| | |
|---|---|
| შიაულიაი-ტელედემა | 1:1 |
| სუდუვა-ეკრანასი | 1:1 |
| ვეტრა-კრუოია | 3:0 |
| ბანგა-ტაურასი | 0:2 |

## მოლდოვა

IX ტური

| | |
|---|---|
| დაჩია-სფინტული | 1:0 |
| აკადემია-ოლიმპია | 2:1 |
| ვიიტორული-ცსკა | 2:2 |
| ისკრა სტალი-დინამო | 2:0 |
| ნისტრუ-ზიმბრუ | 0:0 |
| ტირასპოლი-შერიფი | 1:0 |

## პოლონეთი

V ტური

| | |
|---|---|
| პიასტი-ოდრა | 2:1 |
| ლეგია-პოლონია (ბ) | 1:0 |
| რუხი-პოლონია (ვ) | 2:0 |
| ვისლა-იაგელონია | 2:1 |
| ლეჩია-შლიონსკი | 1:1 |
| კორონა-კრაკოვია | 1:1 |
| ზაგლებე-არკა | 0:2 |
| ლეხი-ბელხატოვი | 2:2 |

## რუმინეთი

V ტური

| | |
|---|---|
| ოცელული-უნირეა (უ) | 1:4 |
| ინტერნაციონალი-ბრაშოვი | 0:3 |
| ჩახლაული-პანდური | 1:2 |
| უნივერსიტატეა-გლორია | 5:1 |
| ასტრა-რაპიდი | 3:1 |
| უნირეა (ა)-ტიმიშოარა | 3:3 |
| კლუჟი-გაზ მეთანი | 2:0 |
| ვასლუი-პოლიტეხნიკა | 2:1 |
| სტიაუა-დინამო | 0:1 |

## რუსეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ტომი-მოსკოვი | 0:0 |
| სატურნი-ტერეკი | 3:0 |
| ლოკომოტივი-კუბანი | 4:1 |
| ხიმკი-ზენიტი | 0:4 |
| სპარტაკი-რუბინი | 0:3 |
| კრილია-დინამო | 3:1 |
| როსტოვი-ცსკა | 1:0 |
| ამკარი-ნალჩიკი | დღეს |

## სერბეთი

III ტური

| | |
|---|---|
| ბორჩა-იავორი | 1:0 |
| ჩუკარიჩკი-ვოივოდინა | 1:3 |
| მეტალაცი-სარტიდი | 0:2 |
| სპარტაკი-ბორაცი | 1:0 |
| იაგოდინა-მლადი | 2:0 |
| რად-ოფკ | 0:2 |
| პარტიზანი-ჰაიდუკი | 1:0 |
| ნაპრედაკი-ცრვენა ზვეზდა | 1:1 |

## სლოვაკეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-ბისტრიცა | 2:2 |
| ტრნავა-პეტრჟალკა | 2:0 |
| კოშიცე-რუჟომბეროკი | 3:1 |
| ნიტრა-დ. სტრედა | 2:0 |
| სლოვანი-დუბნიცა | 1:1 |
| ჟილინა-ტატრანი | 1:0 |

## სლოვენია

VII ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-ნაფტა | 2:1 |
| ინტერბლოკი-გორიცა | 3:1 |
| კოპერი-ოლიმპია | 2:1 |
| პუბლიკუმი-მარიბორი | 2:1 |
| დრავა-რუდარი | 1:0 |

## უკრაინა

VI ტური

| | |
|---|---|
| ზაკარპატია-არსენალი | 2:1 |
| ჩერნომორეცი-დნეპრი | 0:1 |
| კრივბასი-ილიჩოვეცი | 0:2 |
| ტავრია-ვორსკლა | 1:0 |
| მეტალურგი (ზ)-მეტალისტი | 0:2 |
| კარპატი-ობოლონი | 5:0 |
| შახტარი-ზორია | დღეს |
| დინამო-მეტალურგი (დ) | დღეს |

## ჩრ. ირლანდია

V ტური

| | |
|---|---|
| დუნგანონი-კრუზეიდერსი | 1:2 |
| ლინფილდი-ნიური | 3:0 |
| პორტდაუნი-ლისბურნი | გადაიდო |

## ევროპის ჩემპიონატი

### ქალები

| | |
|---|---|
| ფინეთი-უკრაინა | 0:1 |
| დანია-ჰოლანდია | 1:2 |
| გერმანია-ისლანდია | 1:0 |
| საფრანგეთი-ნორვეგია | 1:1 |

## არგენტინა

II ტური

| | |
|---|---|
| ტიგრე-როსარიო | 1:2 |
| რასინგი-კოლონი | 1:1 |
| ველესი-არსენალი | 3:1 |
| ესტუდიანტესი-ხიმნასია | 3:0 |
| არგ. ხუნიორსი-ბანფილდი | 1:1 |
| გოდოი-სან ლორენსო | 1:1 |
| რივერ პლეიტი-ჩაკარიტა | 4:3 |
| ატლეტიკო-ინდეპენდიენტე | 2:4 |
| ლანუსი-ბოკა ხუნიორსი | გვ. დასრულდა |
| ნიუელსი-ურაკანი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

VIII ტური

| | |
|---|---|
| ევერტონი-ლა სერენა | 0:1 |
| უნ. კონსეპსიონი-პალესტინო | 2:0 |
| უნ. კატოლიკა-კოლო კოლო | 2:1 |
| უნ. ესპანიოლა-კობრელოა | 2:0 |
| რეინჯერსი-კურიკო | 0:0 |
| კობრესალი-ს. მორნინგი | 3:1 |
| მუნისიპალი-ნუბლენსე | 1:3 |
| ო'ჰიგინსი-უაჩიპატო | 2:1 |
| უნ. ჩილე-აუდაქსი | 3:2 |

## პერუ

XXX ტური

| | |
|---|---|
| ალ. ლიმა-ინტი გასი | 2:1 |
| სენსიანო-ტოტალ ჩალაკო | 2:2 |
| სან მარტინი-კოლეგიო | 0:0 |
| მელგარი-ხუან აურიჩი | 1:3 |
| ხოსე გალვესი-უნ. პერუ | 0:1 |
| სპორტ ანკაში-ალ. ატლეტიკო | 2:0 |
| სპორტი-ბოლონესი | 7:0 |
| სესარ ვალეხო-ს. კრისტალი | 1:0 |

## მექსიკა

VI ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ატლანტე | 1:1 |
| მონტერეი-ტეკოსი | 2:2 |
| გვადალახარა-პაჩუკა | 2:2 |
| ინდიოსი-ატლასი | 1:1 |
| სან ლუისი-პუებლა | 0:0 |
| მორელია-კრუს ასული | 0:3 |
| პუმასი-კერეტარო | 3:0 |
| ს. ლაგუნა-ტიგრესი | გვ. დასრულდა |
| ამერიკა-ტოლუკა | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

VII ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-მანტა | 2:0 |
| ელ ნასიონალი-ბარსელონა | 1:1 |
| დეპ. კუენკა-დეპ. მაკარა | 0:0 |
| ტექ. უნივერსიტარიო-ოლმედო | 3:3 |
| პორტოვიეხო-ლიგა დე კიტო | 0:4 |

## ბრაზილია

XXII ტური

| | |
|---|---|
| კურიტიბა-ავაი | 2:0 |
| ფლამენგო-სანტო ანდრე | 3:0 |
| ნაუტიკო-ატ. პარანაენსე | 3:0 |
| ატ. მინეირო-სპორტ რესიფე | 1:1 |
| სანტოსი-ფლუმინენსე | 2:0 |
| სან პაულუ-პალმეირასი | 0:0 |
| ბოტაფოგო-გრემიო | გვ. დასრულდა |
| ინტერი-გოიაში | გვ. დასრულდა |
| ვიტორია-კრუზეირო | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

VIII ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კინდიო-რეალი | 3:2 |
| ატ. ნასიონალი-ატ. უილა | 1:1 |
| მილიონარიოსი-დეპ. პასტო | 1:2 |
| ამერიკა-სანტა ფე | 1:1 |
| ატ. ხუნიორი-ჩიკო | 5:2 |
| კუკუტა-ონსე კალდასი | 2:0 |
| ლა ეკიდადი-ენვიგადო | 2:2 |
| დეპ. ტოლიმა-დეპ. კალი | 0:3 |
| დ. პერეირა-ინდეპენდ. | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

II ტური

| | |
|---|---|
| ფენიქსი-რასინგი | 0:2 |
| ნასიონალი-ტაკუარემბო | 1:0 |
| მონტევიდეო-რამპლა | 0:1 |
| დანუბიო-დეფენსორი | 3:0 |
| სენტრალი-რივერ პლეიტი | 2:2 |
| სერო ლარგო-სერიტო | 0:1 |
| ლივერპული-ატენასი | 2:0 |
| პენიაროლი-სერო | 1:1 |

## იაპონია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ომია-კაშიმა | 3:1 |
| ტოკიო-ოიტა | 2:0 |
| ივატა-გამბა | 1:3 |
| ნაგოია-ნიიგატა | 1:3 |
| კობე-ურავა | 3:2 |
| იოკოჰამა-ჯეფ იუნაიტედი | 1:1 |
| კაშივა-კიოტო | 0:0 |
| იამაგატა-ჰიროშიმა | 1:2 |
| კავასაკი-შიმიზუ | 1:1 |

## აშშ

XXIII ტური

| | |
|---|---|
| სიეტლი-ტორონტო | 0:0 |
| ნიუ ინგლენდი-სან ხოსე | 2:1 |
| ჩიკაგო-დი სი იუნაიტედი | 0:1 |
| კანზასი-სოლტ ლეიკი | 0:1 |
| ლოს ანჯელესი-ჩივასი | 1:0 |
| კოლორადო-ჰიუსტონი | 1:0 |

ტრანსფერი

# შევა სახლში დაბრუნდა

## შევჩენკომ კიევის დინამოსთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა

იტალიასა და ინგლისში ათწლიანი მოგზაურობის შემდეგ **ანდრეი შევჩენკო** მშობლიურ "დინამოში" (კიევი) დაბრუნდა. ფორვარდმა უკრაინის ჩემპიონთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

2004 წლის "ოქრო ბურთის" მფლობელს 18 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი "დინამოს" შემადგენლობაში. უკრაინის ჩემპიონატის ხუთჯერ მოგებისა და 1999 წელს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ, კიეველებმა შევჩენკო 25 მილიონად "მილანში" გაყიდეს. სერია A-ში პირველივე წელს უკრაინელმა 24 გოლი გაიტანა და იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სულ სერია A-ში ანდრეიმ 224 მატჩი ჩაატარა და 127 გოლი გაიტანა.

"მილანში" გატარებული შვიდი წარმატებული სეზონის შემდეგ (თითოჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი, იტალიის თასი, ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი), შევჩენკომ ლონდონში გადაბარგება გადაწყვიტა. "ჩელსის" მეპატრონემ **რომან აბრამოვიჩმა** უკრაინელში 60 მილიონი დოლარი გადაიხადა, რაც იმ მომენტისთვის მეორე მაჩვენებელი იყო ყველაზე ძვირფას ტრანსფერებს შორის. მაშინ ბევრს უკვირდა, რატომ გადაიხადა "ჩელსიმ" ამხელა თანხა ფორვარდში, რომლის საუკეთესო წლები ჩავლილი იყო.

"არისტოკრატთა" რიგებში შევას კარიერა არ აეწყო (პრემიერლიგაში - 48 მატჩი და 9 გოლი) და გასული წლის აგვისტოში ფორვარდმა "მილანში" დაბრუნება სცადა. "როსონერიმ" ის არენდის წესით აიყვანა და თან ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება დაიტოვა. თუმცა იტალიელებმა არანაირ ფულად არ ისურვეს უკრაინელის შენარჩუნება.

შევჩენკო ლონდონში დაბრუნდა, სადაც მისი სამსახური ასევე არავის სჭირდებოდა. "ჩელსის" ახალმა დამრიგებელმა **კარლო ანჩელოტიმ** 33 წლის ფეხბურთელს სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ახალი კლუბის მოძებნა შესთავაზა. "არისტოკრატთა" მესაჭე შეტევაში უპირატესობას **დროგბას, კალუსა და ანელკას** ანიჭებს, ხოლო შევჩენკოს აღარ შეუძლია ამ შავკანიანებთან კონკურენცია.

დასავლეთ ევროპაში ანდრეს მსურველი არ გამოუჩნდა. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ შევჩენკოთი "ზენიტი" იყო დაინტერესებული, მაგრამ საბოლოოდ შევამ შინ დაბრუნება არჩია.

"ისტორია გრძელდება და ძალიან მოხარული ვარ, რომ მშობლიურ კლუბში დავბრუნდი. ბოლო ათი წელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გავატარე და ახლა შინ დაბრუნების დრო მოვიდა. ამ ტრანსფერზე ბევრი ლამაზი სიტყვა ითქვა, მაგრამ ახლა მუშაობის დროა. ჩემპიონთა ლიგაზე ძალიან ძლიერი ჯგუფი გვყავს, თუმცა ეს არ გვაშინებს", - განაცხადა გუშინდელ პრეზენტაციაზე შევჩენკომ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ძიუდო

მსოფლიოს ჩემპიონატი

# როტერდრამა

## ძალიან აპრიორი სურათი: ქართველები გადაბრუნებულ ურემთან

ქართველი ძიუდოისტებისთვის როტერდამულ ჩემპიონატზე ეს უქმეებიც ისეთივე წარუმატებელი აღმოჩნდა, როგორც წინა დღეები - ყველამ ადრიანად წააგო და მსოფლიოს პირველობა, სამწუხაროდ, უმედლოდ ჩავამთავრეთ. საუქმეო შეხვედრებიდან ყველაზე მოულოდნელი მაინც ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ვალერი ლიპარტელიანის** (90) მარცხი იყო ბერძენთა ქართველ ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონთან, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონ **ილიას ილიადისთან** - შეხვედრის მინურულს, როცა მეტოქეებს თითო იუკო ჰქონდათ, დაღლილ ქართველს ილეთი გაეპარა და ილიადისმა ვაზარით მოიგო.

**ირაკლი ცირეკიძეს** (100) რომ ძალიან ძლიერი მეტოქე ერგო, უკვე ვწერდით და, მართლაც - იაპონელი **ტაკამასა ანაი** საბოლოოდ მესამეზეც გავიდა. მას შემდეგ, რაც შეხვედრის მინურულს ჩვენებური მეორედაც გააფრთხილეს და იუკოთი ჩამორჩა, ვა-ბანკზე წავიდა და შებოჭვაზე მოჰყვა.

ლიდერებზე უკეთ მძიმეწონოსანმა **ზვიად ხანჯალიაშვილმა** იჭიდავა, რომელმაც ერთი შეხვედრა მაინც მოიგო - ეგვიპტელი **ისლამ ელ შეჰაბი** დააიპონა. სამაგიეროდ, მეორეში შვედ **კრისტოფერ იოჰანსონთან** თვითონაც წმინდად დამარცხდა. არადა, მასთან მოგება თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა.

პირველივე წრეში დამარცხდა ჩვენი ერთადერთი მონაწილე ქალი - **ნინო ოძელაშვილმა** ესპანელ ორგზის ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ **ესტერ სან მიგელთან** წააგო.

*დამოუკიდებელი ქართული ძიუდოს ისტორიაში პირველად მოხდა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალი ვერ მოვიპოვეთ. ჩვენი ნაკრების საუკეთესო შედეგი* **ნესტორ ხერგიანის** (60) მეხუთე ადგილია, სხვები კი ისე გავარდნენ, სანუგეშო წრეშიც ვერ გადაერთნენ.

რაც მოხდა, ეს ნაგებაზე მეტია, ეს უკვე უფსკრულია! საქართველოს ნაკრები ამის იქით ველარ წავა, რადგან უკან წასასვლელი, უბრალოდ, არ არსებობს. 26 აგვისტოს, როცა ხერგიანი მეხუთეზე გავიდა, რედაქციაში ერთი თანამშრომელი სრულიად სერიოზულად შიშობდა, ეგ ჩვენი საუკეთესო შედეგი არ აღმოჩნდესო. მაშინ ვერაფრით და-

> **დამოუკიდებელი ქართული ძიუდოს ისტორიაში პირველად მოხდა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალი ვერ მოვიპოვეთ. ჩვენი ნაკრების საუკეთესო შედეგი ნესტორ ხერგიანის (60) მეხუთე ადგილია, სხვები კი ისე გავარდნენ, სანუგეშო წრეშიც ვერ გადაერთნენ.**

ვიჯერებდი, ეს სიტყვები ავი წინათგრძნობა და სრული სიმართლე თუ აღმოჩნდებოდა. გუნდის მომზადებიდან და ქართულ ძიუდოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, წარუმატებელ გამოსვლას ნამდვილად ველოდებოდი, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ასეთი ფალავნებით დაკომპლექტებული გუნდის უმედლოდ დარჩენა მაინც ვერ წარმომედგინა. თუმცა მედალს ვინლა დაეძებს, ექვსიდან შვიდი კაცი ისე გავარდა, სანუგეშოშიც ვერ გადაერთო!

ცხადზე უცხადესია, ამ წარუმატებლობაში თავისი წვლილი ნაკრებში შექმნილ ვითარებასაც მიუძღვის. გუნდის მოსამზადებლად მშვიდ ატმოსფეროში ვარჯიში ძალზე მნიშვნელოვანია, მუდმივი დაძაბულობა კი ნებისმიერ სპორტსმენზე მოქმედებს. ამის მაგალითი ლიპარტელიანი გვგონია, რომელიც არც იმ ბუნტში მონაწილეობდა და მთელი წელინადიც თავაულებლად მუშაობდა, მაგრამ მაინც პირველივე წრიდან გავარდა. მართალია, მეტოქეც სოლიდური ჰყავდა, მაგრამ ილიადისი რომ ჩემპიონატისთვის მზად არ იყო და ლიპარტელიანს მისი დამარცხება მართებდა, ეს მეორე წრეშივე დამტკიცდა, სადაც ბერძენმა სლოვაკ **მილან რანდლისთან** ორი ვაზარი დაკარგა და წმინდად წააგო. დაგვეთანხმებით, ევროპის ვიცე-ჩემპიონის დამმარცხებელ ბერძენს 22 წლის უტიტულო სლოვაკთან მოგება მით უფრო მართებდა. რანდლის ხომ საერთაშორისო ტურნირებზე ერთადერთი ვერცხლი მოუპოვებია, კარიერაში კი საუკეთესო შედეგი სწორედ როტერდამში დაკავებული მეხუთე ადგილია.

მოკლედ, აშკარაა - ლიპარტელიანი ამ ჩემპიონატისთვის მზად არ იყო, თუმცა ეს მთელ გუნდზე ითქმის. შესაძლოა, ნაკრებს საშეჯიბრო პრაქტიკაც აკლდა. ყოველ შემთხვევაში, სასტარტოდ შეგულებულ გერმანიის ტურნირზე იმავე ლიპარტელიანმა ვერ იჭიდავა, გუნდმა კი მეტისმეტად ცოტა შეჯიბრებაში იასპარეზა. პრაქტიკულად, მათ ევროპის პირველობის შემდეგ არსად უჭიდავიათ. როტერდამში რამდენიმე ისეთი ფალავანიც წაიყვანეს, რომლებიც მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებელ ციკლში არც ერთ საერთაშორისო ტურნირში არ გამოსულან და ასე ნამზადები გუნდის წარუმატებლობა რატომ გვიკვირს. ცალკე საკითხია ფიზიკური კონდიციები, რაც ჩვენი გუნდისთვის ისედაც სუსტი წერტილია, მაგრამ როტერდამში უმეტესობა კიდევ უფრო მოუმზადებელი გვეჩვენა. იგივე ცირეკიძე და ლიპარტელიანი პირველივე შეხვედრებში შესამჩნევად დაიღალნენ... ან ეს ბოლო წუთებზე გაფრთხილებებით ამდენი წაგება რა უბედურებაა?! ვიცით, ამ ფაქტორით დაიწყება თავის მართლება, მაგრამ ძალიან უსუსური მიზეზი გვგონია - ერთხელ ჩვენებს მოეგოთ ის წაგებული შეხვედრები ამ ბოლო გაფრთხილებით!

აქამდე სულ გვამუნათებდნენ, მსოფლიოს პირველობა ჩატარდეს და მერე ვილაპარაკოთ, ჯერ ვითარება არ დავძაბოთო. ამიტომ ვერიდებოდით მწვავედ ლაპარაკს და ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანას, ახლა კი ურემიც გადაბრუნდა და ლაპარაკის დროც დადგა, თუმცა სიმართლის თქმას სპორტის მმართველი წრეებიდანაც ველოდებით. აშკარაა, მომხდარი მხოლოდ ნაკრების ხელმძღვანელობის ბრალი არაა და ფედერაციის ბრალეულობაც იკვეთება. სხვათა შორის, არც სპორტის მმართველნი მალავენ, რომ მთელი ეს თვეები ფედერაცია ჩასაფრებული ელოდა ნაკრების ფეხის დაცდენას, ჩვენ კი დავამატებთ, რომ ის ცნობილი ბუნტიც ფედერაციის შეგულიანებული გვგონია. ყოველ შემთხვევაში, ნაკრებში დისციპლინის დასამყარებლად მწვრთნელის გვერდით დადგომა მისი ვალიც იყო, ფედერაციამ კი, არათუ ეს არ ან ვერ გააკეთა, აქამდე ელემენტარული რამეებიც ვერ გაარკვია (მაგალითად, ხელფას-პრემიების განაწილების სისტემა). ჩვენი ინფორმაციით, ამ ფედერაციაში (და არა მხოლოდ ნაკრებში) შექმნილი მდგომარეობის განხილვას ოლიმპიური კომიტეტიც და სპორტის დეპარტამენტიც სერიოზულად აპირებენ. ვიმედოვნებთ, დაპირება საქმედ იქცევა და მათი აქამდელი ლაპარაკი საზოგადოების დასამშვიდებლად გამიზნული სვლა არ აღმოჩნდება. მაშინ არც ჩვენი ხმა დარჩება ხმად მღაღადებლისად. ეს შედეგი იმანაც მოიტანა, რომ ქართულ ძიუდოში შექმნილ მდგომარეობაზე ფედერაციაც და ნაკრების ხელმძღვანელობაც დიპლომატიურად დუმდა - საქართველოში ხომ რატომღაც პრობლემის დამალვა პრობლემის მოგვარებადაა მიჩნეული და ისინიც აცხადებდნენ, რომ ცუდი არაფერი ხდება და ყველაფერი გაირკვა.

> **რაც მოხდა, ეს წაგებაზე მეტია, ეს უკვე უფსკრულია! საქართველოს ნაკრები ამის იქით ველარ წავა, რადგან უკან წასასვლელი, უბრალოდ, არ არსებობს.**

რა როგორ გაირკვა, ამას პერიოდულად ნაკრებში ვულკანივით ამოხეთქილი კონფლიქტებიც მოწმობდა, მაგრამ მხარეები არც მაშინ ლაპარაკობდნენ ღიად. აი, ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს და დაველოდოთ, ვითარება არ დავძაბოთო, მუდამ ეს გვესმოდა მათგან. შუბი ხალთაში რომ არ დაიმალება, ხოლო ჭირი თავს აუცილებლად იჩენს, მარტივი ლოგიკაა და ეს ყველაფერი როტერდამში გამოჩნდა. ჰოდა, ახლა, როცა ასეთ კატასტროფამდე ამ დიპლომატიამ მიგვიყვანა, ის დროა, ორივე მხარემ ჩაჰკიდოს ხელი ერთმანეთს და ისევე ჩუმად გადადგნენ, როგორ ხმაშეწყობილადაც აქამდე დუმდნენ.

სრულიად სერიოზულად ვიმედოვნებ, ნაკრების წარუმატებლობა მე არ დამბრალდება იმ მოტივით, რომ თითქოს ვილაცას ნერვები მოვუშალე... იმ გახმაურებულ ინციდენტში „ზემდგომთ" გამაკრიტიკეს კიდეც, რასაც ჟურნალისტები წერთ, „აპრიორი" ნუ გგონიათ და ნუ ფიქრობთ, მხოლოდ თქვენი აზრია შეუვალი სიმართლეო. ისიც მითხრეს, ნაკრების შემადგენლობაზე რომ წერ, შენ იცი, რა როგორ უნდა იყოს და ფედერაციამ, მწვრთნელმა და ჩვენ არაფერი ვიცითო? ჩვენი ნათქვამი „აპრიორი" რომ არ გვგონია, ამასაც დრომ გასცა პასუხი და იმასაც, ვინ რა იცის. ჟურნალისტებს ნაკრების დაკომპლექტებაზე ბევრად ადრე უნდა გვემსჯელა, რადგან ვიცოდით, ობიექტურობას არ იცავდნენ. ყველას გასაგონად გვინდა ვთქვათ - თუ მწვრთნელის გადაწყვეტილება არასწორად მიგვაჩნია, ამის აღნიშვნა ჩვენი ვალია და ამ უფლებას მომავალშიც გამოვიყენებთ, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები კი როგორ დაანგრიეს და გააჩანაგეს, ამაზე ხვალინდელ ნომერში გესაუბრებით.

ირაკლი თავაძე

| ქვარცხლბექი. |
|---|
| ვაჟები |
| 90 კგ. |
| 1. ლი კუ-ვონი (სამხრეთ კორეა) |
| 2. კირილ დენისოვი (რუსეთი) |
| 3. დილშოდ ჩორიევი (უზბეკეთი) |
| 3. ჰესამ მესბაჰი (ეგვიპტე) |
| 100 კგ. |
| 1. მაქსიმ რაკოვი (ყაზახეთი) |
| 2. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია) |
| 3. ტაკამასა ანაი (იაპონია) |
| 3. რამადან დარვიში (ეგვიპტე) |
| +100 კგ. |
| 1. ტედი რინერი (საფრანგეთი) |
| 2. ოსკარ ბრისონი (კუბა) |
| 3. მარიუს პასკევიჩიუსი (ლიტვა) |
| 3. აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი) |
| ქალები |
| 70 კგ. |
| 1. იური ალვეარი (კოლუმბია) |
| 2. ანეტ მესაროში (უნგრეთი) |
| 3. ჰოუდა მილედი (ტუნისი) |
| 3. მინა ვატანაბე (იაპონია) |
| 78 კგ. |
| 1. მარინდე ვერკერკი (ჰოლანდია) |
| 2. მარინა პრიშჩეპა (უკრაინა) |
| 3. უი სუნ (ჩინეთი) |
| 3. ჰაიდე ვოლერტი (გერმანია) |
| +78 კგ. |
| 1. ვენგ ტონგი (ჩინეთი) |
| 2. კარინა ბრაიანტი (ბრიტანეთი) |
| 3. იდალის ორტის ბუკურტი (კუბა) |
| 3. მაკი ცუკადა (იაპონია) |

პლაჟის ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი

# კურტანიძე პლაჟზე



ბულგარეთში დასრულდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი პლაჟის ჭიდაობაში. სხვებთან ერთად სადებიუტო ჩემპიონატში ძალები თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ხუთგზის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა **ლუკა კურტანიძემაც** მოსინჯა. მან +85 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავა და წარმატებულადაც. ფინალამდე მისი შეჩერება ვერავინ შეძლო, იქ კი მასპინძელ **დიმიტარ კუმჩევთან** დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# იზმირში იყოჩაღეს




მარცხნიდან: კონსტანტინე შანავა, თამარ წერეთელი და ათა სექერი დაჯილდოებისას.

თურქული იზმირის ღია საერთაშორისო ტურნირში საქართველოს 14 მოჭადრაკე ასპარეზობდა. შეჯიბრებაზე ჩინებული სტარტი აიღო წალენჯიხელმა დიდოსტატმა **კონსტანტინე შანავამ.** მან ზედიზედ შვიდი შეხვედრა მოიგო, ბოლო ორ ტურში მშვიდობიანად დაშორდა მეტოქეს და 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში შანავა **თამარ წერეთელს** დაუზავდა, რომელმაც 7,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მესამე ადგილი თურქ **ათა სექერს** ხვდა. ბოლო ტურში მან **გაიოზ ნიგალიძესთან** გაიყო ქულა. **ბელა ხოტენაშვილმა** შავი ფიგურებით თურქმენი დიდოსტატი **ჰანჯარ ოდეევი** დაამარცხა და 7,5 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ კოეფიციენტმა მხოლოდ მე-4 ადგილის დაკავების საშუალება მისცა.

ჩვენებურთა ბოლო ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ორაზლი ანაგულდიევი-დავით ჯოჯუა** 1:0, **დავით მალალაშვილი-სელიმ სითაქი** 1:0, **ათაქან შირინი-მალხაზ სულაშვილი** 0:1, **ფეთი აპაიდინი-შოთა აზალაძე** 1:0, **ივერი ჭილლაძე-დენის არმანი** 1:0, **მაკა ფურცელაძე-ემინ გოპინარი** 0,5:0,5, **უმით აქსანი-დავით ლომსაძე** 0:1, **ქანკუტ ემიროღლუ-ნინო ბაციაშვილი** 1:0, **დემრე კერიგანი-ბაჩანა მორჩიაშვილი** 1:0, **არმენ გრიგორიევი-ბოიან ანგელოვი** 1:0.

ამდენად, პირველ ხუთეულს მიღმა დარჩენილ ქართველთა იზმირული მონაგარი ასეთია: ჭილლაძე, ნიგალიძე, სულაშვილი, მალალაშვილი — 7-7, ლომსაძე, ფურცელაძე, გრიგორიევი — 6,5-6,5, ჯოჯუა, აზალაძე — 6-6, ბაციაშვილი — 5,5, მორჩიაშვილი — 5 ქულა.

ვაჟა დანელია

# აროშიძე მეორე ადგილს დასჯერდა

**სალონიკში** დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 9 შესაძლებლიდან 7 ქულით ესპანელმა საერთაშორისო ოსტატმა **მარკოს ვეგა ლანესამ** გაიმარჯვა. მე-8 ტურში მან შავი ფიგურებით ერთპიროვნულ ლიდერ **არუნ პრასადს** სძლია, ბოლო ტურში კი **ალინ ბერესკუს** დაუზავდა და სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. არადა, ქართველ დიდოსტატ **ლევან აროშიძეს** შეეძლო მასთან ქულებით გათანაბრება და საერთო ჩათვლაში უკეთესი კოეფიციენტით გასწრებაც. ლევანმა ეს შანსი ვერ გამოიყენა, რადგან ბოლო ორ ტურში ზედიზედ გაიყო ქულები ჯერ ბერესკუსთან, შემდეგ კი **სინიცა დრაჟიჩთან** და 6,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მართალია, ამდენივე ქულა კიდევ ხუთმა მოჭადრაკემ მოაგროვა, მაგრამ მათ უარესი კოეფიციენტით მომდევნო ადგილები გაინაწილეს. მესამეზე რუმინელი ბერესკუ გავიდა.

შეჯიბრებაზე კიდევ ორი ქართველი მოჭადრაკე ცდიდა ძალებს. დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი** მე-8 ტურში **სერგეი ისკუსნიხს** შეუთანხმდა ყაიმზე, საერთაშორისო ოსტატმა **ნიკოლოზ შავთვალაძემ** კი **სტამატის არგირუდისს** მოუგო. ბოლო ტურში ჩვენებურები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და დაზავდნენ კიდეც. საბოლოოდ 6-6 ქულით მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე ადგილები გაიყვეს.

**ბარსელონის** საერთაშორისო ტურნირში 300-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის ორი ქართველიც (**ანა მათნაძე** და **სოფიო გურამიშვილი**) იყო. მათნაძემ ბოლო ორ ტურში მხოლოდ ქულით გაიმდიდრა მონაგარი — **მარს ნარცისოსთან** დამარცხდა და **იგლასიასს** მოუგო, 10 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და 24-ე ადგილს დაყაბულდა. რაც შეეხება გურამიშვილს, მან 5,5 ქულით დაასრულა ასპარეზობა.

პირველი ადგილი 8,5 ქულით ბრაზილიელმა **ალექსანდრ ფიერმა** დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ პოლონელი **მიხაილ კრასენკოვი** და ფრანგი **ფრანკოს ფარჟე**, რომლებსაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები ხვდათ.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

# ბელარუსი ოფიციალურად...

| B დივიზიონი | |
|---|---|
| პლეი ოფი | |
| 5 სექტემბერი | |
| 21:30 | ბელარუსი-საქართველო |
| 22:30 | შვედეთი-ჩერნოგორია |
| 9 სექტემბერი | |
| 20:30 | საქართველო-ბელარუსი |
| 22:30 | ჩერნოგორია-შვედეთი |

**საბოლოო მდგომარეობა**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დანია-ავსტრია | 64:73 |
| ჰოლანდია-ჩერნოგორია | 63:70 |
| ავსტრია-ჰოლანდია | 54:58 |
| ისლანდია-დანია | 77:71 |
| ჰოლანდია-ისლანდია | 84:68 |
| ჩერნოგორია-ავსტრია | 96:73 |
| დანია-ჰოლანდია | 64:79 |
| ისლანდია-ჩერნოგორია | 66:80 |
| ავსტრია-ისლანდია | 81:74 |
| ჩერნოგორია-დანია | 96:60 |
| ავსტრია-დანია | 92:61 |
| ჩერნოგორია-ჰოლანდია | 93:68 |
| დანია-ისლანდია | 54:66 |
| ჰოლანდია-ავსტრია | 83:60 |
| ისლანდია-ჰოლანდია | 87:75 |
| ავსტრია-ჩერნოგორია | 63:86 |
| ჰოლანდია-დანია | 82:54 |
| ჩერნოგორია-ისლანდია | 102:58 |
| **29 აგვისტო** | |
| დანია-ჩერნოგორია | 65:82 |
| ისლანდია-ავსტრია | 65:76 |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 8 | 8 | 0 | 705/516 | 16 |
| 2. ჰოლანდია | 8 | 5 | 3 | 592/550 | 13 |
| 3. ავსტრია | 8 | 4 | 4 | 572/587 | 12 |
| 4. ისლანდია | 8 | 3 | 5 | 561/623 | 11 |
| 5. დანია | 8 | 0 | 8 | 493/647 | 8 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-ალბანეთი | 91:79 |
| რუმინეთი-კვიპროსი | 70:71 |
| **ბელარუსი-რუმინეთი** | **70:59** |
| კვიპროსი-შვეიცარია | 59:61 |
| **შვეიცარია-ბელარუსი** | **77:81** |
| ალბანეთი-კვიპროსი | 69:63 |
| **ბელარუსი-ალბანეთი** | **92:46** |
| რუმინეთი-შვეიცარია | 83:53 |
| **კვიპროსი-ბელარუსი** | **80:81** |
| ალბანეთი-რუმინეთი | 66:80 |
| კვიპროსი-რუმინეთი | 78:69 |
| ალბანეთი-შვეიცარია | 76:73 |
| **რუმინეთი-ბელარუსი** | **70:78** |
| შვეიცარია-კვიპროსი | 55:54 |
| **ბელარუსი-შვეიცარია** | **66:70** |
| კვიპროსი-ალბანეთი | 91:56 |
| **ალბანეთი-ბელარუსი** | **75:76** |
| შვეიცარია-რუმინეთი | 81:69 |
| **29 აგვისტო** | |
| **ბელარუსი-კვიპროსი** | **77:70** |
| რუმინეთი-ალბანეთი | 100:69 |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელარუსი | 8 | 7 | 1 | 621/547 | 15 |
| 2. შვეიცარია | 8 | 5 | 3 | 561/567 | 13 |
| 3. კვიპროსი | 8 | 3 | 5 | 566/538 | 11 |
| 4. რუმინეთი | 8 | 3 | 5 | 600/566 | 11 |
| 5. ალბანეთი | 8 | 2 | 6 | 536/656 | 10 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შვედეთი-ირლანდია | 82:63 |
| **ლუქსემბურგი-საქართველო** | **65:98** |
| **ირლანდია-საქართველო** | **77:94** |
| სლოვაკეთი-შვედეთი | 88:89 |
| **სლოვაკეთი-საქართველო** | **78:101** |
| ლუქსემბურგი-ირლანდია | 70:97 |
| სლოვაკეთი-ლუქსემბურგი | 110:67 |
| **შვედეთი-საქართველო** | **61:59** |
| ირლანდია-სლოვაკეთი | 88:95 |
| ლუქსემბურგი-შვედეთი | 51:96 |
| ირლანდია-შვედეთი | 50:66 |
| **საქართველო-ლუქსემბურგი** | **115:73** |
| **საქართველო-ირლანდია** | **98:73** |
| შვედეთი-სლოვაკეთი | 64:58 |
| ირლანდია-ლუქსემბურგი | 100:83 |
| **საქართველო-სლოვაკეთი** | **91:50** |
| **საქართველო-შვედეთი** | **82:72** |
| ლუქსემბურგი-სლოვაკეთი | 63:76 |
| **29 აგვისტო** | |
| სლოვაკეთი-ირლანდია | 75:68 |
| შვედეთი-ლუქსემბურგი | 97:40 |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 8 | 7 | 1 | 738/549 | 15 |
| 2. შვედეთი | 8 | 7 | 1 | 627/491 | 15 |
| 3. სლოვაკეთი | 8 | 4 | 4 | 630/631 | 12 |
| 4. ირლანდია | 8 | 2 | 6 | 616/663 | 10 |
| 5. ლუქსემბურგი | 8 | 0 | 8 | 512/789 | 8 |

**შაბათს საქართველოს ნაკრების საპლეიოფო მეტოქის ვინაობა ოფიციალურად გაცხადდა: როგორც მოსალოდნელი იყო, შვედეთის ნაკრებმა ლუქსემბურგი 111 ქულის სხვაობით ვერ დაამარცხა. სკანდინავიელებმა ჯუჯებს 97:40 აჯობეს. მათ ეს მატჩი პლეი ოფში ჩერნოგორიასთან დაპირისპირების წინ გენერალურ რეპეტიციად გამოადგებათ. ნახევარფინალები 5 და 9 სექტემბერს გაიმართება. ფიბა-ს გადაწყვეტილებით, ყველა შეხვედრა ადგილობრივი დროით 20:30 საათზე დაიწყება. რადგან სასაათო სარტყელის მიხედვით ბელარუსი ერთი საათით ჩვენზე უკანაა, მოგილიოვში მატჩი თბილისის დროით 21:30 საათზე დაიწყება, ხოლო განმეორებით შეხვედრას სპორტის სასახლე 9 სექტემბერს 20:30 საათზე უმასპინძლებს.**

**აქამდე ბევრი ვიმსჯელეთ პლეი ოფში გუნდების დახარისხებაზე. სხვადასხვა სავარაუდო ვერსიაც შემოგთავაზეთ. ახლა კი, ერთი პატარა ცხრილის მეშვეობით იოლად აგიხსნით, რატომ შევხვდით ბელარუსს. ნახევარფინალისტთა დანაწილებისას პირველ რიგში მნიშვნელობა ენიჭება ქულების რაოდენობას. ამ მაჩვენებლის თანაბრობის შემთხვევაში საუკეთესოს ავლენს ჩაგდებულ-მიღებული ბურთების შეფარდება.**

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 8 | 8 | 0 | 705/516 | 16 |
| 2. საქართველო | 8 | 7 | 1 | 738/549 | 15 |
| 3. შვედეთი | 8 | 7 | 1 | 627/491 | 15 |
| 4. ბელარუსი | 8 | 7 | 1 | 621/547 | 15 |

ჩერნოგორიას 16 ქულა აქვს და ამ ცხრილში ულაპარაკო ლიდერია. მეორე-მეოთხეადგილოსნები ბურთების ბალანსით გამოვლინდნენ. საქართველოს +189 ქულა აღმოაჩნდა, შვედეთს +136, ბელარუსს +74. ფიბა-ს დებულებით, პირველი მეოთხეს უნდა შეხვედროდა, მეორე – მესამეს, მაგრამ რადგან მეორე-მესამე ერთი ჯგუფის წარმომადგენელია (საქართველო და შვედეთი), პირველი მესამეს შეხვდა, მეორე – მეოთხეს. ასე რომ, სლოვაკეთთან და ლუქსემბურგთან დამაჯერებელმა გამარჯვებამ საქართველოს ნაკრებს პლეი ოფში ჩერნოგორია ააცილა...

## ორი ცდა

ბევრი კითხულობს: რა დონის გუნდია ბელარუსი, შეიძლება თუ არა მისი იოლად ძლევა და ელიტაში მოხვედრა? ვიდრე მეტოქეზე მოგახსენებდეთ, საქართველოს ნაკრებზე ვთქვათ.

ევროპის საკალათბურთო ნაკრებების ორ დივიზიონად გაყოფის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა გუნდმა პირველად გააღწია პლეი ოფში. 2004-05 წლებში ქართველებმა ჯგუფში პირველი ადგილი მაკედონიას დაუთმეს, 2006-07 წლებში – ფინეთს. ჰოდა, დღეს A დივიზიონში მაკედონია და ფინეთი ნებისმიერი ნაკრებისთვის საშიშ ძალას წარმოადგენენ. საქართველო კი ისევ ქვედა ლიგიდან ამოძრომას ცდილობს.

2004-05 წლების ეტაპზე B დივიზიონში გუნდები მეტად არათანაბრად განაწილდნენ: ერთ ჯგუფში საქართველო, ფინეთი და მაკედონია მოხვდნენ მაშინ, როცა A ჯგუფი დანიამ, ისლანდიამ და რუმინეთმა შეადგინეს; B ჯგუფი - ირლანდიამ, სლოვაკეთმა, შვეიცარიამ და მალტამ; C ჯგუფი - ავსტრიამ, ბელარუსმა, კვიპროსმა და ალბანეთმა. შესაბამისად, ქვეჯგუფებში გამარჯვებულები ერთმანეთს პლეი ოფში დაუპირისპირდნენ: მაკედონია – ავსტრიას, დანია – ირლანდიას.

ასეთი უსამართლო განაწილების გამო საქართველოს ნაკრები ქვედა ლიგაში ჩარჩა, ხოლო დანია და მაკედონია ელიტაში ალზევდნენ. თუ ვინმე შეგვედავება სიტყვა „უსამართლობის" გამო, შევახსენებთ: 2005 წელს ელიტაში ასული დანია ახლა არათუ ზედა ეშელონის, არამედ B დივიზიონის მაჩანჩალაა – ახლახან დასრულებულ შესარჩევ ეტაპზე რვავე მატჩი წააგო. თუ არ გჯერათ, A ქვეჯგუფის (ჩერნოგორია რომ გაპირველდა) სატურნირო მდგომარეობას გადახედეთ.

სხვათა შორის, ჩვენი მომავალი მეტოქე, ბელარუსი პირველად პლეი ოფში 2005-ში უნდა გასულიყო, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, ბოლო ტურში შინ ავსტრიასთან წააგო (60:69) და ნახევარფინალის საგზური სტუმრებს დაუთმო.

2006-07 წლების შესარჩევ ციკლში B დივიზიონში გუნდები სამ ჯგუფად დაიყო. პირველადგილოსნებთან ერთად პლეი ოფში საუკეთესო მეორე გადიოდა. მართალია, ქართველებს ისევ უხერხული მეტოქე, ფინეთი შეგვხვდა, მაგრამ დიდი შანსი იყო, ჩვენი ჯგუფიდან ორივე გუნდი გასულიყო. ამისთვის საჭირო იყო ფინეთში წაგების შემდეგ ყველა მატჩის მოგება, მაგრამ ისლანდიაში 76:75 დავთმეთ და ელიტას სამი წლით დავემშვიდობეთ. საქართველოს დარად, ნახევარფინალში ვერც ბელარუსი გავიდა. იგი ჯგუფში ჰოლანდიასა და დიდ ბრიტანეთს ჩამორჩა. პლეი ოფში ფინეთმა რუმინეთს იოლად აჯობა, ბრიტანეთმა – შვეიცარიას.

2008-09 წლების ფლეი... თუმცა, ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.



1997 წლის 29 იანვარი. საქართველო-ბელარუსი 80:78

## კაცნაკლული მეტოქე

თუ შემადგენლობების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოს ნაკრები ბელარუსზე უკეთესი გუნდია, მაგრამ მხოლოდ გვარები საქმეს რომ არ წყვეტს, აქამდე არაერთხელ დავრწმუნდით. მომავალ მეტოქეს მეტად შეკრული გუნდი ჰყავს, ისე ჯგუფში 8-დან 7 მატჩს ვერ მოიგებდა, მით უმეტეს, რომ ბელარუსებს ტანმაღალი კვალიფიციური კალათბურთელები ნაკლებად ჰყავთ და ამ ნაკლოვანების კომპენსირებას სწრაფი გუნდური თამაშით ცდილობენ.

ყველაზე მაღალია **მიკალაი ალიაკსეიუ** (212 სმ), რომელიც წლეულს 3 მატჩში საშუალოდ 2.7 ქულას და 2 მოხსნას აგროვებს. გუნდის მთავარი მომხსნელი **იგორ მეშერიაკოვია**, რომელიც 205 სმ სიმაღლისაა და ამ აგვისტოს გამართულ 4 მატჩში საშუალოდ 4 მოხსნას ითვლის. იგი ბელარუსების ყველაზე გამოცდილი კალათბურთელია – სანკტ პეტერბურგის „სპარტაკში" თამაშობს.

დანარჩენებიდან 202 სმ-ს ერთიც არ აღემატება. ალბათ ამიტომაცაა, მოხსნებში ბელარუსი B დივიზიონში ბოლოდან მეორე რომაა (29.3). ამ კომპონენტში საქართველო პირველია – 42.5.

ბელარუსის ნაკრებში 8 ლეგიონერია. მეშერიაკოვზე უკვე მოგახსენეთ. ცენტრი ალიაკსეიუ უნგრეთის „ზოლნოკიში" თამაშობს. უკრაინული „ლვოვის" ღირსებას სამი კალათბურთელი იცავს: **ალექსანდრ კუდრიავცევი, ალექსანდრ პუშტავარი** და **დმიტრი კუზმინი**. უკრაინის „ზაპოროჟიეში" ირიცხება **გეორგი კანდრუშევიჩი**, ხოლო ამავე ქვეყნის „გოვერლაში" – **არსენ კუჩინსკი**. ბელარუსებს ამერიკის კოლეჯების ლიგის ერთი წარმომადგენელი ჰყავთ – 1988 წელს დაბადებული **ნიკიტა მეშერაკოვი** (202 სმ).

რუსეთის პირველობაზე „უნიქსს" ერთი ბელარუსი ეხმარება – **ვლადიმირ ვერემეენკო**, რომელმაც ნაკრებზე წლეულს უარი თქვა. იგი თავის გადაწყვეტილებას ასე ხსნის: *„ცუდ ფორმაში ვიყავი და სათადარიგოთა სკამზე ტყუილად ჯდომას ნაკრებში თამაშზე უარის თქმა ვამჯობინე"*. იგი იქვე დასძენს: *„ნაკრებში არსებული სიტუაციით უკმაყოფილო ვარ. შარშან შეკრებიდან მინსკში დაბრუნების შემდეგ გამომიცხადეს – ამ ღამეს სადმე გამოიძინე და დილას ყველა ერთად სასტუმროში შეხვალთო... თუ კალათბურთელი ნაკრებს სჭირდება, მასზე ზრუნვაც საჭიროა."*

წესითა და რიგით, არც ვერემეენკოიან ბელარუსს უნდა შევეშინებინეთ. საქმე გვაქვს უკრაინასა და რუსეთში გამოწვრთნილ კალათბურთელებთან, რომლებიც აქცენტს პერიმეტრიდან ტყორცნებზე აკეთებენ. ისინი B დივიზიონში სამქულიანი სროლების რეალიზების მიხედვით მესამენი არიან – 37.5 პროცენტი. იცით, პირველ პოზიციაზე რომელი ნაკრებია? – საქართველო – 41.9 პროცენტი.

ერთი შეხედვით, ბელარუსებთან პლეი ოფში დიდი უპირატესობა უნდა გვქონდეს, მაგრამ საქმე ეხება ორ მატჩს, რომელთაგან ერთის ჩაგდებამაც შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქამდე ბელარუსებთან გამართული ოთხი მატჩიდან ორი საშინაო შეხვედრა მოგვიგია.

■ ■ ■

ელიტაში გადავედით, მერე რა ეტაპებია? ეს კითხვაც ხშირად დასმულა. მოდი, პასუხი 9 სექტემბრამდე შევინახოთ. თუ გადავედით, მაშინ A დივიზიონზე ამომწურავად ვისაუბროთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

პლაჟბურთი



გეორ-გია

*მსოფლიო ტური*

# გეორ-გია მეცხრე ადგილს დასჯერდა

ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი ქართულმა დუეტმა **გეორ-გიამ** მე-9 ადგილზე დაასრულა. ჩვენი ფრენბურთელები შეჯიბრებას მე-8 ნომრად განთესილმა შვეიცარიულმა დუეტმა **ბელაგუარდა-ლაციგამ** გამოთიშა.

შეგახსენებთ, რომ შეხვედრა უამინდობის გამო მაშინ შეწყდა, როცა სეტებში ანგარიში თანაბარი იყო – 1:1. მატჩი მეორე დღეს თავიდან დაიწყო და შვეიცარიელების უპირატესობით წარიმართა. გამარჯვებაც მათ დარჩათ ორ სეტში - 21:13, 21:14.

ამრიგად, გეორ-გიამ ტურნირზე 240 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. მორიგ, ბოლო ეტაპზე ჩვენი ვაჟები 26-31 ოქტომბერს ითამაშებენ ჩინეთის ქალაქ სანიაში.

რაც შეეხება ქალებს, **საქა-რთველომ** წლეულს კიდევ სამ ტურნირზე უნდა ითამაშოს: 8-13 სექტემბერს ბარსელონაში, 26-31 ოქტომბერს სანიაში და 3-8 ნოემბერს ტაილანდის ქალაქ პუკეტში.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ოლიმპიური ჩემპიონები - მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი და რობერტ შავლაყაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საუკეთესო მეგობრის, ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონის და პრიზიორის, სამშობლოს დიდი პატრიოტის

**შოთა ჩოჩიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ქართულ სპორტულ სამყაროს.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 59 წლისა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი, საქართველოს ორგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, ბრწყინვალე პიროვნება

**შოთა ჩოჩიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...



# ფალავანთა საგვარეულო

ქარელის რაიონის სოფელი ფცა ფრონეს ხეობაში ცნობილია ფალავნებით. წარმატებული მოჭიდავე იყო **ზვიად ბერუაშვილი** (1970-1996), რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 1997 წლიდან რეგულარულად იმართება. მხოლოდ შარშან აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის გამო ვერ ჩატარდა...

**გია ბერუაშვილი**, ზვიად ბერუაშვილის უფროსი ძმა, ფცის გამგებელი, ვეტერანი მოჭიდავე და ამ ტურნირის სულისჩამდგმელია. წლეულს მას მხარში ამოუდგნენ ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **უშანგი ყურაშვილი**, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ნოდარ ქენქაძე** და ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა. გამოჩენილმა მწვრთნელმა **გურამ მოდებაძემ** კი ფცაში თავისი საუკეთესო მონაფეები გაგზავნა საასპარეზოდ. მათ შიდა ქართლის, იმერეთისა და კახეთის მოჭიდავეებიც დაემატნენ და სარბიელზე ბევრმა ჩემპიონპრიზიორმა მოიყარა თავი. შუადღისას დაწყებული ფიცხელი ბრძოლები ღამის 12 საათამდე არ განელებულა.

400-კომლიან ფცაში ბერუაშვილები და ოსაძეები ჭარბობენ.

პირველი გამოჩენილი ფალავანი აქ **დურმიშხან (დურო) ბერუაშვილი** (1935-1978) იყო, რომელიც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ქართულის მოჭიდავედ ითვლება. დურმიშხანის ძმისშვილები - **მალხაზი** საქართველოს ხუთგზის ფალავანია ქართულ ჭიდაობაში და მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში (1990), **გელა** კი საქართველოს ფალავანია ქართულ ჭიდაობაში (1988) და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი — სამბოში (1991).

ფციდან არიან აგრეთვე ცნობილი ფალავნები: **ვან ლიჩელი, რამაზ, გია, თამაზ, როინ ბერუაშვილები, ილია, ვახტანგი, ირაკლი ქოთოლაშვილები, დავით, რამაზ და ზაზა ხორგუაშვილიებ, გია კილასონია, ვასილ სიდამონიძე, გმირი ბიბილური, ამირან ლომსაძე, ილია კობა და არჩილ ჩიმჩიურები...**

ფცაში ოდითგან იყო ღია საჭიდაო მოედანი, მაგრამ 1991 წელს აქ დახურული საზაფხულო საჭიდაოც ააგო დურმიშხან ბერუაშვილის უმცროსმა ძმამ **სიმონ ბერუაშვილმა**, რომელსაც დიდად ემადლიერება ქართული ჭიდაობის ამქარი.

საქართველოს ჰიმნის თანხლებით ტურნირის გახსნაზე ჩვენი ქვეყნის დროშა აღმართა ფცის საუკეთესო მოჭიდავემ **ბიჭიკო ოსაძემ**, რომელიც ტურნირის ჩემპიონიც გახდა და საუკეთესო ფალავნის თასიც დაიმსახურა.

ტურნირს უამრავი სტუმარი და მასპინძელი ესწრებოდა. მათ შორის იყო საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ქარელის რაიონიდან **ემზარ გელაშვილი**, რომელიც ქართული ჭიდაობის ერთგული ქომაგია. მსაჯის როლში მოგვევლინა საქართველოს რვაგზის ფალავანი **ალექსი დავითაშვილი**. ერთ რამედ ღირდა სამბოში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ძალისელი (მცხეთა) **მირიან პავლიაშვილის** (100) მოგვერდების ხილვა. კარგად უკრავდა დასტაც - ეროვნებით აზერბაიჯანელი, ქარელელი ქართულის დამკვრელები: ძმები **მიხეილ და აჟდარა ალაჰიაროვები** და **სარდიონ აბგაროლლი**. ეს ტრიო 30 წელიწადია ასრულებს საჭიდაოს, წამქეზებლურ მუსიკალურ ფონს, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ჭიდაობა...

მოჭიდავეთა დაჯილდოების დროს მოხდა ერთობ წამახალისებელი რამ. ყველა ჩემპიონს რაიონის ამა თუ იმ წარჩინებულმა ადამიანმა გადასცა ფულადი ჯილდოები ისე, რომ აფიშირებაც კი არ უთხოვიათ. ეს კი ჭეშმარიტად მისაბაძი რამაა.

ზვიად ბერუაშვილის 2009 წლის მემორიალური ტურნირის ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში კი გახდნენ: 50 კგ. **ბექა ბექაური** (მცხეთა). 55 კგ. **ოთარ კაიდარაშვილი** (გორი), 60 კგ. **თემურ ნასყიდაშვილი** (რუისი), 65 კგ. **ბიჭიკო ოსაძე** (ფცა), 70 კგ. **ზურაბ ნოზაძე** (ალი), 80 კგ. **ხვიჩა ხუციშვილი** (ჭიათურა), +80 კგ. **მირიან პავლიაშვილი** (ძალისი).

სექტემბერში ქართული ჭიდაობის ბერმუხის, დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის დიდი ტურნირი გაიმართება გორში ან ფცაში.

ასე რომ, ქართული ჭიდაობის მოყვარულები არც სექტემბერში მოიწყენენ.

**გაბრიელ ბარჯაძე**
ფცა
ავტორის ფოტო

რაგბი | ლეგიონერები

# ქართველები გალიდერდნენ

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონს სამი ტურის შემდეგ სათავეში ქართველ მორაგბეთა კლუბები, „კლერმონი“ და „ტულონი“ ჩაუდგნენ. ეს გუნდები, კიდევ ერთი ქართველის, **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრთან“ ერთად, დაუმარცხებლად ასპარეზობენ. კასტრელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ გამართული, რადგან მათი შეხვედრა **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანთან“ გადაიდო.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“ მე-3 ტურში სტუმრად ითამაშა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივთან“ და ფრეს დასჯერდა – 9:9. ზირაქაშვილი „ვულკანების“ ძირითად შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს. ხინჩაგიშვილი კი შეხვედრაში 47-ე წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად „ალბისთან“ დიდი ბრძოლა გადახდა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს“. ჩვენებურის გუნდმა გამარჯვებას ისევ **ჯონი ვილკინსონის** საჯარიმოების წყალობით მიაღწია – 15:9. ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო.

ასევე სტუმრად ითამაშა „სტად ფრანსესთან“ **გიორგი ჩხაიძისა** და **მამუკა გორგოძის** „მონპელიემ“. ქართველთა გუნდმა პარიზელებს პირველ ნახევარში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია – 13:13, თუმცა მერე მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა და გამარჯვებაც მათ დარჩათ – 46:23. გორგოძე და ჩხაიძე ტრავმირებულები არიან.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**III ტური**

ბრივი – კლერმონი 9:9, სტად ფრანსე – მონპელიე 43:26, მონტობანი – კასტრი (გადაიდო), მეტრო რასინგი – ბაიონი 18:9, ბურგუენი – ბიარიცი 22:17, პერპინიანი – ტულუზი 17:15, ალბი – ტულონი 9:15.

სატურნირო მდგომარეობა: 1.კლერმონი – 11 ქულა, 2. ტულონი – 10, 3. ტულუზი – 10, 4. პერპინიანი – 9, 5. კასტრი – 8, 6. მეტრო რასინგი – 8, 7. ბრივი – 7, 8. ბიარიცი – 6, 9. სტად ფრანსე – 6, 10. ბაიონი – 4, 11. ბურგუენი – 4, 12. მონპელიე – 4, 13. ალბი – 2, 14. მონტობანი – 1.

პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა მეორე დივიზიონში. ქართველ მორაგბეთა კლუბების უმრავლესობამ ასპარეზობა გამარჯვებით დაიწყო.

**ლევან დათუნაშვილის** “ორიაკმა” **გიორგი ჟღენტის** “ოიონაქსს” უმასპინძლა და 25:16 დაამარცხა. დათუნაშვილი თამაშში 77-ე წუთიდან ჩაერთო. ჟღენტი განაცხადში არ იყო.

შინ დაამარცხა მეორე დივიზიონის დებიუტანტი “ექსი” **მამუკა მაგრაქველიძის** “ტარბმა” – 22:15. მაგრაქველიძეს არ უთამაშია.

“ლიონის” განაცხადში არ იყო **გურამ კავთიძეც**. ლიონელებმა შინ დაამარცხეს “ბორდო” -17:13. “დაქსთან” სტუმრად დამარცხდა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** “აჟენი” – 16:13. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**II დივიზიონი. I ტური**

მონ დე მარსანი – ლა როშელი 22:21, ტარბი – ექსი 22:15, ორიაკი – ოიონაქსი 25:16, გრენობლი – ლანამეზანი 39:10, ნარბონი – პო 28:12, ლიონი – ბორდო 17:13, ოში – კოლომიე 31:22, დაქსი – აჟენი 16:13.

სატურნირო მდგომარეობა: 1.გრენობლი – 5 ქულა, 2. ნარბონი – 5, 3. ოში – 4, 4. ორიაკი – 4, 5. ტარბი – 4, 6. ლიონი – 4, 7. მონ დე მარსანი – 4, 8. დაქსი – 4, 9. ლა როშელი – 1, 10. ბორდო – 1, 11. ექსი – 1, 12. აჟენი – 1, 13. კოლომიე – 0, 14. ოიონაქსი – 0, 15. პო – 0, 16. ლანამეზანი – 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველოს თასი**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| აია-ლელო | 12:30 |



დავით ზირაქაშვილი

ჩოგბურთი

# ანას გაღებული ამერიკა ცხვირწინ მიუხურეს



ანა ტატიშვილი

წლის მესამე „დიდი სლემის“ ტურნირი - ამერიკის ღია პირველობა კვლავ უქართველოდ ჩაივლის. ამას თითქოს მივეჩვიეთ კიდეც - 2004 წლის შემდეგ, როცა ამერიკის ღია პირველობაზე **ირაკლი ლაბაძემ** ითამაშა, ჩვენებურებს „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე მხოლოდ საკვალიფიკაციო ბადეში თუ უთამაშიათ. ქალთა შორის კი 1994 წლის მერე არავინ ყოფილა ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადეში, მაშინ ეს **ლეილა მესხმა** შეძლო. და, აი, ახლა 19 წლის **ანა ტატიშვილი** (168) ძალიან ახლოს იყო სანუკვარ მიზანთან, საჭირო იყო მხოლოდ ერთი გამარჯვება საკვალიფიკაციო ბადის მე-3, ფინალურ ეტაპზე. ანა 22 წლის იაპონელ **იურიკა სემას** (170) ხვდებოდა. გოგონებს შორის რეიტინგში სულ ორი საფეხურია განსხვავება ანას სასარგებლოდ, თუმცა იურიკას წლეულს ერთხელ უკვე მოეგო ქართველისთვის.

ეს თამაში თავიდანვე დაითარსა - პარასკევს ჩოგბურთელები მე-10 კორტზე გავიდნენ და წვიმის გამო პირველი სეტი ვერ ჩაამთავრეს. ანა 5:4-ს იგებდა, მოწოდება კი იაპონელისა იყო. მატჩები შაბათისთვის გადაიდო. მეორე დღეს კორტზე გასულებმა უმალ ჩაამთავრეს პირველი სეტი, ანამ მეტოქეს მოწოდება აართვა და მატჩში 6:4 დაწინაურდა. მეორე სეტში თავიდან სემა დაწინაურდა - 3:1, მაგრამ ტატიშვილმა მოწოდება დაიბრუნა და წინაც გავიდა - 4:3. აი, აქ კი, ჩვენი აზრით, მატჩის გადამწყვეტი გეიმი გათამაშდა. იაპონელის მოწოდებაზე დაძაბული თამაში წავიდა, ტატიშვილს ბრეიქ პოინტიც ჰქონდა, მას მხოლოდ ერთი ჩაგდება აშორებდა 5:3 დაწინაურებასთან და შემდეგ შეეძლო, წყნარად მოეგო გეიმი და მატჩი საკუთარ მოწოდებაზე. მაგრამ ანამ ეს ვერ შეძლო, მან არა მარტო მეტოქის მოწოდება დათმო, არამედ შემდგომი გეიმიც საკუთარ მოწოდებაზე და სეტიც - 4:6.

ყველაფერი თითქოს თავიდან დაიწყო, მაგრამ სემას მხარეს უდიდესი ფსიქოლოგიური და საკმაოდ შესამჩნევი ფიზიკური უპირატესობა იყო. ანას უჭირდა საკუთარ მოწოდებებზე და შანსი არ ჰქონდა მეტოქისაზე, შედეგად მან მატჩი სამ სეტში - 6:4, 4:6, 2:6 დათმო და ძირითად ბადეში იაპონელი ჩოგბურთელი გავიდა. მატჩის „სუფთა“ დრო 145 წუთია. ანამ 7 ორმაგი შეცდომა დაუშვა (სემამ - 3), ვერც ერთი ეისი ვერ ჩააწოდა (სემა - 4) და ოთხჯერ გაახერხა ბრეიქი (სემა - 5). ანას ამ ტურნირში მონაწილეობისთვის 8 ათასი დოლარი და 50 სარეიტინგო ქულა ერგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბასილაშვილი: არის პირველი ტიტული კარიერაში!

ქართველმა ვაჟმა ჩოგბურთელმა ერთეულთა თანრიგში ბოლოს საერთაშორისო ტურნირი ზუსტად 2 წლის წინათ მოიგო. მაშინ შესანიშნავ ფორმაში მყოფმა **ლადო ჩიხლაძემ** გერმანიაში იმარჯვა. და აი, 2-წლიანი პაუზა 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (683) შეწყვიტა, რომელმაც კარიერაში პირველი ტიტული მოიგო. სოჭში, მცირე საერთაშორისო ტურნირში ქართველი მე-7 ნომრად განთესეს. მან ფინალში გააღწია, სადაც მე-8 ნომრად განთესილ მასპინძელ **მიხაილ ფუფიგინს** (709) შეხვდა. სამსეტიანი ორთაბრძოლა ბასილაშვილმა მოიგო - 2:6, 7:5, 7:5. ეს მიღწევა ქართველს მნიშვნელოვნად წასწევს რეიტინგში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# უცხოური სპორტი

## ჩოგბურთი

### აშშ-ის ღია პირველობა. ქალების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

საფინა (რუს, 1)
როგოვსკა (ავსტრა)
უ. რადვანსკა (პოლ)
ბაროისი (გერ)
გარბინი (იტა)
სესილი (აშშ)
კვიტოვა (ჩეხ)
კლეიბანოვა (რუს, 27)
შნიდერი (შვეიც, 19)
საფაროვა (ჩეხ)
ერანი (იტა)
რუსი (ჰოლ)
პენგი (ჩინ)
გროთი (ავსტრა)
ვიკმაიერი (ბელ)
რაზანო (საფ, 16)
ივანოვიჩი (სერ, 11)
კ. ბონდარენკო (უკრ)
პერი (აშშ)
ნიკულესკუ (რუმ)
როდიონოვა (ავსტრა)
დომინგეს ლინო (ესპ)
რეზაი (საფ)
ლისიცკი (გერ, 23)
ა. ბონდარენკო (უკრ, 30)
კუდრიავცევა (რუს)
დულკო (არგ)
მაკაროვა (რუს)
შვედოვა (ყაზ)
ზეც პესკარიჩი (სლოვე)
ვინჩი (იტა)
იანკოვიჩი (სერ, 5)
დემენტიევა (რუს, 4)
პინი (საფ)
პავლიუჩენკოვა (რუს)
ოუდინი (აშშ)
ჰერცოგი (სლოვენ)
მაკჰეილი (აშშ)
პირონკოვა (ბულ)
შარაპოვა (რუს, 29)
ჟენგი (ჩინ, 21)
გრიონეფელდი (გერ)
კორნე (საფ)
ადამჩაკი (ავსტრა)
ჰრდინოვა (ჩეხ)
კუანი (საფ)
სრებოტნიკი (სლოვენ)
პეტროვა (რუს, 13)
ვოზნიაკი (დან, 9)
ვოსკობოევა (ყაზ)
მარტიჩი (ხორ)
ბრემონი (საფ)
მლადენოვიჩი (საფ)
დუბუა (კან)
მორიტა (იაპ)
ცირსტეა (რუმ, 24)
შავაი (უნგ, 32)
პეერი (ისრ)
ლეპჩენკო (აშშ)
სუარეს ნავარო (ესპ)
ტანასუგარნი (ტაილ)
სევასტოვა (ლატ)
გორგესი (გერ)
კუზნეცოვა (რუს, 6)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

აზარენკა (ბლრ, 8)
დულგერუ (რუმ)
დომახოვსკა (პოლ)
ზახვალოვა (ჩეხ)
ბრიანტი (იტა)
ფოგელი (შვეიც)
მოისბურგერი (ავსტრი)
სკიავონე (იტა, 26)
ნა ლი (ჩინ, 18)
ოლარუ (რუმ)
დე ბრიტო (პორ)
იოჰანსონი (საფ)
კირილენკო (რუს)
კორიტცევა (რუს)
მაირი (ავსტრია)
ა. რადვანსკა (პოლ, 12)
ბარტოლი (საფ, 14)
დე ლოს რიოსი (პარ)
კუტუზოვა (უკრ)
კლაისტერსი (ბელ)
ფლიპკენსი (ბელ)
დოკიჩი (ავსტრა)
ბროდსკი (აშშ)
მ-გარიგესი (ესპ, 20)
კანეპი (ესტ, 25)
ჩანგი (ტაივ)
რიბარიკოვა (სლოვა)
ტეტრო (კან)
მატეკი (აშშ)
ბენეშოვა (ჩეხ)
დუშევინა (რუს)
ვ. უილიამსი (აშშ, 3)
ზვონარევა (რუს, 7)
ლაგოსტერა (ესპ)
სემა (იაპ)
ჩაკვეტაძე (რუს)
გალიქსონი (აშშ)
კრეიბასი (აშშ)
ჰრადეცკა (ჩეხ)
ვესნინა (რუს, 31)
მორესმო (საფ, 17)
მალეკი (გერ)
ვოზნიაკი (კან)
გრენვილი (აშშ)
გოვორცოვა (ბლრ)
მირზა (ინდ)
გალოვიტცი (რუმ)
პენეტა (იტა, 10)
სტოსური (ავსტრა, 15)
სუგიამა (იაპ)
კინგი (აშშ)
იაკიმოვა (ბლრ)
ბაშჩინსკი (შვეიც)
მანასიევა (რუს)
შონესი (აშშ)
ჰანტუხოვა (სლოვა, 22)
ბამერი (ავსტრია, 28)
მარტინეს სანჩესი (ესპ)
კვალიფიკაცია
პეტკოვიჩი (გერ)
ჩინკი (უნგ)
კამერინი (იტა)
გლეტჩი (აშშ)
ს. უილიამსი (აშშ, 2)

### ამერიკის ღიას რეკორდები (ქალები)

**ყველაზე მეტი ფინალი**

10 - მოლა მელორი (1915-18, 20-24, 26)
9 - ჰელენ უილს მუდი, კრის ევერტი
8 - ელიზაბეტ მური, ჰელენ იაკობსი, მარტინა ნავრატილოვა, შტეფი გრაფი
6 - პოლინ ბეტცი, ლუიზ ბრაუ, დორის ჰარტი, მარგარეტ სმიტ კორტი

**ყველაზე მეტი ფინალი (ზედიზედ)**

6 - კრის ევერტი (1975-80); პოლინ ბეტცი (1941-46)
5 - ელიზაბეტ მური (1901-05); მოლა მელორი (1920-24); ჰელენ იაკობსი (1932-36); მარტინა ნავრატილოვა (1983-87)
4 - ჟულიეტ ატკინსონი (1895-98); მოლა ბიურსტედტი (1915-18); მარგარეტ ოსბორნი (1947-50); დორის ჰარტი (1952-55); ივონ გულაგონგი (1973-76); შტეფი გრაფი (1993-1996)

**ყველაზე მეტი ნაუგებელი ფინალი**

4 - ალის მერბლი (1936, 38-40)

**ყველაზე მეტი ნაგებული ფინალი**

4 - ივონ გულაგონგი (1973-76)

**ყველაზე მეტი ნახევარფინალი (ზედიზედ)**

16 - კრის ევერტი (1971-86)

**ყველაზე მეტი მონაწილეობა (კარიერა)**

21 - მარტინა ნავრტილოვა (1973-93)
20 - ვირჯინია უეიდი (1964-70, 72-84); მერჯორი გლედმენ ბუკი (1927-37, 42-43, 45, 47-52, 55)
19 - ლუიზ ბრაუ (1939-50, 52-57, 59); ნენსი რიჩი განტერი (1958-60, 62-67, 69-78); კრის ევერტი (1971-89)

**ყველაზე მეტი მოგებული სეტი (ზედიზედ)**

54 - ჰელენ უილს მუდი (1927-33)
46 - კრის ევერტი (1975-79)

**ყველაზე მეტი მონაწილეობა (ზედიზედ)**

21 - მარტინა ნავრატილოვა (1973-93)
19 - კრის ევერტი (1971-89)
18 - პემ ტიგარდენი (1967-84)
17 - კეი უინტროპი (1931-47)

**ყველაზე მეტი მატჩი (კარიერა)**

113 - კრის ევერტი (1971-89)
106 - მარტინა ნავრატილოვა (1973-93)
82 - შტეფი გრაფი (1984-96, 98)

**მოგებების პროცენტი (კარიერა)**
**(მინიმუმ 40 ნათამაშები მატჩი)**

96.2% - ჰელენ უილს მუდი (50-2)
90.3% - მოლა მელორი (65-7)
89.5% - მარგარეტ სმიტ კორტი (51-6)
89.4% - კრის ევერტი (101-12)
89.0% - შტევი გრაფი (73-9)
87.5% - ვენუს უილიამსი (42-6)

**ყველაზე მეტი მოგებული მატჩი (კარიერა)**

101 - კრის ევერტი (1971-89)
89 - მარტინა ნავრატილოვა (1973-93)
73 - შტეფი გრაფი (1984-96, 98)
65 - მოლა მელორი (1915-18, 20-24, 26)
63 - ჰელენ იაკობსი (1927-41)

**ყველაზე მეტი მოგებული მატჩი (ზედიზედ)**

46 - ჰელენ უილს მუდი (1927-33)
31 - კრის ევერტი (1975-79)
28 - ჰელენ იაკობსი (1932-36)
20 - მარგარეტ დუპონტი (1948-50, 53); მარტინა ნავრატილოვა (1983-85); ვენუს უილიამსი (2000-2002)
19 - შტეფი გრაფი (1988-90)

## მძლეოსნობა



# ელენამ კლასი დაამტკიცა

ციურიხში IAAF-ის "ოქროს ლიგის" სერიის ბოლოსწინა ეტაპი გაიმართა და მისი შედეგების მიხედვით მილიონიან ჯეკ-პოტს სამი პრეტენდენტი შემორჩა.

შვეიცარიაში უძლიერესი მძლეოსნები შეიკრიბნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა დისციპლინაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იღებდა მონაწილეობას. ყველაზე დიდი ყურადღება ქალთა შორის ჭოკით მხტომელთა სექტორისკენ იყო მიპყრობილი. რუს **ელენა ისინბაევას** წინა ოთხი ეტაპი მოგებული ჰქონდა, მაგრამ მის მზადყოფნაში მაშინ შეეპარათ ეჭვი, როცა ელენამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერც ერთი სიმაღლე ვერ დაძლია და მედლის გარეშე დარჩა.

ისინბაევამ გამოსვლა 4.71 მეტრიდან დაიწყო და ეს სიმაღლე პირველი ცდიდან დაძლია. შემდეგ ასევე დამაჯერებლად გადახტა 4,81 მეტრზე, რაც გამარჯვებას ნიშნავდა, რადგან რუსის მთავარი კონკურენტი, მსოფლიოს ჩემპიონი **ანა როგოვსკა** 4.76 მეტრით დაკმაყოფილდა.

ბოლოს ისინბაევამ მსოფლიოს რეკორდზე მიიტანა შტურმი და აქაც პირველი ცდიდან აიღო 5.06 მეტრი, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაგების გარეშე დიდი გამარჯვებები არ არსებობს.

ოქროს ლიგის სერიაში მეხუთე გამარჯვების შემდეგ, ელენამ ჯეკ-პოტის მოგების შანსი შეინარჩუნა, თუმცა, როგორც ჩანს, ისინბაევა მილიონი დოლარის ერთპიროვნული მფლობელი ვერ გახდება. ასევე მეხუთე ტურნირი მოიგო ორმა მძლეოსანმა. **კენენისა ბეკელეს** კვლავ არ ჰყავდა ბადალი 5000 მეტრზე, თანაც ეთიოპიელმა ეს დისტანცია სეზონის საუკეთესო დროში გაირბინა. ბეკელეს მიბაძა ამერიკელმა **სანია რიჩარდსმა**, რომელმაც 2009 წელს პირველად დაფარა 400 მეტრი 49 წამზე ნაკლებ დროში.

ჯეკ-პოტისთვის ბრძოლას გამოეთიშა **კერონ სტიუარტი**. მოულოდნელად იამაიკელ სპრინტერს 100 მეტრზე ამერიკელმა **კარმელიტა ჯეტერმა** აჯობა. მან უკან მოიტოვა არა მარტო სტიუარტი, არამედ მსოფლიოს ჩემპიონი **შელი-ენ ფრეზერი**. სამაგიეროდ, მამაკაცების სპრინტში მოულოდნელობა არ მომხდარა. **უსაინ ბოლტმა** ამჯერადაც იოლად გაიმარჯვა 100 მეტრზე, თუმცა მისთვის მოკრძალებული შედეგი - 9,81 წამი აჩვენა. უსაინმა თანამემამულე **ასაფა პაუელს** შვიდი მეასედი წამით აჯობა.

ოქროს ლიგის ბოლო ეტაპი 4 სექტემბერს ბრიუსელში გაიმართება.

**ოქროს ლიგა. V ეტაპი**

**ციურიხი (შვეიცარია)**

**კაცები**

**100 მ.** 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 9.81. 2. ასაფა პაუელი (იამ) - 9.88. 3. დერვის პატონი (აშშ) - 9.95. **400 მ.** 1. ლაშონ მერიტი (აშშ) - 44.21. 2. ჯერემი უორინერი (აშშ) - 44.62. 3. რენი კუოუ (ტრინ) - 44.77. **5000 მ.** 1. კენენისა ბეკელი (ეთი) - 12:52.32. 2. ედვინ ჩერუიოტ სოი (კენ) - 12:55.03. 3. დატან რიცენჰაიმი (აშშ) - 12:56.27. **100 მ/თარჯრბენი.** 1. დუიატ ტომასი (იამ) - 13.16. 2. ტერენს ტრამელი (აშშ) - 13.17. 3. რაიან ბრეტუეიტი (ბარ) - 13.27. **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 91.28. 2. ანტი რუუსკანენი (ფინ) - 85.39. 3. არი მანიო (ფინ) - 81.82.

**ქალები**

**100 მ.** 1. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 10.86. 2. კერონ სტიუარტი (იამ) - 11.04. 3. დები ფერგიუსონ-მაკენზი (ბაჰ) - 11.04. **400 მ.** 1. სანია რიჩარდსი (აშშ) - 48.94. 2. ელისონ ფელიქსი (აშშ) - 49.83. 3. შერიკა უილიამსი (იამ) - 50.40. **100 მ/თარჯრბენი.** 1. ბირიჯიტ ფოსტერი-ჰიტონი (იამ) - 12.46. 2. დონ ჰარპერი (აშშ) - 12.48. 3. პერდიტა ფელისიენი (კან) - 12.61. **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2.01. 2. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 1.98. 3. შანტი ჰოვარდი (აშშ) - 1.98. **ჭოკით ხტომა.** 1. ელენა ისინბაევა (რუს) - 5.06 (მსოფლიოს რეკორდი). 2. ანა როგოვსკა (პოლ) - 4.76. 3. ფაბიანა მიურერი (ბრა) - 4.71.

**ჯეკპოტის პრეტენდენტები**

**(ხუთი ეტაპის შემდეგ)**

**კაცები**

3000 მ/5000 მ - კენენისა ბეკელე (ეთი)

**ქალები**

400 მ - სანია რიჩარდსი (აშშ)
ჭოკით ხტომა - ელენა ისინბაევა (რუს)

**დარჩენილი ეტაპები**

4 სექტემბერი - ბრიუსელი (ბელგია)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

სამი ერი

# ქურციკებს ერთი ნახტომიღა დარჩათ

**ავსტრალია-ს.აფრიკა 25:32**

ავსტრალია (15-9) ოქონორი (მიჩელი 76), თერნერი, ქროსი (კუპერი 64), ეშლი-კუპერი, ჰაინსი, გიტო, ბერჯესი (გენია 57). (1-8) რობინსონი, მური (პოლოტანაუ 54), ელიგზანდერი, ჰორვილი, ჩიზომი, ელსომი, ჯ.სმითი, ბრაუნი (ფოქოქი 49).

3ლ: გიტო (2), თერნერი. 2ს,2გ: გიტო.

ს.აფრიკა (15-9) პინარი (ფ.სტეინი 73), პიტერსენი (იაკობსი 64), ფური, დეფილიერსი, ჰაბანა, მ.სტეინი, დიუპრე (იანარი 78). (1-8) მთავარირა, დიუპლესი, ჯ.სმიტი (დიუპლესი 75), ბოთა (ბეკერი 65), მეტფილდი, ბრიუსო, ჟ.სმითი (ბურხერი 55), სპისი.

4ლ: ჰაბანა (2), ფური, დიუპრე. 3გ,2ს: მ.სტეინი.

მსაჯი: ბრაის ლორენსი (ზელანდია)

სამხრეთაფრიკელ „ქურციკებს" სამი ერის მოსაგებად ერთი ნახტომიღა სჭირდებათ. ბოკემ ავსტრალიის დასავლეთში, ქალაქ პერთში მასპინძელთა ნაკრებს წლევანდელ გათამაშებაში მეოთხე მარცხი აგემა 32:25.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ანგარიში სრულად არ ასახავს მეტოქე გუნდების ძალთა თანაფარდობას. სამხრეთ აფრიკის ნაკრები ერთი თავით მაღლა იდგა თავის მოწინააღმდეგეზე აბსოლუტურად ყველა სათამაშო კომპონენტში.

ბოკე მე-17 წუთისთვის უკვე 15:0 იგებდა. ანგარიში კი აფრიკელებმა მე-6 წუთზე გახსნეს. მორკინალების მიძალების წყალობით, მათ მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწიეს. ვოლაბებმა შეტევა წესის დარღვევით შეაჩერეს. საჯარიმო, ლელოდან თხუთმეტ მეტრში, სტუმართა ცხრა ნომერმა **ფური დუპრემ** სწრაფად გაათამაშა, თვითონვე შეუტია და ბურთიანად ლელოში შევიდა. **მორნი სტეინმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა – 7:0.

ოთხ წუთში თავი უკვე შუამარბმა **ჟაკ ფურიმ** გამოიჩინა. ავსტრალიელთა ოცდაორმეტრიან ზონაში აფრიკელებმა საკუთარი შერკინება მოიგეს და ერთი ჩვეულებრივი, მარტივი კომბინაცია გაითამაშეს. ბურთი უბრალოდ, მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ჩაათამაშეს. ფური ვოლაბების ათ ნომერს, **მეტ გიტოს** დაუსხლტა ხელიდან და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. სტეინმა გარდასახვა კარის პირდაპირ თხუთმეტიოდე მეტრიდან დაარტყა და ბურთი ძელს გაარტყა – 12:0. თუმცა მანვე, შვიდ წუთში საკმაოდ რთული პოზიციიდან, თითქმის კიდიდან საჯარიმო გაიტანა – 15:0.

მასპინძლები მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც შეძლეს, გიტოს მიერ გატანილი ორი საჯარიმო იყო. ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე კი, აფრიკელთა გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ** კიდევ ერთი ლელო გაიტანა. მოედნის საკუთარი ნახევრიდან მორნი სტეინმა ბურთი ფეხით მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში გადაკიდა. გარემარბმა **ჟან დეფილიერსმა** ბოლომდე იბრძოლა და ავსტრალიელ **პიტერ ჰაინსს** საშუალება არ მისცა ბურთს მშვიდად დაუფლებოდა. ამ უკანასკნელს ბურთი ხელიდან გაუვარდა და ჰაერშივე ჰაბანას ნადავლი შეიქნა, რომელმაც ყველას მეტეორივით ჩაუქროლა. გარდასახვა ისევ სტეინმა დაარტყა ზუსტად – 22:6.

ასეთი ანგარიშის ამოქაჩვა და მატჩის ბედის სათავისოდ შემობრუნება ვოლაბებისთვის ურთულესი ამოცანა იყო. ცხადია, მათ მცდელობა არ დაუკლიათ, თუმცა ბრწყინვალედ აწყობილ აფრიკელთა გუნდს ბევრი ვერაფერი დააკლეს.

მეორე ტაიმში მასპინძლთა შორის ყველაზე გამორჩეული ფიგურა მეტ გიტო იყო, რომელმაც სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ორი ლელო გაუტანა და მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე შეიქნა. მის ანგარიშზე ოცი ქულაა. პირველი ლელო მან 43-ე წუთზე მიითვალა და თავადვე გარდასახა.

დუბლი გაახერხა „ბოკეს" გარემარბმა ბრაიან ჰაბანამაც. 49-ე წუთზე, როცა ანგარიში 22:13 იყო და ავსტრალიელებს მატჩის გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ ჰქონდათ, აფრიკელებმა მეტოქის შერკინება ლელოდან ათ მეტრში მოიგეს. ბურთი ამჯერადაც მარტივად, ოღონდ მარჯვნივ გამოათამაშეს და ჰაბანამ მოწინააღმდეგის ხაზი გაჭრა. ლელო სტეინმა გარდასახა – 29:13. 68-ე წუთზე მანვე საჯარიმოც გაიტანა – 32:13.

ამით თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ვოლაბებმა მაინც ბოლომდე იბრძოლეს. გიტომ მეორე ლელოს გატა 75-ე წუთზე შეძლო, მაგრამ გარდასახვა ვერ გამოიყენა – 18:32.

ბოლო წამებზე, ბოლო შეტევაში თავი ავსტრალიელთა გარემარბმა **ლოქი თერნერმა** გამოიჩინა. გიტომ ამჯერად გარდასახვაც ზუსტად დაარტყა და მატჩიც დასრულდა - 25:32.

ეს გუნდები კვირის თავზე ისევ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ამჯერად ბრისბენში. აფრიკელები გამარჯვების შემთხვევაში ზელანდიისთვის მიუწვდომელნი შეიქნებიან და სამი ერის გათამაშებას ვადამდე ადრე მოიგებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ს.აფრიკა | 4 | 4 | 0 | 0 | +40 | 17 |
| 2.ზელანდია | 4 | 2 | 0 | 2 | -14 | 8 |
| 3.ავსტრალია | 4 | 0 | 0 | 4 | -26 | 3 |

**დარჩენილი შეხვედრები**

**5 სექტემბერი**

ავსტრალია - ს.აფრიკა

**12 სექტემბერი**

ზელანდია - ს.აფრიკა

**19 სექტემბერი**

ზელანდია - ავსტრალია



ბრაიან ჰაბანა

ფორმულა 1

## ბადოერს შემცვლელი მოუძებნეს

იტალიური პრესის ცნობით GP2-ის ჩემპიონატის მონაწილე, 19 წლის **მარკო ბორტოლოტი** "ფერარის" რიგებში 38 წლის **ლუკა ბადოერს** შეცვლის. "სკუდერიას" ხელმძღვანელობა ამ ცვლილების განხორციელებას 13 სექტემბერს, მონცას ეტაპზე აპირებს.

**ფელიპე მასას** შემცვლელმა ბადოერმა უკვე ორ რბოლაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ორჯერვე კვალიფიკაციაში ბოლო ადგილზე გავიდა, რბოლების დროს კი მე-17 და მე-14 ადგილი დაიკავა.

ბორტოლოტიმ იტალიის F3-ის ჩემპიონის რანგში 2008 წლის ბოლოს მიიღო მონაწილეობა "ფერარის" ტესტებში და კარგი შთაბეჭდილება დატოვა "სკუდერიას" პრეზიდენტ **ლუკა დე მონტეძემოლოზე**. მაშინ მარკომ ფიორანოს ტრასის რეკორდი დაამყარა.

ამჟამად ბორტოლოტი GP2-ის სერიაში Red Bull Junior Team-ის ღირსებას იცავს და ერთი მოგებით მეექვსე ადგილს იკავებს საერთო ჩათვლაში.

ჩოგბურთი

## ნალბანდიანმა ვარჯიში დაიწყო

არგენტინელი ჩოგბურთელი **დავიდ ნალბანდიანი** აგრძელებს ბარძაყის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს. შეგახსენებთ, რომ უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი ამა წლის მაისის შემდეგ არ თამაშობს ATP-ის ოფიციალურ ტურნირებში.

*"ყველაფერი შესანიშნავად მიდის, იმაზე უკეთ, ვიდრე ველოდი. ბოლო სამი თვე რეაბილიტაციის კურსს გავდიოდი და ცოტათი ფიზიკური მომზადებითაც ვიყავი დაკავებული. ახლა ამ ვარჯიშებს უკვე მოაქვს შედეგი"*, - ამბობს ნალბანდიანი.

არგენტინელი ჩოგბურთელი იმედოვნებს, რომ წლევანდელი სეზონის ბოლოს მოასწრებს რამდენიმე ტურნირში მონაწილეობის მიღებას.

კალათბურთი

## სმიტი შვიდი მატჩით დაისაჯა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 2009-10 წლების რეგულარული ჩემპიონატის შვიდი მატჩით დასაჯა "დენვერ ნაგეტსის" მცველი **ჯეი არ სმიტი**. ცოტა ხნის წინ კალათბურთელს 24-დღიანი პატიმრობა მიესაჯა 2007 წელს მომხდარი ავტოსაგზაო ინციდენტის გამო, რომელშიც ერთი ადამიანი დაიღუპა. სასამართლომ დაადგინა, რომ ავტოავარიაში ბრალი სმიტს მიუძღვოდა.

გარდა ამისა, NBA-ის ხელმძღვანელობამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა "ფინიქსის" ფორვარდ **ჯეისონ რიჩარდსონს**, რომელიც მანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა.

## ჯექსონს მეომრებში აღარ უნდა

"გოლდენ სტეიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა **სტივენ ჯექსონმა** ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მომავალ ზაფხულს "უორიორზის" რიგების დატოვებას აპირებს.

*"თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო წელს "გოლდენ სტეიტის" შემადგენლობაში ვერ მიხილავთ. ამ გუნდის დატოვება მსურს. ზუსტად ვერ გეტყვით, სად გავაგრძელებ კარიერას, მაგრამ ისეთ კლუბში გადასვლა მინდა, რომელსაც ჩემპიონობის შანსი ექნება. ეს არის "კლივლენდი", რომელიმე ტეხასური კლუბი ან "ნიუ იორკ ნიქსი"*, - ამბობს ჯექსონი.

**გია თვალაბეიშვილი**

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

**საკვალიფიკაციო. II მატჩი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ბელგია | 92:54 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლატვია-გერმანია | 72:89 |
| ესპანეთი-ისრაელი | 93:56 |
| სლოვენია-საბერძნეთი | 81:64 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ნიუ ჰეივენი**

| | |
|---|---|
| ვერდასკო-კუერი | 6:4, 7:6 |

**WTA. ნიუ ჰეივენი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაჩკი-ვესნინა | 6:2, 6:4 |

TV პროგრამა

**31 აგვისტო. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლილი.
08:30 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ფულჰემი.
10:15 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ვერდერი.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.
18:45 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. დუისბურგი-ფორტუნა (LIVE).
00:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:30 საფეხბურთო ღამე.
01:00 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
02:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
04:30 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. დუისბურგი-ფორტუნა.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ჰადერსფილდი-უორინგტონი.
10:30 ახალი ამბები.
10:40 მძლეოსნობა. IAAF-ის ოქროს ლიგა. შვეიცარია.
13:40 სპორტული დღე.
14:25 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. ჩინეთი (LIVE).
16:25 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. ფინალი. ჩინეთი (LIVE).
18:20 ახალი ამბები.
18:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
10:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ისლანდია. ფინეთი.
12:15 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია.
12:30 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. პოზნანი. პოლონეთი.
14:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნორვეგია-საფრანგეთი. ფინეთი.
15:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ისლანდია. ფინეთი.
17:00 ველოსპორტი. ვუელტა. II ეტაპი. ესპანეთი.
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. III ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ინგლისი. ფინეთი (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).

კალათბურთი

პუერტო რიკო

**A ჯგუფი**

**ვირჯინიის კ-ები-კანადა 67:87**

14:24, 12:20, 22:20, 19:23

ვ: ჰოჯი (18+5 პასი+3 ჩაჭრა), შეპარდი (10+4 პასი), რაიმერი (8+11 მოხსნა).

კ: ფამუტიმი (12), როტენი (11+5 პასი+3 ჩაჭრა), იანგი (14+7 მოხსნა).

**ურუგვაი-პუერტო რიკო 54:71**

14:14, 14:16, 11:23, 15:18

უ: ბატისტა (19+8 მოხსნა).

პ-რ: აროიო (18+5 მოხსნა+6 პასი), რამოსი (15+12 მოხსნა+4 დაფარება), სანჩესი (8+7 მოხსნა).

**მექსიკა-ვირჯინიის კ-ები 80:63**

15:13, 12:19, 26:18, 27:13

მ: პედროვა (17+4 პასი), კინტერო (17+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ჩავესი (16), აგირე (16+15 მოხსნა+5 პასი+6 დაფარება+3 ჩაჭრა), ლიამასი (10+8 მოხსნა+7 პასი).

ვ: შეპარდი (18+5 პასი), ჰოჯი (12+4 პასი+3 ჩაჭრა), ვიქტორი (7+9 მოხსნა), ფრიმენი (4+9 მოხსნა).

**კანადა-ურუგვაი 69:71**

16:25, 15:11, 16:15, 22:20

კ: იანგი (20+8 მოხსნა), ენტონი (13+6 მოხსნა), ინგლიში (12+5 მოხსნა), ანდერსონი (9+6 პასი).

უ: ბატისტა (18+12 მოხსნა), ოსიმანი (14+9 პასი), მორალესი (11), აგიარი (10).

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. პუერტო რიკო - 3 მოგება/0 ნაგება, 2. კანადა - 2/1, 3. ურუგვაი - 1/1, 4. მექსიკა - 1/2, 5. ვირჯინიის კ-ები - 0/4.

**B ჯგუფი**

**არგენტინა-ბრაზილია 67:76**

13:21, 10:16, 23:23, 21:16

ა: სკოლა (19), პრიჯიონი (7+8 პასი), კამერიხსი (6+10 მოხსნა).

ბ: ბარბოზა (21), ვარეჟაო (19+9 მოხსნა), უერტასი (18+7 მოხსნა+5 პასი), სპლიტერი (7+8 მოხსნა).

**ვენესუელა-პანამა 71:80**

12:22, 14:17, 28:18, 17:23

ვ: რომერო (17+10 მოხსნა), როდრიგესი (17+5 პასი+), ლუგო (15+14 მოხსნა), ტორესი (11+10 მოხსნა).

პ: ლორიედა (19+8 მოხსნა+5 პასი), პინოკი (17+5 მოხსნა+4 პასი), მუნიოსი (11), გრინი (14).

**დომინიკის რ.-ვენესუელა 78:73**

21:18, 19:14, 24:19, 14:22

დ: ვილანუევა (28+12 მოხსნა), გარსია (21), ჰორფორდი (14+12 მოხსნა), რივერა (5+5 პასი).

ვ: რომერო (25+9 მოხსნა), ლუგო (16+9 მოხსნა), ტორესი (14), როდრიგესი (11+6 მოხსნა+7 პასი).

**პანამა-არგენტინა 55:80**

13:28, 17:20, 19:12, 6:20

პ: გრინი (18+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლორიედა (13+6 მოხსნა), პინოკი (11+7 მოხსნა+5 პასი).

ა: სკოლა (20+6 მოხსნა), პრიჯიონი (19+8 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), პელუსი (10), კამერიხსი (10).

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. ბრაზილია - 3 მოგება/0 ნაგება, 2. დომინიკის რეს. - 2/1, 3. არგენტინა - 1/2, 4. პანამა - 1/2, 5. ვენესუელა - 1/3.

ველოსპორტი

**ველოსპორტი. ვუელტა**

**I ეტაპი**

**ასენი (ჰოლანდია). 4.7 კმ**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - 5,20; 2. **ტომ ბოონენი** (ბელ, Quick Step) - +0,09; 3. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Slipstream) - +0,12; 4. **იენს მოურისი** (ჰოლ, Vacansoleil Pro Cycling Team) - +0,14; 5. **დანიელე ბენატი** (იტა, Liquigas) - +0,16; 6. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Liquigas) - +0,17; 7. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, "ასტანა") - +0,18; 8. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო; 9. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 12. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, "ასტანა") - +0,19 ... 29. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +0,24 ... 57. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - +0,28... 123. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - +0,38...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფერარიმ პირველი მოიგო


სასტარტო ავარია

| ბელგიის გრანპრი. XII ეტაპი | |
|---|---|
| სპა (44 წრე, 308.052 კმ) | |
| 1 (6). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | 1:23.50,995 (2 პიტსტოპი) |
| 2 (1). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | +0,938 (2) |
| 3 (8). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +3,875 (2) |
| 4 (5). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +9,966 (2) |
| 5 (3). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +11,276 (2) |
| 6 (15). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | +32,763 (1) |
| 7 (4). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | +35,461 (2) |
| 8 (10). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +36,208 (2) |
| 9 (9). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +36,959 (3) |
| 10 (7). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +41,490 (2) |
| 11 (11). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | +42,636 (2) |
| 12 (16). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | +46,106 (2) |
| 13 (18). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | +54,241 (1) |
| 14 (20). ლუკა ბადოერი (ფერარი, იტალია) | +1.42,177 (1) |
| 15 (13). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | 18 წრე (2) |
| 16 (2). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | 23 წრე (3) |
| 17 (14). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | 44 წრე (0) |
| 18 (19). რომენ გროსჟანი (რენო, საფრანგეთი) | 44 წრე (0) |
| 19 (12). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 44 წრე (0) |
| 20 (17). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 44 წრე (0) |

*საუკეთესო წრე: საბესტიან ფეტელი - 1.47,263 (235.070 კმ/სთ); 38-ე წრე*

**საერთო ჩათვლა**: 1. **ჯენსონ ბატონი** - 72 ქულა; 2. **რუბენს ბარიკელო** - 56; 3. **სებასტიან ფეტელი** - 53; 4. **მარკ უებერი** - 51.5; 5. **კიმი რაიკონენი** - 34; 6. **ნიკო როსბერგი** - 30.5; 7. **ლუის ჰემილტონი** - 27; 8. **იარნო ტრული** - 22.5; 9. **ფელიპე მასა** - 22; 10. **ჰეიკი კოვალაინენი** - 17; 11. **ტიმო გლოკი** - 16; 11. **ფერნანდო ალონსო** - 16; 13. **ნიკ ჰაიდფელდი** - 10; 14. **ჯანკარლო ფიზიკელა** - 8; 14. **რობერტ კუბიცა** - 8; 16. **სებასტიან ბუემი** - 3; 17. **სებასტიან ბურდე** - 2.

კონსტრუქტორთა თასი: 1. **ბრაუნი** - 128 ქულა; 2. **რედ ბული** - 104.5; 3. **ფერარი** - 56; 4. **მაკლარენი** - 44; 5. **ტოიოტა** - 38.5; 6. **უილიამსი** - 30.5; 7. **BMW-ზაუბერი** - 18; 8. **რენო** - 16; 9. **ფორს ინდია** - 8; 10. **ტორო როსო** - 5.

**კიმი რაიკონენმა** ამ სეზონში პირველი გამარჯვება მოუტანა "ფერარის". წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი **ჯენსონ ბატონი** ("ბრაუნ გრან-პრი") და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** ("მაკლარენი") პრაქტიკულად სტარტიდანვე ჩამოცილდნენ რბოლას.

მსოფლიოს ჩემპიონატის მე-12 ეტაპს ბელგიის "სპა" მასპინძლობდა და ეს რბოლა წლევანდელ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი და არაპროგნოზირებადი გამოდგა.

"სპაზე" უცნაურობები ჯერ კიდევ კვალიფიკაციის დროს დაიწყო. პოული სენსაციურად მოიგო "ფორს ინდიას" იტალიელმა პილოტმა **ჯანკარლო ფიზიკელამ**. ეს ინდური გუნდისთვის ისტორიული შედეგია, რადგან ამ საჯინიბოს თავისი არსებობის ისტორიაში ქულაც კი არ ჰქონდა მოპოვებული. უნდა აღინიშნოს, რომ **ვიჯეი მალიას** გუნდის ეს წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან "ფორს ინდია" მთელი უქმეების განმავლობაში კარგ ფორმას აჩვენებდა.

სტარტი ძალიან საინტერესო და დამაინტრიგებელი გამოვიდა. თავდაპირველად პრობლემები **რუბენს ბარიკელოს** ("ბრაუნ გრან-პრი") შეექმნა, რომელსაც კინაღამ ჩაუქრა მანქანა და ამის გამო რამდენიმე მეტოქე გაატარა.

ლიდერობისთვის გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. აქტიურობდნენ "BMW-ზაუბერის" პილოტები და **რობერტ კუბიცამ** მეხუთიდან მეორე პოზიციაზე გადასვლა შეძლო. შემდეგ კიმი რაიკონენმა KERS-ის სისტემა გამოიყენა და მეორე ადგილი წაართვა პოლონელს.

ამას კიდევ უფრო დაუჯერებელი ამბები მოჰყვა. მეორე წრეზე ტრასა ვერ გაიყვეს ბატონმა, ჰემილტონმა, **რომენ გროსჟანმა** ("რენო") და **ხაიმე ალგერსუარიმ** ("ტორო როსო"). საბოლოოდ, ოთხივე ბოლიდი გამოვიდა მწყობრიდან და პილოტები რბოლას გამოეთიშნენ. სხვათა შორის, ჩემპიონატის ლიდერი ბატონი ამ სეზონში პირველად ვერ მივიდა ფინიშთან.

შემდეგი ოთხი წრე პელოტონი უსაფრთხოების მანქანამ ატარა. რესტარტის შემდეგ, რაიკონენმა სწორ მონაკვეთზე ისევ და ისევ KERS-ის დახმარებით ფიზიკელას გაუსწრო და სათავეში ჩაუდგა რბოლას. ექვსი წრის ბოლოს ლიდერთა სამეული ასე გამოიყურებოდა - რაიკონენი, ფიზიკელა და კუბიცა.

სასტარტო პრობლემების შემდეგ რუბენს ბარიკელო ბოქსებში შევიდა, რის გამოც მე-11 ადგილზე აღმოჩნდა, თუმცა ბრაზილიელს ძალიან უნდოდა ქულათა ზონაში შესვლა და ნელ-ნელა ასწრებდა მის წინ მყოფ პილოტებს.

ამასობაში, ავტომრბოლებმა პიტსტოპის პირველი სერია დაიწყეს. ერთმანეთის მიყოლებით შევიდნენ ბოქსებში რაიკონენი, **მარკ უებერი** ("რედ ბული"), ჰაიდფელდი და ფიზიკელა. პიტლეინიდან გამოსვლისას უებერმა სახიფათო მანევრით გაუსწრო **ჰაიდფელდს**, მაგრამ მალე ისევ გაატარა გერმანელი.

ცოტა ხნით პელოტონს სათავეში ჩაუდგა **სებასტიან ფეტელი** ("რედ ბული"), მის უკან კი **ნიკო როსბერგი** ("უილიამსი") იყო, თუმცა ეს პილოტები ჯერ არ იყვნენ ბოქსებში შესულები.

ფეტელი ორივე შემთხვევაში გვიან შევიდა ბოქსებში და ამ ტაქტიკის წყალობით რბოლაში მესამე ადგილის დაკავება შეძლო. ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა ფიზიკელამ, რომელიც არაფერში ჩამოუვარდებოდა რაიკონენს და ერთი პირობა ფინელთან ჩამორჩენა 0.7 წამამდე შეამცირა. რბოლის გამარჯვებულის ბედი მეორე პიტსტოპის დროს გაირკვა. კიმი და ჯანკარლო ერთდროულად შევიდნენ ბოქსებში და ორივე ზუსტად 7 წამით შეაყოვნეს. რაიკონენი უფრო ადრე გავიდა ტრასაზე და ფინიშამდე უპირატესობა შეინარჩუნა. ეს იყო "ფერარის" პირველი ტრიუმფი სეზონში და რაიკონენის მეოთხე გამარჯვება "სპას" ავტოდრომზე.

პოდიუმზე ასვლის შანსი ჰქონდა **ფერნანდო ალონსოს** ("რენო"), რომელიც დამაჯერებლად ინარჩუნებდა მესამე ადგილს, მაგრამ ბოქსებში ნახევარი წუთი შეაყოვნეს, შემდეგ "რენოს" ბოლიდის საბურავი გამოვიდა მწყობრიდან და ნანდო რბოლას ნაადრევად გამოეთიშა.

ბატონის წარუმატებლობის შემდეგ, მისმა თანაგუნდელმა და უახლოესმა მდევარმა რუბენს ბარიკელომ საერთო ჩათვლაში ჩამორჩენა 16 ქულამდე შეამცირა. საჩემპიონო რბოლას ფეტელიც დაუბრუნდა, რომელიც ჯენსონთან 19 ქულას აგებს. ბატონი სეზონის მეორე ნახევარს ძალიან ცუდად ატარებს. პირველ შვიდ რბოლაში ექვსი გამარჯვების შემდეგ, ბრიტანელმა ბოლო ხუთ ეტაპზე მხოლოდ 11 ქულა დააგროვა. თუ "ბრაუნ გრან-პრის" პილოტი ასევე არასტაბილური იქნება შემდეგ რბოლებში, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან დაძაბული უნდა გამოვიდეს. სეზონის დასრულებამდე კიდევ ხუთი ეტაპია დარჩენილი.

**დარჩენილი ეტაპები**

13 სექტემბერი - **იტალიის გრან-პრი**
27 სექტემბერი - **სინგაპურის გრან-პრი**
4 ოქტომბერი - **იაპონიის გრან-პრი**
18 ოქტომბერი - **ბრაზილიის გრან-პრი**
1 ნოემბერი - **აბუ დაბის გრან-პრი**

გვერდი მოამზადა გია **თვალაბეიშვილმა**

## კალენდარი ცნობილია

**ბელგიის** გრან-პრის უქმეების ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 2010 წლის ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი გამოაქვეყნა. მომავალი წლის სეზონში 18 ეტაპის გამართვაა გათვალისწინებული. ჩემპიონატი 14 მარტს ბაჰრეინის გრან-პრით გაიხსნება და 7 ნოემბერს აბუ დაბიში დასრულდება.

14 მარტი - ბაჰრეინი, საჰირი
28 მარტი - ავსტრალია, მელბურნი
4 აპრილი - მალაიზია, სეპანგი
25 აპრილი - თურქეთი, სტამბოლი
9 მაისი - ესპანეთი, ბარსელონა
23 მაისი - მონაკო, მონტე კარლო
6 ივნისი - კანადა, მონრეალი
27 ივნისი - ევროპა, ვალენსია
11 ივლისი - ბრიტანეთი, დონინგტონი
25 ივლისი - გერმანია, ჰოკენჰაიმი
1 აგვისტო - უნგრეთი, ბუდაპეშტი
22 აგვისტო - ბელგია, სპა
5 სექტემბერი - იტალია, მონცა
19 სექტემბერი - ჩინეთი, შანხაი
26 სექტემბერი - სინგაპური, სინგაპური
10 ოქტომბერი - იაპონია, სუზუკა
24 ოქტომბერი - ბრაზილია, ინტერლაგოში
7 ნოემბერი - აბუ დაბი, იას-მარინა




